ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

.LA GÉORGIE COMBATTANTE.

1 იანვარი - 1998 - 22(40) - 1er JANVIER

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს — ილია

გილოცავთ ახალ, 1998 წელს!..

საახალწლო მილოცვა....1
ეროვნული ჰიმნი "დიდება"....3

სოხუმის დაპყრობის ოთხი წლისთავი

ქართველ ლტოლვილთა ლოდინი....4
ჩვენი შენიშვნა....8
ჩვენი აფხაზეთი....10

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

"შენიშვნები"....12
რადიო"თავისუფლების" 45 წლისთავი....28
იყიდება საქართველო! - ....32
მივაღწიოთ ერთობას მრავალფეროვანებაში....33
საქველმოქმედო უწყებები....42
ჟირინოვსკი და საქართველო....43
ლევილის ქართული მამულის 75 წლისთავი....44

ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

სახალხო გვარდია და გალაქტიონი....48
უცნობი პოეტის ერთი ლექსი....51
პოეტ გიორგი გამყრელიძის დაბადების 95 წლისთავი....52

ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

აგვისტოს აჯანყების 73 წლისთავი....56
ქართულ-დანიური სანიმუშო ოჯახი....59
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები....64

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

საქართველოს ეროვნული საბჭოს 80 წლისთავი....68
ქართული ეკლესია პარიზში და დეკანოზი არჩილი....75

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე

დაარსდა იანვარი 1952, პარიზი — Fondation: janvier 1952, Paris

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „მეოთხე სვეტი"

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოფილმი — დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების „მეოთხე სვეტია" სახელმწიფო ძალაუფლების „სამი სვეტის" — მმართველობის (მთავრობა), კანონმდებლობის (პარლამენტი) და მართლმსაჯულების (სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა, სიძლიერეა, თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს' შორის, პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ცხოვრების სარკე, რაც — თავის მხრივ — ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას თავიდან ამა თუ იმ პირის, თუ დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა

## საქართველოს კონსტიტუცია
## Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d ' exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d' autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n 'est responsable, pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

## საქართველოს კონსტიტუცია
## Constitution de la Géorgie

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოყენება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

## ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
## Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

arricl 19

Everyone has the righet co freedom of opinion and expression; this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to scet, receive and impart information and idext chrough any medis and regardless of fronciers.

# გილოცავთ ახალ 1998 წელს!..

## ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო   მ ი ლ ო ც ვ ა

1.

გილოცავთ, პატივცემულო თანამემამულენო, 1998 წლის, პირველ იანვარს, ახალ წელს!.. გისურვებთ ყოველივე კარგს თქვენს პირად, საოჯახო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!..

2.

გვიხაროდეს, სიამაყის გრძნობას გვიძლიერებდეს ის ფაქტი, რომ უკვე მერვეჯერ გვაქვს ბედნიერება - დაწყებული 1991 წლიდან, როცა საქართველომ ისევ აღადგინა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე - ვიდღესასწაულოთ ახალი წელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თავისუფლების პირობებში. ეს არის ისტორიული მნიშვნელობის დიდი მონაპოვარი, რაც, უდაოა, სიამაყის, ეროვნული სიამაყის გრძნობებს აღვივებს ჩვენში!..

3.

ამდენად, - თუ შევაჯამებთ გასული,1997 წლის მონაპოვარს საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში,- შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე წინ მიიწევს: ევროპელ ექსპერტების აზრით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა აშკარაა. 1996 წელს საქართველოს შიდა პროდუციის მოცულობამ, ერთ სულ მოსახლეზე, 660 დოლარი შეადგინა, - ნათქვამია, მაგალითად, მიმოხილვაში "საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები", რომელიც გამოარკვია ტასისის ევროპულ ექსპერტთა სამსახურმა. ესენგეს ქვეყნების უმრავლესობასთან შედარებით, საქართველოში ეკონომიკური ზრდა აშკარაა და ეჭვს არ იწვევს, აღნიშნავენ უცხოელი ექსპერტები; მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი რამდენიმე წლის განმავლობაში იქნება შენარჩუნებული, რასაც, პირველ რიგში, მცირე და საშუალო კერძო საწარმოების განვითარება უზრუნველყოფს, - წერს 1997 წლის 11 იანვრის გაზეთი - "რეზონანსი" - "ზიეს პრესის" ცნობაზე დაყრდნობით. რა თქმა უნდა, ერთი წლის განმავლობაში, ერთ სულ მოსახლეზე 660 დოლარის შექმნილი პროდუქცია მეტად მცირეა, როცა, ვთქვათ, ევროპის კავშირის "ულარიბესი ქვეყნის" - პორტუგალიის - შესაბამისი პროდუქცია 13 020 დოლარს შეადგენს. მაგრამ არსებითია ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრება უმჯობესდება და წინ მიიწევს, თუმცა მეტად ნელი ტემპით, რის ერთერთ, შეიძლება, უმთავრეს მიზეზათ ჩაითვალოს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, რომლის ცენტრში დგას, აგერ უკვე ოთხი წელიწადია, აფხაზეთისა და ზემო ქართლის პრობლემები, რის შედეგად საქართველო იძულებულია გაუმკლავდეს სამას-ათასზე მეტი ლტოლვილთა მოვლა-პატრონობას, რაც - თავის მხრივ - მეტად მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს სახელმწიფოს ეკონომიკურადაც.

4.

ქართველ ლტოლვილთა დაბრუნებას თავიანთ სახლ-კარში კი წინ ეღობება ისევ დიდმპყრობელ-შოვინისტები; კონკრეტულად, რუსეთი, რომელიც მოხერხებულად მოქმედებს აფხაზი და ოსი ექსტრემისტების ნიღბით, და ამით არღვევს საქართველოს ან დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. როგორც ჩანს, ვერც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი პრიმაკოვის, ვერც აფხაზი ექსტრემისტის, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ტერორისტის ვლადისლავ არძინბას შეხვედრამ თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან, რაც მართლაც სენსაციური მოვლენა გახდა არა მარტო საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრება-

ში, - ვერ წაწია წინ, ხულ ცოტა, ქართველი ლტოლვილების დაბრუნების საქმე აფხაზეთსა და ზემო ქართლში. როგორც ჩანს, რუსეთის ყველა პოლიტიკური მიმართულება, თვით პრეზიდენტ ბორის ელცინის ჩათვლით, ერთი აზრის არიან ახალი, პოსტბოლშევიკური იმპერიის შექმნის საქმეში, რის ერთერთ მიზანთ საქართველოს ისევ მოსკოვის უშუალო მბრძანებლობის ქვეშ მოქცევა.

5.

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართველთა გენოციდის მეთაურნი აფხაზეთსა და ზემო ქართლში დღესაც ისე ბატონობენ, რომ ცა ქუდათ არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად; კიდევ მეტი: რუსეთის წყალობით, ეს აფხაზი და ოსი ტერორისტები ჩვენ, საქართველოს, საქართველოს მთელ მოსახლეობას გზას გვილობავს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარებისაკენ და ომითაც კი გვემუქრებიან, რა თქმა უნდა, რუსეთის შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით.

6.

ამგვარად, 1997 წელშიც ვერ შევძელით ჩვენ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქართველი ლტოლვილების თავთავიანთ სახლკარში დაბრუნება, რაც - თავის მხრივ - ხელს შეუწყობდა საქართველოს ეკონომიკური გამოჯანმრთელების საქმეს.

7.

მაგრამ ჩვენ ამ მდგომარეობამ არ უნდა შეგვაშინოს. ჩვენ როგორმე უნდა შევაგნებინოთ რუსეთს, რომ ხელი აიღოს კავკასიაში "სტაბილური არასტაბილურობის" მდგომარეობის შექმნა-შენარჩუნების პოლიტიკაზე; რუსეთს უნდა შევადნებინოთ, რომ იგი, როგორც 1921 წელს, ვერ შესძლებს საქართველოს ისევ დამონება-დაპყრობას თითო-ოროლა აფხაზის თუ ოსის ნიღბის ქვეშ.

ამის იმედს იძლევა, თუ გნებავთ, ის ფაქტიც, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საქმეში უკვე ჩარეულია ე.წ-ლი საკოორდინაციო საბჭო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლები, და აგრეთვე გერმანიის, საფრანგეთის, დიდბრიტანეთის, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები.

8.

ამდენად, ჩვენ ვერ უნდა შეგვაშინოს საქართველოს ვერც შინაგან და ვერც გარეშე მტრებმა, რომლებიც ყოველი ხერხით ცდილობენ საქართველოს, ქართველი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი თავისუფლების შებღალვას. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავთვიწყოთ თავისუფლებას კი არ "იძლევიან", არამედ ის უნდა "მოიპოვო"; თავისუფლების მოპოვების შემდეგ კი არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, თავისუფლების ყოველდღიური გასრულყოფილება და შენარჩუნება, რადგან თავისუფლება ყოველდღიურ მოვლა-პატრონობას მოითხოვს ყოველი მოქალაქისაგან. ფრანგი ისტორიკოსი ჟორჟ ლეფებრი კი ასე განმარტავს თავისუფლებას, საერთოდ:

> "უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის სრული კონტროლი, შეიძლება, თავისთავის გაწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად".
>
> ჟორჟ ლეფებრი, ფრანგი ისტორიკოსი

> **"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocasion, heroiquement".**
>
> **Georges Lefebre(1874-1959)**

9.

მაშ, გილოცავთ ახალ, 1998 წელს, პატივცემულო თანამემამულენო!.. ჩვენ შევძლებთ აღნიშნული(და არღნიშნული) სიძნელეების გარღალახვას მომავალ წელში; ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!..

მაშ, დიდება და ბედნიერება დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს!..

დიდება ჩვენს ეროვნულ ერთობას მრავალფეროვანებაში!..

დიდება ქართველ ერს!..

მრავალჟამიერ!..

კარლო ინასარიძე

პარიზი,1998 წლის 1 იანვარი



## საქართველოს ეროვნული ჰიმნი

### დ ი დ ე ბ ა

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს,
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა;
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვებასა, სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ განთიადსა!

კ. ფოცხვერაშვილის ტექსტი და მუსიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო
# ერთობა მრავალფეროვნებაში

## სოხუმის დაპყრობის ოთხი წლისთავი

**„სოხუმის დაცემის დღე — 27 სექტემბერი უნდა იქცეს სიკეთის, დაღუპულთა ხსოვნის, ძმობის, მეგობრობის, თანადგომისა და იმედის დღედ, რადგან აფხაზეთის ტრაგედია აღელვებს და სტკივა სრულიად საქართველოს“**

## სოხუმის დაპყრობის ოთხი წლისთავი

ქართველ_ლტოლვილთა_ლიგინი

1.

შესრულდა ოთხი წელი მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაიპყრო ჩვენი სოხუმი, 1993 წლის 27 სექტემბერს, რასაც წინ უძღოდა ათასობით ქართველთა გენოციდი აფხაზეთსა და ზემო ქართლში, რის შედეგად სამას-ათასზე მეტი ქართველი იძულებული გახდა დაეტოვებია თავთავიანთი სახლ-კარი აფხაზეთსა და ზემო ქართლში; და ყველა ეს უბედურება რუსეთმა ჩაიდინა აფხაზი და ოსი ექსტრემისტების ნიღბის ქვეშ, რომლის დროს აფხაზ და ოს ექსტრემოსტებს გვერდში ამოუდგენს არა მარტო დიდმპყრობელ-შოვინისტები, არამედ ჩრდილოკავკასიელი ტომების შვილები თვით ჩვენს აფხაზეთში მცხოვრები სხვა ერის შვილების ჩათვლით.

2.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია: როგორ შესძლეს დიდმპყრობელ-შოვინისტებმა საქართველოში მუდმივად მცხოვრები ერებისა და ტომების შვილების, განსაკუთრებით კი ჩვენი ძმების - აფხაზი ექსტრემისტების საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ დარაზმვა?.. როგორ მოხდა, რომ აფხაზმა და ოს ექსტრემისტებმა გენოციდი ჩაიდინეს მათი მეზობლების, ნათესავების, ე.ი. ქართველების წინააღმდეგ, სამასი-ათასზე მეტი ქართველი განდევნეს თავთავიანთ სახლ-კარიდან და დღესაც ისე ბატონობენ აფხაზეთსა და ზემო ქართლში, რომ ქართველ ლტოლვილთა დაბრუნება, აგერ უკვე, ოთხი წელიწადია, ვერ ხერხდება?..

3.

ბოლშევიკებმა, - შექმნეს რა ხისხლითა და მახვილით, საბჭოთა კავშირად წოდებული, უზარმაზარი იმპერია,- იგი, შინაგანი წინააღმდეგობის შედეგად, დაინგრა. ახლა პოსბოლშევიკური რუსეთი ცდილობს ახალი იმპერიის შექმნას, და სურს მასში მოაქციოს .კავკასიაც.

4.

თუ როგორ დაიწყო რუსეთმა თავისი ახალი იმპერიული მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ, ამის თვალსაჩინო მაგალითია მიხეილ გორბაჩოვისა და ზვიად გამსახურდიას ტელეფონიო საუბარი, რომელიც 1991 წლის 11 მარტს გამოაქვეყნა გერმნიის დიდმა ჟურნალმა "შპიგელ-მა". აი, ეს გასაუბრება:

5.

"<u>გორბაჩოვი:</u> - და თქვენ არ გსურთ ხელი მოაწეროთ საკავშირო ხელშეკრულებას?

<u>გამსახურდია:</u>- ეს არის არა ჩემი, არამედ ჩემი ხალხის პოზიცია.

<u>გორბაჩოვი:</u> - იცით თქვენ, რომ აფხაზებსა და ოსებს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა სურთ?

<u>გამსახურდია:</u> - ესენია სულ 140-ათასი ადამიანი, მაგრამ საქართველოში ცხოვრობს ხუთი მილიონი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორბაჩოვი: -(ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) - კარგად მოიფიქრეთ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.

გამსახურდია: - ეს საკითხი ჩვენთვის არ არსებობს.

გორბაჩოვი: - მაშინ მოგელით დიდი სიძნელეები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში."

6.

და თუ რაში გამოიხატებოდა ეს "სიძნელეები", რომლითაც დაემუქრა გორბაჩოვი საქართველოს, ეს ნათელი გახდა იმავე 1991 წელში, როცა რუსეთმა ომი, გამოუცხადებელი ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ; ხოლო აფხაზ და ოს ექსტრემისტებმა ქართველთა გენოციდი დაიწყეს აფხაზეთსა და ზემო ქართლში, რის შედეგად ათიათასობით ქართველობა გახდა დიდმპყრობელ-შოვინისტების და მათი ოსი და აფხაზი მონების მსხვერპლი. თვით რუსეთმა კი, მის შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა და თვით გორბაჩოვი თავის პოსტიდან გადადგა, და რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი გახდა, - კიდევ უფრო გააძლიერა "გამოუცხადებელი ომი" საქართველოს წინააღმდეგ, როცა საქართველომ უარი განაცხადა ე.წ-ლ "ეს-ენ-გეში" - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლაზე, რასაც მოყვა რუსეთის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმა და ჩვენი ისტორიული მეზობლების, ჩრდილო-კავკასიელების ე.წ-ლი"მოხალისეების" ამხედრება საქართველოს წინააღმდეგ, რომელთა შორის განსაკუთრებული "გმირობით" გამოირჩეოდა ჩეჩნების ე-წ-ლი "აფხაზური ბატალიონი",შამილ ბასაევის მეთაურობით.

7.

მაგრამ არც აფხაზეთში მუდმივად მცხოვრებმა სხვა ერისა და ტომების შვილებმა დაინდეს საქართველო, ქართველი ხალხი. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ,ინტერვიუში, რომელიც მისცა მოსკოვის გაზეთ "იზვესტიას"("იზვესტია", ნომერი 111), - აღნიშნავს რა მის შეხვედრას იჩქერიას პრეზიდენტთან ჯ. დუდაევთან ბაქოში,-სხვათა შორის, ამბობს:

8.

"აფხაზეთში ომი იყო, ჩეჩნები სეპარატისტთა დამრტყმელ ძალას წარმოადგენდენ, გუდაუთაში რუსული იარაღით დატვირთული ეშელონები მოდიოდა, მინისტრი გრაჩოვი აფხაზეთში ორი დივიზიის შეყვანის წინადადებას იძლეოდა, გენშტაბის უფროსი კოლესნიკოვი რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს აიმედებდა, სოხუმის აღება რამდენიმე დღის საქმეაო, გენშტაბის ოფიცრები ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებს გეგმავდენ".

9.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე - თამაზ ნადარეიშვილი კი, ნარკვევში "გენოციდი აფხაზეთში"(თბილისი, 1996 წელი), სხვათა შორის, წერს:

"უხერხულია ვილაპარაკოთ იმაზე, რაც აფხაზეთში მოხდა, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად შეფასდეს. იქ იყო ომი, სამამულო ომი, სადაც ჩვენ, ქართველები ვიცავდით ჩვენს ქვეყანას, სამშობლოს, ჩვენს ქართულ ქალაქებსა და სოფლებს. ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდენ კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი სამხედრო შენაერთები. ოკუპანტთა უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეები გახლდათ: ჩეჩნები, ადიღები, ყაბარდოელები, კაზაკები, რუსები, თათრები. საომარ მოქმედებაში მონაწილეობას ღებულობდენ ბოევიკები: სირიიდან, იორდანიიდან, თურქეთიდან, დნესტრისპირეთიდან, ყარაბახიდან; ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა 'ბაგრამიანის' სახელობის ბატალიონი. გარდა დაქირავებული ბოევიკებისა, ჩვენ გვებრძოდენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს რეგულარული სამხედრო შენაერთები, მათ შორის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 345 სადესანტო პოლკი, გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის საჰაერო ძალების ესკადრილია, ოჩამჩირესა და გუმისტაზე დისლოცირებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბატალიონები. ბრძოლის დროს მოწინააღმდეგეს ეხმარებოდენ სამხედრო-საზღვაო ძალე-

ზის ხომალდები, რომლებიც ზღვიდან ბომბავდნენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. ჩვენი ქალაქებისა და სოფლების აღების გეგმები მტკიცდებოდა მოსკოვში, გენერალურ შტაბში. საინფორმაციო, იდეოლოგიური საქმიანობა ჩვენს წინააღმდეგ წარმოებდა რუსეთის ტელევიზიისა და რადიოს, პრესის მეშვეობით, რომელიც ყალბ, პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა. ომის მსვლელობისას აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოგზავნილი იყო სამხედრო მზვერავები, რომლებიც ჩვენი ქვეყნისათვის საზიანო საქმიანობას ეწეოდნენ. და ბოლოს, აფხაზეთის ოკუპაციის შემდგომ ამ ძალებმა დაირქვეს სამშვიდობო ქვედანაყოფების სახელი და დღეს ამ რანგში იცავენ მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს."

10.

აი, ასე წერს თავის ნარკვევში,"გენოსიდი აფხაზეთში, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე - თამაზ ნადარეიშვილი. და თავისებურ "შავ ირონიად" უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა აალაპარაკეს დასავლეთ ევროპის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები "რუსეთის ჰამანურობაზე" ქართველების მიმართ, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ქართველობა, რომლებმაც თავი დააღწიეს დიდმპყრობელ-შოვინისტები გენოსიდს, გემებით გაჰყავთ სოხუმიდან და ამით ჰუმანიტარულად მოქმედებენო. მაგრამ თითქმის არაფერს არ ამბობდნენ იმის შესახებ, რომ საქართველოს ძირძველი მიწებიდან ძალით გაასახლეს სამას-ათასზე მეტი ქართველი აფხაზეთიდან და ზემო ქართლიდან, რომლებიც დღემდე ელოდებიან თავთავიან სახლკარში დაბრუნებას, რომლებსაც გზას ულობავს სახლში დაბრუნებაზე სწორედ რუსეთი აფხაზი და ოსი ექსტრემისტების ნიღბით.

11.

და ყველა ამ უბედურებაში, ჩვენ, საქართველოს მთელი მოსახლეობა უდანაშაულო ვართ?.. ვითომ მხოლოდ ესა თუ ის პიროვნება და არა ყველა ჩვენ ვართ დამნაშავე, რომ საბჭოთა კავშირის თვითდაშლას "...ვერ ავუბით მხარი",მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის - რიჩარდ ნიქსონის - რჩევისა, რომ "...მხედველობაში მიგვეღო ზესახელმწიფოების საერთო ინტერესებიც?.."

12.

მაგრამ ჯერ ვილაპარაკოთ "ქარტია 91-ის" ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომელთა აზრები გამოაქვეყნა გაზეთმა "კვირის პალიტრამ", 1997 წლის 23-29 ივნისის ნომერში:

მერაბ ურიდია: "ზვიად გამსახურდია ყოველთვის მიყვარდა...ვეუბნებოდი ნუ დააპატიმრებ გია ჭანტურიას, ნუ დახვამ აფრენილ თვითმფრინავს, რომელშიც პრანს-პრესის 19 კორესპონდენტია. ამასვე ვეუბნებოდი სხვა მოვლენებთან დაკავშირებით და ვთხოვდი, როგორმე არ დაემკვიდრებინა 'დიქტატორის' იმიჯი, რასაც თვითონ ნამდვილად არ წარმოადგენდა.

როდა ნიქსონი ჩამოვიყვანეთ, გვირჩიეს ამერიკელებმა, ნელ-ნელა მივყოლოდით პროცესებს, იმპერიის დაშლას, მაგრამ ვერ ავუბით მხარი ამ რჩევას..."

ირაკლი მელაშვილი: "რა თქმა უნდა, გამსახურდიას პოლიტიკა აღიზიანებდა რუსეთს. მოსკოვიდან მიღებულ ჯაშიშურ ტელეგრამებს მიტინგებზე კითხულობდა; როცა ყაზბეგში შეხვედრისას ელცინმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, სადაც ეწერა 'ყოფილი სამხრეთ ოსეთი...', ეს დოკუმენტი კულუარებში უნდა ამუშავებულიყო, ჩვენ კი ქვეყანას მოვდეთ და ვაიძულეთ ელცინი, უარეყო თავისივე ხელმოწერილი შეთანხმება. ბუნებრივია, რომ ამგვარ პოლიტიკოსთან ყველა მოერიდებოდა ურთიერთობას. გამსახურდიამ თვითონვე განაიარაღა საკუთარი თავი და უარგუმენტოდ დარჩა საერთაშორისო თანამეგობრობის პირისპირ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

"შევარდნაძეს ვერც პრორუსულ, ვერც პროდასავლურ პოლიტიკას ვერ დავწამებ, რადგან როცა სჭირდება, ისეთ ანტირუსულ განცხადებასაც აკეთებს, რომ გამსახურდია მოსაგონია.

__თედო პაატაშვილი:__ "არჩევნებში ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი გახლდათ, ის, რომ გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში, რომელშიც 'ქარტია -91' შედიოდა, — ტრადიციულმა პიროვნულმა ამბიციებმა იჩინა თავი, რაც ღუპავს კიდეც ხშირ შემთხვევაში ქართულ პოლიტიკას."

13.

ნუ ვერც რიჩარდ ნიქსონის რჩევა აღვიქვით შესაფერისი სერიოზულობით?.. აი, გაზეთ "ვესტნიკ გრუზიის" 1991 წლის 30 მარტის ერთი ცნობა:

29 მარტს, 1991 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ეწვია საქართველოს და მოლაპარაკება ჰქონდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, რომლის დროს, სხვათა შორის თქვა: საქართველო, მიისწრაფვის რა დამოუკიდებლობისაკენ, ამავე დროს მხედველობაში უნდა მიიღოს ზესახელმწიფოების საერთო ინტერესებიც.

14.

ვითომ ჩვენ მივივიწყეთ, რომ პოლიტიკა ზუსტი მეცნიერება კი არ არის, არამედ შესაძლებლობის ხელოვნება, და რომ პოლიტიკა აგრეთვე არის საჭირო შესაძლებელი გახადო?.. და ვითომ ვერ მოვნახეთ შესაძლებლობა საჭირო შესაძლებელი გავხადოთ, და, ამჯრად, პირველყოვლისა შევძლოთ ჩვენი ლტოლვილების დაბრუნება თავთავიანთ სახლ-კარში აფხაზეთსა და ზემო ქართლში?..

15.

როგორც ჩანს, არც ევგენი პრიმაკოვის, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, და მისი მონის, ტერორისტის ვლადისლავ არძინბას ჩასვლამ ჩვენს დედაქალაქ თბილისში და ედუარდ შევარდნაძესთან მოლაპარაკებამ დადებითი შედეგები ვერ გამოიღო, რადგან ხამასი-ათასი ლტოლვილის დაბრუნებას აფხაზეთსა და ზემო ქართლში პირი არ უჩანს, რითაც, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტებს არ სურთ ხელი აიღონ კავკასიაში, საერთოდ, და საქართველოში, კერძოთ, "მყარი არამყარი მდგომარეობის" შენარჩუნებაზე. და რუსეთის ეს ვაი-პოლიტიკა, როგორც ჩანს, მხარდაჭერას პოულობს, სულ ცოტა, აფხაზ და ოს ექსტრემისტებში, რომლებიც მონურად, დიახ, მონურად ემსახურებიან დიდმპყრობელ-შოვინისტებს თავიანთი ხალხისა და მთელი საქართველოს საზიანოდ.

16.

მაგრამ, გვჯერა, გვწამს, რომ საქართველოს აწ დამოუკიდებელი და სუვერენულის სახელმწიფო მალე აღადგენს თავის უფლებამოსილებას აფხაზეთსა და ზემო ქართლში - მიუხედავთ იმ სიძნელეებისა, რომელსაც ჩვენ გვიქნის დიდმპყრობელ-შოვინისტები, რა თქმა უნდა, ისევ აფხაზი და ოსი ექსტრემისტების, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, მონების ნიღბით.

17.

ნუთუ ეს ვაყბატონები იმასაც კი ივიწყებენ, რომ ჩვენი ერთობის ხადარაჯოზე დგას, უხსოვარი დროიდან, კავკასიონი, კავკასიონის ქედი, რომლის გადმოლახვა და ჩვენი მიწა-წყლების დაპყრობა მრავალი ჯურის დაპყრობლებმა შეეცადეს, მაგრამ უშედეგოდ?...

17.

ამიტომ,- ავღნიშნავთ რა სოხუმის დაპყრობის ოთხი წლისთავს, - ჩვენ ყველაფერი უნდა მოვიმოქმედოთ იმისათვის, რომ, რაც შეიძლება მალე, დაბრუნდეს ხამასი-ათასი ქართველი დევნილი თავთავიან სახლ-კარში აფხაზეთსა

და ზემო ქართლში, რომ აფხაზეთი და ზემო ქართლი ისევ მოექცეს აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს უფლებამოსილების ქვეშ.

ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!.. ჩვენ ეს უნდა განვახორციელოთ!.. დრო არ ითმენს!... ლტოლვილები უკვე ოთხი წელიწადია ელოდებიან თავთავიან სახლ-კარში დაბრუნებას!..

18.

და ვითომ ამ მიზნის განხორციელებას ხელს შეუწყობს 1997 წლის ნოემბრის მოლაპარაკებაზე მიღებული შეთანხმება საქართველოს, აფხაზეთისა და გაეროს წარმომადგენლებს შორის, ჟენევაში,-**შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო**,რომელშიც შეყვანილ იქნება აგრეთვე ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდიბრიტანეთის, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები?.;

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1997 წლის 27 დეკემბერი

## ჩ ვ ე ნ ი   შ ე ნ ი შ ვ ნ ა

### "ხროლის სამაგიერო მოლაპარაკება"

"სამი დღის განმავლობაში აწარმოეს მოლაპარაკება საქართველოსა და აფხაზეთის პოლიტიკოსებმა, გაეროს შუამავლობით, ჟენევაში, მშვიდობიანობის პირობების შესახებ კავკასიაში" , - წერს გერმანიის გავრცელებული გაზეთის "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგის" კორესპონდენტი ფრანკ ნინშუისენი, და განაგრძობს: "ორივე მხარეს სურს ხროლის სამაგიერო მოლაპარაკება, და შეთანხმდენ, 1997 წლის დეკემბერში,შექმნან საკოორდინაციო საბჭო, რომლის სამი ჯგუფი შეიმუშავებს სამ პრობლემის მოგვარების გეგმას:

1.ქართველი ლტოლვილების დაბრუნება;
2.ისევაშენება დანგრეული ქალაქებისა და სოფლებისა;
3.აფხაზეთის მომავალი სტატუსი.

საკოორდინაციო საბჭოში, ამას გარდა, შეყვანილ იქნება ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლები,და აგრეთვე გერმანიის, საფრანგეთის, დიდიბრიტანეთის, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის - ირაკლი მენაღარიშვილის - აზრით, უკვე გადადგმულია სერიოზული ნაბიჯი საქართველო-აფხაზეთის საქმის მოსაგვარებლად. რადგან ამ მოლაპარაკებების მონაწილეები პატარა ნაბიჯებს დიდ ნაბიჯებათ თვლიან, ნათელჰყოფს წლების განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტის რაობას. მაგალითად, ლაპარაკიც კი არ ყოფილა იმაზე, გახდება აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც დღეს არის. გაეროს შუამავლის - გრეგორ ბოვენტერის აზრით, კიდევ დიდი დრო გავა, სანამ აფხაზეთის საკითხში გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგმება."

"აფხაზეთმა, ნათქვამია ამ ცნობაში, - 1992 წელს ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ამ პოზიციაზე დგას დღემდე. საქართველოს კი სურს მისი ჯიუტი რესპუბლიკა ისევ მოათვინიეროს, რომელსაც ავტონომია უკვე გააჩნია. სისხლიანმა კონფლიქტმა 1992 წელს, რომელიც 1993 წელს საქართველოს დამარცხებით დამთავრდა, გამოიწვია ასი-ათასობით ქართველების გაქცევა აფხაზეთიდან, მაგრამ ზავი მაინც არ დადებულა მათ შორის."

"გაეროს დაახლოებით 120 მეთვალყურე და ეს-ენგეს 1500 ჯარისკაცი, როგორც სამშვიდობო შეიარაღებული ძალები, სამი წელიწადია რამდენიმე უმკვავდებიან არსებულ სიძნელეებს, მაგრამ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მას ლტოლვილების დაბრუნების საქმესა და აფხაზეთის სტატუსის შემუშავებაში. ორივე საკითხი უნდა გადაწყდეს აგრეთვე თვით რუსეთშიც, რადგან იგი მის კონტროლს კავკასიაში ასე ადვილად არ დაანებებს თავს. და რამდენადაც ეს-ენ-გეს ჯარები უმთავრესად რუსებისაგან შესდგება, რომ საქართველოში წესრიგისათვის იბრუნოს, ასრულებს ეს ჯარი აგრეთვე თავის ფუნქციას, როგორც ძალის ფაქტორი", - დასძენს "ზიუდოიჩე-ცაიტუუნგის" კომენტატორი - ფრანკ ნინშეისენი.

ჩვენი შენიშვნა:
"ზიუდდოიჩე-ცაიტუნგის" ეს დიპლომატიური ენით შექმნილი ცნობა-კომენტარიც ნათელსხდის, რომ მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს არა აფხაზ ექსტრემისტებთან საქართველოს მხრიდან, არამედ აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით მომქმედ დიდმპყრობელ-შოვინისტებთან, ე.ი.რუსეთთან; და რუსეთი თუ ხელს არ აიღებს ბოსტბოლშევიკური რუსეთის იმპერიის ისევ-შექმნაზე, მაშინ ყოველგვარ მოლაპარაკებას აზრი არ აქვს თუ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები - ამ შემთხვევაში - გერმანია, საფრანგეთი, დიდიბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები - ღიათ, და ყოველგვარი დიპლომატიური მიხვეულ-მოხვეული ენის გარეშე, არ დაარწმუნებენ რუსეთს, რომ იმპერიების ხანა ისტორიას ჩაბარდა, და კავკასია, და ამით საქართველო, სწორედ მაშინ იქნება რუსეთის სანდო მეზობელი, როცა რუსეთი ხელს აიღებს აფხაზეთსა და ზემო ქართლში ოსი და აფხაზი ექსტრემისტების მხარდაჭერაზე იმ მიზნით, რომ საქართველოში შენარჩუნებულ იქნას "მყარი არამყარი მდგომარეობა", რითაც რუსეთს სურს აფხაზი და ოსი ექსტრემისტების, კიდევ მეტი, შოვინისტების გაბატონება მთელს საქართველოში, რომ საქართველო ისევ ჩაყენებულ იქნას ისეთ მონურ მდგომარეობაში, როგორც იყო ბოლშევიკების ბატონობის დროს დაწესებული 1921 წლიდან - 1991 წლამდე.

ნუთუ შეუძლებელია რუსეთის დარწმუნება იმაში, რომ მე-21 საუკუნეში, ინფორმაციის საუკუნეში, შეუძლებელია შიშველი იმპერიული პოლიტიკის წარმოება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში?..

აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში და ქართველი ლტოლვილების დაბრუნებაში თავიანთ სახლ-კარში, ისევ ვიმეორებთ, - დიდი როლის თამაში შეუძლიათ გერმანია-საფრანგეთ-დიდბრიტანეთ-ამერიკას, რომლებიც უკვე აღნიშნულ საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაშია.

კ.ი.,პარიზი,
პარიზი, 1997 წლის დეკემბერი

აფხაზი მწერლისა და საზოგადო
მოღვაწის დიმიტრი გულიას ლექსი
"სიმღერა აფხაზეთზე":

"მშობლიური აფხაზეთი,
მისი მიწა, მთები თეთრი,
მზიანია და ლამაზი,
და ნაზად იქრის ქარი.
ჰე, საჩქარო უნდა ნახო
აფხაზეთის სამოსახლო.
ხელ ჰაგარა კუთხე წყნარი,
საქართველოს ცურგა მხარის."

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო - ერთობა მრავალფეროვანებაში

## ჩ ვ ე ნ ი   ა ფ ხ ა ზ ე თ ი

"ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული მეობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართო, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'იგი თავისა მტერია'".

დიმიტრი გულია
აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

---

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
ტერიტორია 1918-1921 წლებში: 91 100 კვ.კმ.




საბჭოთა საქართველოს
ტერიტორია 1921-1991 წლებში: 69 700 კვ.კმ.

დამოუკიდებელი საქართველოს
ტერიტორია 1991 წლიდან: 69 700 კვ.კმ.

Р. ЧАБУКИАНИ

# ПРЕЛЮДИЯ ТРАГЕДИИ АБХАЗИИ

აფხაზეთის ტრაგედიის
პრელუდია

დასავლეთ საქართველოს სამთავროების დროშები

ЗНАМЕНА ЗАПАДНОГРУЗИНСКИХ КНЯЖЕСТВ



იმერეთი
ИМЕРЕТИИ



ოდიში
ОДИШИ



СВАНЕТИИ
სვანეთი



ГУРИИ
გურია.



АБХАЗИИ
აფხაზეთი



ГЕРБ г. КУТАИСИ
ქალაქ ქუთაისის გერბი

"ოლქის რუსულ კოლონიზაციას აქვს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა პოლიტიკურ-მხრივაც; აფხაზები-არიან უკიდურესად უკულტურო ხალხი როგორც გონებრივად, ისევე ზნეობრივად; და პოლიტიკურად არასაიმედონი არიან. ქართული მოძრაობა სოხუმის ოლქში ემსახურება ამ მხარის გარუსების დამუხრუჭებას".

«Русская колонизация округа имеет большое государственное значение и в политческом отношении, абхазы составляют из себя народность крайне малокультурную, как в умственном, так и в нравственном отношении, проявляют политическую неблагонадежность: Грузинское движение в Сухумском округе служит тормозом обрусения края».
(Из секретных архивных материалов, представленных Кутансским губернатором властям Закавказья, ф. 12, № 7461, 1904 г.).

## *ИЗ ИСТОРИИ ГОСУДАРСТВЕННЫХ ОБРАЗОВАНИЙ В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ*

Если внимательно посмотреть физическую карту Закавказья, нетрудно убедиться в том, что территория Абхазии от снежных гор до побережья Черного моря открыта со стороны ряда других регионов Грузии (Самегрело, Сванети) и является составной частью Колхидской низменности — Западной Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი"

როგორც აკადემიკოსმა გურამ შარაძემ გვაცნობა თბილისიდან, ტელეფონით, "დილის გაზეთს" დაუბეჭდია ეს "შენიშვნები", რომლის შესავალი თვით აკადემიკოსს დაუწერია. ამიტომ გადავწყვიტეთ ეს "შენიშვნები" წერილითურთ ჩვენც გამოვაქვეყნოთ.

"მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო
კოლეგია.
პარიზი-ლევილი, 1997 წლის 2 დეკემბერი

---

ლევილი-პარიზი, 4.7.1997 წ.

ქალბატონ მანანა კარტოზიას
"დილის გაზეთის" მთავარ რედაქტორს!

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი 380002
მარჯანიშვილის ქ. ნომ. 5, IV სართული
"დილის გაზეთის" რედაქცია

პატივცემულო ქალბატონო მანანა,

თქვენი "დილის გაზეთის", 1997 წლის 24 მაისის ნომერში გავეცანი პროფესორ კარლო ქვრივიშვილის ნარკვევ-წერილს – "ნოე ჟორდანიას საკუთარი ჯარის უფრო ეშინოდა, ვიდრე მტრისა", რომლის გამო დავწერე "შენიშვნები" სათაურით – "პატარა 'ოქროს ხანა'" ანუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – 1918-1921 წლებში, რომელსაც გიგზავნით რადიოდოკუმენტაციასთან ერთად – "პატარა 'ოქროს ხანა'" – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც გამოვეცით ქ. მიუნხენში(გერმანია) 1984 წელს.

გთხოვთ, თუ შესაძლებელია, ეს ჩვენი "შენიშვნები" ნაწილ-ნაწილ გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ ჩვენს თვალსაზრისს არ იზიარებთ.

და თუ თქვენ ამ "შენიშვნების" გამოქვეყნებას საჭიროთ არ ჩათვლით, მაშინ გთხოვთ ეს "შენიშვნები" და "პატარა 'ოქროს ხანის'" დოკუმენტაცია გადასცეთ ან გააცნოთ ბატონ პროფესორ კარლო ქვრივიშვილს.

"შენიშვნების" გამოქვეყნების შემთხვევაში, ჩვენ უარს ვამბობთ ჰონორარზე, რადგან ვიცით როგორი ძნელია დღეს საქართველოში გაზეთის გამოცემა. მაგრამ თუ თქვენ მაინც უნდა გადაიხადოთ ჰონორარი, მაშინ, გთხოვთ, ეს მცირე თანხმა გადასცეთ ქალაქ ქუთაისის "ბაგრატის ტაძრის" აღდგენის ფონდს.

ღრმა პატივისცემით და ქართული სალამით,

კარლო ინასარიძე
ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს"
სარედაქციო კოლეგიის წევრი.
ლევილი-პარიზი, 1997 წლის 4 ივლისი

# შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

## "შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი"

## (პროფესორ კარლო ცქიტიშვილის ერთი წერილის გამო)

### პატარა "ოქროს ხანა"
### ანუ
### საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
### 1918-1921 წლები

I.

პატარა "ოქროს ხანა" - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - 1918-1921 წლები. ასეთი სათაურითა და ქვესათაურით გამოქვეყნდა მიუნხენში (გერმანია) 1984 წელს თითქმის შვიდას-გვერდიანი კრებული, რომელშიც თავმოყრილია ზოგიერთი დოკუმენტები პატარა "ოქროს ხანისა", რომლებშიც გაშუქებულია პატარა "ოქროს ხანის" წინა და მომდევნო მოვლენებიც, რომლის ცენტრში დგას სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

II.

ეს კრებული, სამწუხაროთ, მეტად მცირე ტირაჟით გამოსცა რადიო "თავისუფლების" რედაქციამ, და, როგორც ჩანს, ვერც რადიო "თავისუფლებით" შესაძლებელი გახდა საქართველოს ფართო საზოგადოება გაეცნოთ აღნიშნული კრებულის რაობას, რადგან რადიო "თავისუფლების" გადაცემების მოსმენა საქართველოში იმ დროს არა მარტო საშიში, არამედ მათი მოსმენა, გადაცემების ჩახშობის შედეგად, თითქმის შეუძლებელიც იყო.

III.

მაგრამ, როგორც ჩანს, არც აღნიშნულ კრებულს და არც ასობით გამოკვლევებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პატარა "ოქროს ხანის" შესახებ, არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია ბოლშევიკების მიერ თავზემოხვეულ აზრებსა და შეხედულებებზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რაობის შესახებ, რომლის უახლეს საბუთად გვევლინება პროფესორ კარლო ცქიტიშვილის ვრცელი სტატია სათაურით:"ნოე ჟორდანიას საკუთარი ჯარის უფრო ეშინოდა, ვიდრე მტრისა. რატომ დაეცა დემოკრატიული საქართველო?!" ეს სტატია-ნარკვევი გამოქვეყნებულია "დილის გაზეთის" .1997 წლის 24 მაისის ნომერში.

IV.

გაეცანით რა ამ სტატია-ნარკვევს, ჩვენ ვერ გავიგეთ: ვითომ საქართველოში ზოგიერთ მეცნიერისათვის ჯერ კიდევ არ დადგა პოსტბოლშევიკური ხანა?..

V.

შენიშვნა პირველი:
ეხება რა ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის 31 მარტს დადებულ საზავო ხელშეკრულებას, პროფესორი კარლო ცქიტიშვილი წერს:
"რუსეთის მთავრობამ წინადადება მისცა ქართველ მენშევიკებს, მონაწილეობა მიეღოთ მოლაპარაკებაში, მაგრამ მათ უარი განაცხადეს და საქართველოს რწმუნებანი რუსეთის დელეგაციას გადასცეს!"

---

ამ პირველ წინადადებაში უკვე ბატონი პროფესორი ლაპარაკობს ისე, რომ საქართველოში თითქოს დღესაც ბოლშევიკური რეჟიმი ბატონობდეს; და აი, რატომ: გამოთქმა-ტერმინი "ქართველი მენშევიკები" წმინდა წყლის ბოლშევიკური ტერმინია, რომ ბოლშევიკებს მეხამედახედეები, ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია რუს მენშევიკებთან გაეთანასწორებინათ, და ამით მეხამედახედეების თეორია და პრაქტიკა გაეყალბებინათ, რასაც მათ მიაღწიეს კიდეც ისეთი სიძლიერით, რომ პროფესორი კარლო ცქიტიშვილი და, საერთოდ, მეცნიერები ამგვარი მაქიაველური პოლიტიკის გაშიფრვასაც კი არ ცდილობენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ბოლშევიზმი დაემხო და საქართველო უკვე, 1991 წლის 9 აპრილიდან, ისევ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა.

"ბოლშევიზმი" -"მენშევიზმი", ვფიქრობთ ამას მტკიცება არ ესაჭიროება, წმინდა რუსული ტერმინებია, რომელიც ასახავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რაობას, მაგრამ არა მესამედასელთა რაობას, რის დასამტკიცებლად მაინც საჭირო ყოფილა რამდენიმე ფაქტის აღნიშვნა, რომ ბოლოს და ბოლოს გავარკვიოთ, - სხვაა მესამედასელები, ე.ი.საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია და სხვა - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია:

<u>ფაქტი პირველი:</u> მესამე დასი, ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია ჩამოყალიბდა 1893 წლის 7 თებერვალს, და მიიღო სამოქმედო პროგრამა, რომლის ბაზა იყო და დარჩა დღემდე -"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა". რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია კი ჩამოყალიბდა 1398 წელს, ე.ი.ხუთი წლით უფრო გვიან, რითაც იმის თქმა შეიძლება, რომ მესამედასელები არასოდეს არ ყოფილა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენელი ნაწილი.

<u>ფაქტი მეორე:</u> მესამე დასი, ე.ი.საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია დაარსდა უშუალოდ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული, განსაკუთრებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მსოფლხედვის შუქზე. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია თავიდანვე იყო თვითმყოფადი პოლიტიკური პარტია, რომლის ფესვები ქართველი ერის, საქართველოს ისტორიული წარსულიდან გამომდინარეობს, როცა პიროვნების თავისუფლება ერის თავისუფლებას დაუკავშირა.

<u>ფაქტი მესამე:</u> მესამედასელებმა <u>პიროვნების თავისუფლების ერის თავისუფლებასთან დაკავშირებით</u>, მოახდინეს დასავლეთ ევროპული მარქსიზმის არსებითი <u>რევიზია</u>, რომელიც კიდევ იმითაც გარღმავდა, რომ <u>მუშების ბედი გლეხობის ბედს დაუკავშირა</u> და ამით საქართველოს ყველა მშრომელთა მასობრივი პარტია გახდა.

<u>ფაქტი მეოთხე:</u> რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ამით ბოლშევიზმისა და მენშევიზმის შესახებ - ერთი მხრივ - და მესამედასელების შესახებ - მეორე მხრივ -, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში -"ჩემი წარსული", რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს, სხვათა შორის, წერს:

"1902 წლის დამდეგს ვიენაში მივიღეთ ტფილისის კომიტეტის წერილი, რამაც გამაწბილა იმით, რომ თავზე ეწერა: - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. გამიკვირდა, რა შუაშია რუსეთის პარტია. როდის შევერთდით, რა პირობით - არაფერი არავინ იცოდა...დამაფიქრა, შემეშინდა იდეოლოგიურადაც არ მიგვეღო რუსების მთელი პოზიცია, სადაც არ იდგა არც გლეხის საკითხი, არც ნაციონალური, არც ორგანიზაციული ჩვენის მნიშვნელობით და სხვა. საჭიროა ამ უკანასკნელის ახსნა. ჩვენში ორგანიზაცია შესდგებოდა მხოლოდ მუშებისაგან, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ისინი. მხოლოდ პროპაგანდისტები იყვნენ ინტელიგენტები, მაგრამ მათ არ ქონდათ გადამწყვეტი ხმა კომიტეტში და რაიონებში. ნივთიერი მხარე მთლად აწვა თავზე მუშებს, რომელნიც ყველა 'პაღურქაზე' იხდიდენ დადგენილ პარტიულ გადასახადს. რუსეთში კი იყო პირუკუღმა: ორგანიზაცია შესდგებოდა ინტელიგენტ-პროპაგანდისტებისაგან. მასსა მათ მისდევდა, ვულ შოულობდენ ინტელიგენტები და მოქონდათ ორგანიზაციაში. მუშა არას იხდიდა...ეს იყო, მამასადამე, პარტია არა მუშების, არამედ მუშების სასარგებლო, დიამეტრალურად წინააღმდეგი ჩვენი პარტიული წყობილება...რაკი ასეთი დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და რუსებს შორის, საზიარო მიმაჩნდა ასე ხელაღებით მათ პარტიაში გათქვევა. მაგრამ რაკი ეს მოხდა, საჭირო იყო თავისი სახიათის შენარჩუნება და ცდა ამ მხრით გავლენის მოხდენა თვით რუსებზე. ამ მიზნის მისაღწევად, საჭირო იყო, პირველ-ყოვლისა, შექმნა საქართველოს ცენტრალური ორგანოს." ნოე ჟორდანია დასძენს:"ბოლშევიკები გაირიყენ მთელ საქართველოში"; "...ამასთანავე უარყოფდენ რუსულ მენშევიზმს, რომელიც წვრიმალებში ედავებოდენ ლენინელთ, ხოლო მთავარში კი მათ ეთანხმებოდენ".

ამგვარად, ისტორიული ფაქტების უგულებელყოფაა ბოლშევიზმის ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიზმის მესამედასელებთან გაიგივება და ამით საქართველოს სოციალ-დემოკრატების გაიგივებაც რუსეთის სოციალ-დემოკრატებთან, რომელთათვის, სხვათა შორის, არ არსებობდა ეროვნული საკითხი თუ დემოკრატიული პრინციპი ორგანიზებული მუშაობისა: ბატონობა "ქვემოდან-ზემოთ" და არა "ზემოდან-ქვემოდ."

VI.

ამდენად, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ე.ი. ლენინის მთავრობამ წინადადება მისცა არა "ქართველ მენშევიკებს", როგორც ამას წერს პროფესორი კარლო ცქიტიშვილი, არამედ საქართველოში იმ დროს არსებულ მმართველ ორგანოს, ან მის "ოზაკომს", ანდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, რომელიც იყო იმ დროს საქართველოს ნამდვილი მმართველი.

VII.

1917-1991 წლების ფაქტების "ქრონოლოგია" ასეთ სურათს იძლევა:

1917 წლის 27 თებერვალი – მეფის რუსეთის დამხობა.

1917 წლის 2 მარტი – დროებითი მთავრობის შექმნა პეტროგრადში გ.ლვოვის თავმჯდომარეობით. მაგრამ მთავრობა შებოჭილი იყო საბჭოების კონტროლით. ასე შეიქმნა "ორ-ხელისუფლებიანობა".

1917 წლის 28 თებერვალს – აცნობეს მეფისნაცვალს კავკასიაში – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს რევოლუციის დაწყება პეტროგრადში.

1917 წლის 4 მარტს – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თავისი თავი გამოაცხადა მთავრობის ერთგულად პეტროგრადში.

1917 წლის 4 მარტიდან – საქართველოს ფაქტიური მმართველი გახდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია.

------------ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის შექმნა "ოზაკომი"(ოსობიი ზაკავკაზსკი კომიტეტ),რამაც შეიყვანა სახელმწიფო სათათბიროს 4 დეპუტატი – ვ.ხარლამოვი, მ.პარაჯანოვი (კადეტები), ნ.ჯაფაროვი (მუსავატი), კ.აბაშიძე (სოციალისტ-ფედერალისტი), რომელიც შეცვალა, ავადმყოფობის გამო, აკაკი ჩხენკელმა(სოციალ-დემოკრატი) და გამოგზავნა თბილისში.

1917 წლის 10 მარტი – თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა "ოზაკომი" არ ცნო კავკასიის დემოკრატიის გამომხატველად. ამას გარდა, "ოზაკომი" – ერთი მხრივ – და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო – მეორე მხრივ – ქმნიდა "ორ-ხელისუფლებიანობის" საშიშროებას.

1917 წლის 25 ოქტომბერი – ბოლშევიკური გადატრიალება პეტროგრადში, და ამით "დემოკრატიის გათიშვა". "ლენინმა თავის ნამესტნიკად დანიშნა შაუმიანი. ეს ვაჟბატონი ჩქარა დაფრთხა და მიიმალა", წერს ნოე ჟორდანია და დასძენს:"ბოლშევიკების მუშაობამ მიიღო აშკარა ჩვენი ქვეყნის სამტრო ხასიათი".

1917 წლის 19 ნოემბერს – საქართველოს ეროვნული ყრილობა იწყებს მუშაობას.

1917 წლის 22 ნოემბერს – საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 88 წევრი; მათგან 51 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან; 11 სოციალისტ-ფედერაციულ პარტიიდან; 10 ეროვნულ დემოკრატიული პარტიიდან; 1 რადიკალ-დემოკრატიული პარტიიდან; 2 უპარტიოებიდან და 4 "ალიონისტების" დაჯგუფებიდან.

1918 წლის 10 თებერვალს – მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი საქართველოს ხელმძღვანელი პირების ინიციატივით. შედგა ამიერკავკასიის ფედერაციული მთავრობა, რომელშიც შედიოდა ოთხი ქართველი, 5-ი აზერბაიჯანელი და ოთხი სომეხი.

1918 წლის 9 აპრილს – გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს დაიშალა თურქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის წინააღმდეგობისა და სომეხ-აზერბაიჯანელთა უთანხმოების გამო.

**1918 წლის 26 მაისს** – გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რის შემდეგ სომხეთმაც და აზერბაიჯანმაც გამოაცხადეს დამოუკიდებლობა.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შედგენა დაევალა ნოე რამიშვილს, რომელმაც შეადგინა კოალიციური მთავრობა:

პ ი რ ვ ე ლ ი   მ თ ა ვ რ ო ბ ა:

- მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა ნოე რამიშვილი(სოციალ-დემოკრატი);
- საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი(სოციალ-დემოკრატი);
- სამხედრო მინისტრი – გრიგოლ გიორგაძე(სოციალ-დემოკრატი);
- მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – ნოე ხომერიკი(სოციალ-დემოკრატი);
- ფინანსთა მინისტრი – კონსტანტინე კანდელაკი(სოციალ-დემოკრატი)
- იუსტიციის მინისტრი – შალვა მესხიშვილი(სოციალისტ-ფედერალისტი);
- განათლების მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი(სოციალისტ-ფედერალისტი);
- ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – გიორგი ჟურული(ეროვ.დემ.).

მ ე ო რ ე   მ თ ა ვ რ ო ბ ა:

**1918 წლის 24 ივნისს** – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გახდა ნოე ჟორდანია. ნოე რამიშვილი კი დარჩა შინაგან საქმეთა მინისტრი. ამას მოჰყვა მთავრობაში ზოგიერთი ცვლილებები: საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ევგენი გეგეჭკორი.

მ ე ს ა მ ე   მ თ ა ვ რ ო ბ ა:

**1919 წელში** – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რის შედეგად მთავრობა შედგა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებისაგან.

**1921 წლის 11 თებერვალს** – საბჭოთა რუსეთმა, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ხუთი მხრიდან, და ცხარე ბრძოლების შემდეგ, რომლის დროს არაერთი სასტიკი მარცხი განიცადა მომხდურმა მტერმა, განსაკუთრებით ტაბახმელაზე, თბილისის მისადგომებთან, – დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და იგი ისევ რუსეთის განუკითხავი ბატონობის ქვეშ მოაქცია.

**1921 წლის 17 მარტს** – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, საქართველოს დამფუძნებელი კრების(პარლამენტის) დადგენილებით, დატოვა საქართველო, თავი შეაფარა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზს, რომ ბრძოლა განეგრძო საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენისათვის.

**1991 წლის 9 აპრილი** – ისევ აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" შესაბამისად.

VIII.

ნოე ჟორდანია, მისი მთავრობის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ, თავის მოგონებაში –"ჩემი წარსული" – წერს:

"...საქმეთა მსვლელობაში გამოირკვა ორი გარემოება: ერთი, მთავრობის ხელმძღვანელი მისდევდა არა თავისთავად..., მთავრობის კანდიდატი შეკავშირებულია არა თვით თანამდებობასთან, არამედ პიროვნებასთან. ნოე ჟორდანიას ბრძანებას დავემორჩილები, სხვებისას კი არა – აი, ამ ფსიქოლოგიის ამოძახილი. ასეთი აზროვნება, ასეთი ფსიქიკა პირს უთხრიდა ნაციონალური მთავრობის არსებობას, მთელ ნაციონალურ საქმეს. კანონიერად შედგენილი მთავრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის მთავრობაა – ეს ახეა ყოველგან, ახე უნდა იყოს ყოველგან. ჩვენში კი ეს დიდი ხაქმე დაუკავშირეს პიროვნებას. ამიტომ მე ვერას გზით ვერ მოვიშორე ეს თანამდებობა... მქონდა დიდი ლაპარაკი და კამათი პასუხისმგებელ ამხანაგებთან. ესენი ერთხმად მარწმუნებდნენ, რომ ჩემი გადადგომა დაანგრევს სახელმწიფოს, სამაგიეროდ ავტორიტეტიანი და მისაღები არავინაა და ისევ აიწყვეტენ დაბმული სახელმწიფო აზროვნების მიუჩვეველი ძაღებიო".

IX.

პროფესორი კარლო ცქიტიშვილი კი ამის შესახებ, თავის აღნიშნულ სტატიაში, სხვათა შორის, წერს:
"საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ მოხდა სამხედრო გადატრიალება. ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსმა ვალიკო ჯუღელმა ტანახმელაში თავი მოუყარა გვარდიის ნაწილებს და ნოე რამიშვილის მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი, დაუყონებლივ გადადგომისა, რაც შესრულდა კიდეც. მთავრობის თავჯდომარე გახდა ნოე ჟორდანია!"

X.

გასაკვირია, გასაყეყეჩებელია, საიდან გამოყავს ბატონ პროფესორს "სამხედრო გადატრიალების" ფაქტი!.. ასეთი უმეცრება თვით ბოლშევიკ ვაი-ისტორიკოსებსაც კი არ მოსვლიათ თავში, იმ დროსაც კი, როცა ე.წ-ლი "მენშევიკური მთავრობის" და "ქართველი მენშევიკების" ლანძღვა-გინება საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა იყო; და დღეს?.. პოსტბოლშევიკურ ხანაში ვინ აძლევს ჩვენს პროფესორს ამგვარი უმეცრება გვიმტკიცოს?..

XI.

<u>შენიშვნა მეორე:</u>
ისევ დაუბრუნდეთ პროფესორ კარლო ცქიტიშვილის მტკიცებას, რომ თითქოს "...რუსეთის მთავრობამ წინადადება მისცა ქართველ მენშევიკებს, მონაწილეობა მიეღოთ მოლაპარაკებაში, მაგრამ მათ უარი განაცხადეს და საქართველოს რწმუნებანი რუსეთის დელეგაციას გადასცეს!"
აქ ბატონი პროფესორი ამტკიცებს, რომ თითქოს საბჭოთა ბოლშევიკებისაგან შემდგარი მთავრობა და ამიერკავკასიის კომისარიატი, ე.ი.მთავრობა, თითქოს შეთანხმებულად მოქმედებდნენ <u>ბრესტლიტოვსკის ზავის</u> დადების პროცესში!..

XII.

ეს საკითხი გარკვევას მოითხოვს: "...1917 წლის 11 ნოემბერს, თბილისში, შედგა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ქალაქის სათათბიროს გამგეობამ, კავკასიის არმიის სარდლობამ, სამხარეო საბჭოებმა, ოზაკომის შემადგენლობამ, და გადაწყდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის ჩამოყალიბება. 15-ი ნოემბრის მთავრობის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიამ თავის ხელში აიღო მმართველობის საქმე, და იმავე დღეს – მთავრობის 15 ნოემბრის სხდომაზე – <u>ოზაკომმა</u> – ამიერკავკასიის კომისარიატს, ე.ი. მთავრობას, <u>აკაკი ჩხენკელის</u> მეთაურობით, თავისი რწმუნებანი ჩააბარა. <u>ამის შემდეგ ამიერკავკასიის მთავრობამ უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო საზავო მოლაპარაკებაში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიასა და მის მოკავშირეებს შორის ბრესტლიტოვსკში</u>.

XIII.

აქვე უნდა ავღნიშნოთ შემდეგი:
1917 წლის 2(15) დეკემბერს დადებულ იქნა საომარი მოქმედების შეწყვეტის ხელშეკრულება. 1917 წლის 9(22) დეკემბერს დაიწყო მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1918 წლის 3 მარტს; ხოლო რატიფიცირებულ იქნა 15 მარტს, 1918 წელს, სრულიად რუსეთის მე-4 საგანგებო ყრილობის მიერ. 1918 წლის 13 ნოემბერს, გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების, ე.ი. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა <u>გააუქმა</u> ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება.

XIV.

რა თქმა უნდა, სადავო საკითხია – უნდა მიეღო მონაწილეობა ამიერკავკასიის კომისარიატს, ე.ი. მთავრობას ბრესტლიტოვსკის საზავო კონფერენციაში თუ არა. მაგრამ, მას შემდეგ, როცა საბჭოთა რუსეთმა <u>გააუქმა</u> ბრესტ-

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება 1918 წლის 13 ნოემბერს, გასაგებია, ამ ხელშეკრულებამ დაკარგა იურიდიული და ფაქტობრივი ძალა.

XV.

შენიშვნა მესამე:

"საქართველოს მთავრობა სამხედრო მინისტრებად აყენებდა ხან სახალხო მასწავლებელს, ხან ადვოკატს, ხან ექიმს, ხან 'ზემსკი' მოღვაწეს. ოღონდაც სამხედრო სამინისტროს სათავეში არ ჩასდგომოდა პროფესიონალი სამხედრო - ფარული შიში ჰქონდათ ახალი ნაპოლეონისა", წერს პროფესორი კარლო ცქიტიშვილი.

XVI.

ერთი შეხედვით, სამართლიანია სამხედრო საქმეს სათავეში ედგას პროფესიული სამხედრო პირი, მაგრამ ვითომ "ბონაპარტიზმის" საშიშროება არ არსებობს?.. გადახედეთ ლათინური ამერიკის საქართველოსავით პატარა სახელმწიფოებს?.. იქ ხომ დღესაც, უკვე "ინფორმაციის ხანაში", სამხედრო გადატრიალება დღის წესრიგშია?.. და ვითომ ჩვენ, ქართველობა, დაცული ვიყავით, განსაკუთრებით რუსეთის სამოქალაქო ომის პირობებში, ქართველი ბონაპარტისაგან?..

შენიშვნა მეოთხე:

XVII.

მაგრამ ამ მოვლენას აქვს სხვა განზომილებაც: სამხედრო "პროფესიონალიზმი" არსებითად შეიცვალა "ვალმის კანონადის" შემდეგ, როცა პრუსიული "პროფესიული არმია", 1792 წლის 20 სექტემბრიდან, დაამარცხა რევოლუციურმა მოხალისეებმა, შეძახილებითა და ბრძოლით აღტკინებული "გაუმარჯოს ერს!"-"Vive la Nation!" და მართლაც დაამარცხეს მტერი, რის შეახებ ი.ვ. ფონ გოეთემ თქვა:"აქედან იწყება მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა!" საქართველოს სოციალ-დემოკრატებს, მესამედასელებს სწამდათ, რომ შესაძლებელია მოდერნული არმიის შექმნა რესპუბლიკურ საწყისებზე, რომლის მაგალითია დღესაც, თუ გნებავთ, შვეიცარიის შეიარაღებული ძალები. მართალია, "საქართველოში იმ დროისთვის იყო 12 ათასი ოფიცერი და 155 ათასი გაწრთვნილი ჯარისკაცი", როგორც ამას პროფესორ კარლო ცქიტიშვილი წერს, მაგრამ ვითომ მათი უმრავლესობა აღგზნებული იყო ვალმის მოხალისეებივით თავი შეეწირათ "ერის გამარჯვებისათვის?.." რა თქმა უნდა, ესეც სადავო საკითხია. მაგრამ სადავო არ არის ის, რომ საქართველოს სახალხო გვარდია, რომელიც, ჩვენი პროფესორის ცნობით, "მშვიდობიან პირობებში ეს იყო 24 ბატალიონი და არმიის 12 ბატალიონი",-ომის პირობებში უმკლავდებოდა გარეშე და შინაურ მტრებს.

XVIII.

შენიშვნა მეხუთე:

"სულ 33 თვე იარსება საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ,"- წერს პროფესორი კარლო ცქიტიშვილი და განაგრძობს:"ამ პერიოდში მოუწია ომი სომეხთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, სამ-სამჯერ მოუხდა ომი რუსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ. ეს გარეთ! შიგნით - სამი აჯანყება სამხრეთ ოსეთში, ბოლშევიკური აჯანყებები დუშეთში, მესხეთ-ჯავახეთში, სამეგრელოში, ხევში, აჭარაში, გურიასა და თბილისში. შეიძლება ითქვას, რომ 33 თვის განმავლობაში არც ერთი არ იყო მშვიდობიანი".

XIX.

მაშინ გამოდის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვა კარგად ყოფილა ორგანიზებული, რომ ყველა ომი და აჯანყება მოიგერია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია, თითქმის საქართველოს ისტორიულ საზღვრებში, შეინარჩუნა და დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებას მიჰყო ხელი. და თუ სამხედრო სამინისტროს სათავეში არ იდგენ"პროფესიონალები", ხოლო ოთხი მთავარსარდლის - გენერლების გაბაშვილის, კვინიტაძის, ანდრონიკაშვილისა და მაზნიაშვილის, განსაკუთრებით კი გენერალ გ.კვინიტაძის მოღვაწეობა, რომელიც "...4-ჯერ დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან(ყოველი გამარჯვების შემდეგ!), - მეტად ხანმოკლე იყო,-ვითომ ეს გამოწვეული არ იყო "რესპუბლიკური სამხედრო დოქტრინით", რომლის თანახმად ქვეყანას იცავს არა პროფესიონალური, არამედ რესპუბლიკური არმია?..და აქ ისევ არ მივდივართ შვეიცარიისა და "ვალმის კანონადის" მაგალითებთან?.. და თუ ეს ასეა, - და ეს ასეა უდავოდ, - მაშინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა უფრო შორს და უფრო კანონზომიერად არ ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე პროფესიონალი გენერლები, რის დამადასტურებელია იგივე ფაქტები, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მისი 33 თვის განმავლობაში არც ერთი ომი და ბრძოლა არ წაუგია, ყველა მოიგო და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უზრუნველჰყო?..

<u>შენიშვნა მეექვსე:</u>

XX.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომს, ეს უკვე წაგებული იყო მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთმა, თითქმის უომრად, დაიპყრო აზერბაიჯანი და სომხეთი, რაც, როგორც ჩანს, მოხდა რუსეთ-თურქეთის შეთანხმებით, რომლებმაც,ასე თუ ისე, გაინაწილეს კავკასია, რის შედეგად გასანაწილებელი დარჩა მხოლოდ საქართველო!.. ჩვენის აზრით, საქმეს ვერც ის ორი დივიზია უშველიდა, რომლის შექმნაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ყარა უთქვამს - ჯერ - გერმანელებისა და - შემდეგ - ინგლისელებისათვის,თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კარგად შეიარაღებული ორი დივიზია იმ დროს დიდ საბრძოლო ძალას წარმოადგენდა. მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისიც, რომ - თუ საქართველო გერმანული თუ ინგლისური შეიარაღებით - ორ დივიზიასშექმნიდა, მაშინ საქმის ვითარება კავკასიაში სხვაგვარად წარიმართებოდა, თუმცა არა საქართველოს სასარგებლოდ. არ უნდა დავივიწყოთ,რომ ინგლისელმა ფირმებმა უკვე იმ დროს დადეს ხელშეკრულებები საბჭოთა რუსეთთან ბაქოს ნავთის მიწოდებაზე საქართველოს სატრანზიტო გზით, როცა საქართველო ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო; და ინგლისის მთავრობამ განუცხადა საბჭოთა რუსეთს, რომ მას "არავითარი ინტერესი არ აქვს" ამიერკავკასიაში, და ამით ხელი გაუხსნა რუსეთის წითელ იმპერიალიზმს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. --

XXI.

<u>შენიშვნა მეშვიდე:</u>

პროფესორ კარლო ცქიტიშვილს მოყავს ამონაწერი გენერალ რ.კაბაშვილის მემუარებიდან, სომელშიც ის, სხვათა შორის, ამბობს:

"სომხების, ოსების, დუშეთის, მესხეთის ამბებმა ჭკუა ვერ ასწავლეს 'ნეიტრალ' მენშევიკებს. მათ ჯარის წესიერი მოწყობა ამ გაკვეთილების შემდეგაც არ მოინდომეს. გვარდია(ჯერ "წითელი", შემდეგ სახალხო), იყო 'საყვარელი' შვილი, ჯარი ათვალისწუნებული. გვარდია - ჩაცმული, ნასუქი, იარაღითა და ყველაფრით აღჭურვილი. ჯარი - ჩაუცმელი, ნახევრად მშიერი, ყველაფერს მოკლებული. მიუხედავათ იმისა, რომ საგარეო საფრთხისგან საქართველოს მცველი მუდამ მაინც ჯარი იყო და არა გვარდია. გვარდია იცავდა არა ერის ინტერესებს, არამედ მარქსისტული 'კლასიკოსების ბრძოლის' დოგმებს".

XXII.

<u>ფაქტი პირველი:</u>

აქ, მხედველობაში რომ ვთქვათ, კითხვის ქვეშა დაყენებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის "ნეიტრალობა", რაც გამომდინარეობდა "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" მე-3 მუხლიდან, სადაც ნათქვამია: "საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა".

და განა სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო ომიანობაში ნეიტრალობისაკენ მიისწრაფვის უბად-ახალებია და ამით ამ სიტყვა-ტერმინის ჩასმა ბრჭყალებში გამართლებულია?..

<u>ფაქტი მეორე:</u>

ვითომ გამართლებულია სახალხო გვარდიისა და ჯარის ამგვარი დაპირისპირება?.. ვითომ გვარდია მართლა იყო "ნასუქი" ყოველმხრივ, ხოლო ჯარი "ნახევრად მშიერი" ყოველმხრივ?.. ამგვარ დაპირისპირებას თვით ბატონი პროფესორი კარლო ცქიტიშვილიც უარყოფს, ნაწილობრივ მაინც, როცა ამბობს, რომ "...ნოე ჟორდანიას ეშინოდა არა მარტო არმიის, არამედ გვარდიისაც და სწორედ ამიტომ არ აძლევდა მათ ქვემეხებს არსენალიდანო". მაშ, გვარდია არ ყოფილა ისე "ნასუქი" როგორც ამას ბატონი პროფესორი წერს?!..

<u>ფაქტი მესამე:</u>

როგორ შეიძლება საქართველოს სახალხო გვარდიაზე თქვას ვინმემ, რომ "გვარდია იცავდა არა ერის ინტერესებს, არამედ მარქსისტული 'კლასიკოსების ბრძოლის' დოგმებს?.. განა ჩვენ არ მოვიყვანეთ ამონაწერი მესამედასხელთა სამოქმედო პროგრამიდან, რომლის ბაზაა -"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-

ზომი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა?.." და განა ეს დებულება არ ადასტურებს, რომ მესამედასელებმა მოქმედების ცენტრში დააყენეს არა მარტო <u>სოციალური დემოკრატია</u>, არამედ ამასთანავე პიროვნების თავისუფლება და ერის თავისუფლება ერთ მთლიანობად აქციეს?.. და ვითომ ეს არ არის ერის ინტერესების დაცვა?..

XXIII.

<u>შენიშვნა მერვე:</u>

"სხვა გზა აღარ იყო! საქართველო დამორჩილდა მოთხოვნას და 26 მაისს დღის 5 საათზე გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა," – წერს პროფესორი კარლო ცქიტიშვილი, რომლის ქვე-ტექსტია ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება თითქოს უფრო თურქების, ვიდრე საქართველოს, ქართველი ერის მაშინდელი ხელმძღვანელობის პოლიტიკის შედეგია!.. რა თქმა უნდა, თურქეთს თავისი ინტერესები ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით, რომ მას საქმე ჰქონოდა "პატარა" საქართველოსთან და არა უფრო "დიდ" ამიერკავკასიასთან ან თვით საბჭოთა რუსეთთან. მაგრამ ეს არის მედლის ერთი მხარე: მეორე მხარე, საქართველოსათვის, ქართველი ერისათვის ის იყო, რომ შეიქმნა ისეთი საერთაშორისო მდგომარეობა, რომ საქართველოს შეეძლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაც სამაგალითოდ გამოიყენა საქართველოს მაშინდელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ნოე ჟორდანიას,ლიას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ამ ფაქტის, ამ ისტორიული ფაქტის გაზრიაზრუება იმით, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მომხრეები იყვნენ თურქებიც, იაფფასიანი არგუმენტაციაა, რაც ისტორიკოსს არ ეკადრება. ჩვენ 26 მაისს ვადარებთ ამერიკის შეერთებული შტატების 1776 წლის 4 ივლისს, როცა გამოცხადებულ იქნა ამერიკის დამოუკიდებლობის მანიფესტი, და 1789 წლის 14 ივლისის საფრანგეთის დიდი რევოლუციის დღეს, თუმცა იმ დღეს ბასტილიის სატუსაღოდან ორიოდე "განებივრებული" ტუსაღი იქნა განთავისუფლებული, ხოლო საფრანგეთის მეფემ ლუი მე-16 მის წიგნაკში ჩაწერა, სწორედ 14 ივლისს, რომ "არაფერი მომხდარა" – "Rien", რაშიც იმას გულისხმობდა, რომ იმ დღეს, ნადირობისას, ვერაფერი ვერ მოკლა. მაგრამ ეს ფაქტი საფრანგეთის დიდი რევოლუციის –"თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა" – დედააზრს ახუსტებს ან ლმალასალებად ხდის?..

XXIV.

<u>შენიშვნა მეცხრე:</u>

"...რუსული სოციალ-დემოკრატიული იდეების აპოლოგეტ ნოე ჟორდანიას საკუთარი ჯარისა უფრო ეშინოდა, ვიდრე მტრისა. ვალიკო ჯუღელი თავისი 'მძიმე ჯვარის' ერთ ადგილას ამბობს, რომ ნოე ჟორდანიას ეშინოდა არა მარტო არმიისა, არამედ გვარდიისაც...", – წერს თავის წერილში ბატონი პროფესორი კარლო ცქიტიშვილი, და ამით, ნათელია, სურს თვით ნოე ჟორდანიას პიროვნების დამცირება, თუმცა ვერ გაგვიგია, რისთვის და ვისთვის?!.. არ გვჯერა, რომ ისტორიკოსმა და ისიც <u>სამხედრო</u> ისტორიკოსმა არ იცოდეს ყოველი ჯურის სამხედრო პირის მისწრაფება "ბონაპარტიზმისაკენ", რამაც ოპერეტული ხასიათი მიიღო, როგორც აღვნიშნეთ, ლათინური ამერიკის პატარა სახელმწიფოებში, რის შედეგად ამგვარ რესპუბლიკებს, რომელთა შორის ერთ სახელმწიფოს ხან ერთი გენერალი, ხან მეორე გენერალი ეპატრონება,–"ბანანების რესპუბლიკებს" უწოდებენ, რადგან ამ ქვეყნების ბანანების პლანტაციების მფლობელები ხან ერთ გენერალს, ხან მეორე გენერალს იყენებენ თავიანთი პლანტაციების სასარგებლო პოლიტიკისათვის, რის შედეგად დემოკრატია მართლაც ოპერეტის ხასიათს ღებულობს!.. და თუ საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე – ნოე ჟორდანია – ყოველი ჯურის სამხედრო ძალის ხარდალში "ბონაპარტიზმის" პოტენციურ საშიშროებას ხედავდა, განა ეს დასაძრახია?.. და განა ასევე დასაძრახია თუ დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელობა სამხედრო საქმის <u>რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ</u> მოწყობაზე ფიქრობდა?..

XXV.

მერმეთ: ნოე ჟორდანია რუსული სოციალ-დემოკრატიული იდეების აპოლოგეტია?.. საიდან მოდის ბატონ პროფესორ კარლო ცქიტიშვილს ამგვარი აზრი?.. განა რუსული სოციალ-დემოკრატიული იდეაა"...თავისუფ-

ლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა", რაც შეადგენდა მესამედასელთა სამოქმედო პროგრამის დედა-ბოძს?.. ან პარტიული ორგანიზაციებისა და მთელი სახელმწიფოს აგება "ქვემოდან-ზემოთ" და არა "ზემოდან-ქვემოთ"-ვითომ რუსული სოციალ-დემოკრატიული იდეების შემადგენელი ნაწილია თუ მესამედასელთა მრწამსი?.. ან კიდევ, მუშათა და გლეხთა ბედიღბალის ერთმანეთთან გადაჯაჭვა მხოლოდ მესამედასელთა მრწამს არ წარმოადგენდა, რასაც უარყოფდა რუსეთის სოციალ-დემოკრატია ლენინის მეთაურობით?.. მაშ, რათ და რისთვის დაჭირდა ბატონ პროფესორ კარლო ცქიტიშვილს ნოე ჟორდანიას რუსული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აპოლოგეტად მონათვლა?..

XXVI.

კიდევ: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ, ბოლშევიკებმა შესძლეს საქართველოს ყველა დემოკრატიულ პარტიას თავი დაეღწიათ გამოცხადებებით, ერთის გარდა: და ეს ერთი იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც ისეთი თავგანწირული ბრძოლა გამოუცხადა ბოლშევიკ-დამპყრობლებს, რომ ლენინის მთავრობამ პიროვნულ ტერორისაგანაც კი არ დაიხია უკან, რომლის ყველაზე უფრო მთელს მსოფლიოში გახმაურებული ფაქტი გახდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის-თავჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრის - ნოე რამიშვილის - მოკვლა, პარიზში, 1930 წელს. და ბოროტება არ არის, როცა ჩვენი ისტორიკოსი, დღეს, 1997 წელს, როცა საქართველო ისევ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე,-ქართველი თავგანწირული სოციალ-დემოკრატების თეორეტიკოსსა და პრაქტიკოსს - ნოე ჟორდანიას - რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეების აპოლოგეტს უწოდებს?..

XXVII.

შენიშვნა მეათე:

რა თქმა უნდა, ჩვენ ერთი უკიდურესობიდან, როგორც ამას ბატონი პროფესორი ამტკიცებს, როცა მესამედასელთა მოღვაწეობას 1918-1921 წლებში, მხოლოდ "შავ ფერებში" აღწერს, - მეორე უკიდურესობაში არ ვექცევით, და არ ვამტკიცებს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი ხელმძღვანელობა შეუცდომელნი იყვნენ. უნდა ვიცოდეთ, რომ შეცდომებს აკეთებს მხოლოდ ის პარტია თუ პიროვნება, რომელიც მოქმედებს; მოქმედებაა შეცდომის დაშვების წინაპირობა, და, უდავოა, ასეთი შეცდომები იქნა დაშვებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა პარტიის მიერ. ე.წ-ლმა "მემარჯვენე პარტიებმა", მაგალითად, დიდი შეცდომა დაუშვეს, რომ თავი დაიღწიათ გამოაცხადეს ბოლშევიკების დაწოლის შედეგად და ამით, არაპირდაპირ, ბოლშევიკური ოკუპაცია "აღიარეს"; ე.წ-ლმა "მემარცხენე პარტიებმა" აგრეთვე დიდი შეცდომა დაუშვეს, რომ მესამედასელთა, ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და საქართველოს კაბინეტის მთავრობისა და მისი [illegible] ხელმძღვანელობის, შეიძლებულად რომ ვთქვათ, "უცხოეთ" ხსენებაში ბოლშევიკურ პროპაგანდასაც კი კვალდაკვალ მიჰყვნენ; და, ალბათ, ამის შედეგია ისიც, რომ ბატონი პროფესორი კარლო ცქიტიშვილი მხოლოდ "შავ ფერებში" აღწერს საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით, ნოე ჟორდანიას.

ნუთუ ახლაც, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ძნელია "თვალები გავახილოთ" და მტრის ანკესზე არ წამოვეგოთ შეგნებულად თუ შეუგნებლად?..

XXVIII.

შენიშვნა მეთერთმეტე:

"მტრის ანკესზე არ წამოვეგოთ!" - ვამბობთ ჩვენ იმიტომ, რომ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის "პატარა'ოქროს ხანა'" - 1918-1921 წლები, და მისი ხელმძღვანელობა "არ ვარგოდა", მაშინ გამოდის, რომ 26 მაისიც "არ ვარგა", რადგან ეს ჩვენ, თუ პროფესორს დავუჯერებთ, თურქეთის "წყალობით" მიგვიღია?.. მერმეთ თუ 26 მაისი"არ ვარგა," "ნოე ჟორდანია არ ვარგა", მაშინ გამოდის, რომ დღევანდელი საქართველოც "არ ვარგა?.." რატომ ვაბრიაბრუებთ ყველაფერს, რაც საქართველოს დამოუკიდებლობასთანაა დაკავშირებული და ამით ჩირქს ვცხებთ ჩვენ წარსულს, აწმყოს და მომავალს?.. ეს ხომ - შეგნებულად თუ შეუგნებლად - ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტების წისქვილზე წყალის დასხმაა?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXIX.

შენიშვნა მეთორმეტე:
მადლობა ღმერთს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რაიმეს ყველა ბოლშევიკებისავით "შავ-ფერებში" არ აწერს, რომლის მაგალითები გვსურს აქვე მოვიყვანოთ:
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, 1920 წელში, საქართველოში დაპატიჟა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ცნობილი სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც მოინახულეს იმ დროინდელი საქართველო, გაეცნენ ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, და სახლში დაბრუნებისას თავიანთი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნეს ჟურნალ-გაზეთებში. აი, ამონაწერები მათ შთაბეჭდილებებიდან:
ემილ ვანდერველდე, ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერი, რომელსაც მრავალჯერ ეჭირა მინისტრის პოსტი ბელგიის მთავრობაში, სხვათა შორის, წერდა:
"ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი მეგობრებში, თუ სად, ევროპის რომელ დიდქალაქში შეხვდებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, ზოგი პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქ – თბილისზე? მაშინ სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილების მშენებლობა – უმაღლესი საფეხური სოციალიზმისა; და ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლების აღიარებით, მისი სურვილისა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით".
ემილ ვანდერველდე განაგრძობს:
"ჩვენმა მეგობრებმა, ქართველ სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს, დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალური თავისუფლების ფარგლებში, ჭეშმარიტი დემოკრატიული იდეები. აგრარული რევოლუცია მოხდა: ყველა ყოფილ სამეფო გვარეულობის და დიდ მემამულეთა მამულები ჩამორთმეულ იქნა, უსასყიდლოდ დარიგებულ იქნა ღარიბ გლეხობაზე. 1918 წლის სოციალური და აგრარული რევოლუცია, რომელიც საქართველოში მოხდა, არ არის სოციალისტური, არამედ დემოკრატიული, მოხდენილი სოციალისტების მიერ...შეფარდებული ქვეყნის რეალობასთან, მის შესაძლებლობასთან. ამაშია ქართველი სოციალ-დემოკრატების უაღრესი გონიერება და სიბრძნე". ("პოპლ", 1920 წლის 20 ოქტომბერი).

XXX.

პიერ რენოდელი, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთერთი ლიდერი, დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ , სხვათა შორის, წერდა:
"...ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმის დროს სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს მიწის რეფორმისათვის მუშაობა. საკმარისი იყო ჩამომრთმევ კომისიების შექმნა, მიწების გაზომვის დაწყება და გლეხობის ნდობა წინასწარ დაიმსახურა ქართველ სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც შემდეგ მოექცნენ დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში და დაწყებული რეფორმა დაამთავრეს...მემამულეთ დაუტოვეს თავის საყოფი სარჩო, ჩამორთმეული მიწები კი გადაეცა უმიწაწყლო გლეხობას. საუფლისწულო და დიდი მამულები, ამავე დროს ბუნებრივი სიმდიდრენი გადავიდა სახელმწიფოს ხელში. მოხდა სრული აგრარული რევოლუცია – სისხლის დაუღვრელად, მშვიდობიანად. ამაში ქართველ სოციალისტებმა გამოიჩინეს გონიერება, ჭკუა და შორსმჭვრეტელობა. გლეხობა გახდა საიმედო ძალა ახლადდაარსებულ დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის..."
"მუშათა ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია კონსტიტუციით; პროფესიული კავშირები დაკანონებულია. შრომის სამინისტრო მოწოდებულია დაიცვას შრომა, შრომის კანონები..."("ლე პროგრე დე ლიონ", 1929 წლის 18, 21, 28 ნომრები; და 5 და 20 დეკემბრის ნომრები).

XXXI.

სოციალური დემოკრატიის ცნობილი თეორეტიკოსი – კარლ კაუცკი –, რომელმაც გამოაქვეყნა ცნობილი წიგნი ციტრით –"საქართველო – გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა" – დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, სხვათა შორის, წერს:
"...ქართული მეთოდი ნაციონალიზაციისა თავისუფალია ყოველგვარი დაჩქარებისა და ჩავარდნებისაგან, რადგან ეს მოხდა დემოკრატიული გზით...რევოლუციამ საქართველოს მოუტანა პროვინციებისა და სოფლების სრული თვითმმართველობა. ეს თვითმმართველობა შეიქმნა ცენტრალისტური, ბიუროკრატიული სისტემების ადგილზე."
(კარლ კაუცკი: "საქართველო – გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა", ვენა 1921 წ.).

XXXII.

ალბერ თომა, საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, სხვათა შორის, წერს:
"...რომელ ერსაც არ შეუძლია თავისი ნაციონალური ვინაობის დაცვა და შენარჩუნება, იგი არც ხოციალიზმის ღირსია...ამჯერად, საერთაშორისო არეულობის ხანაში, თითოეული ერი თვითონ უნდა შეეცადოს საკუთარი ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოვებას და შესძლოს მისი დაცვა..."
"არა მარტო ქართული დემოკრატიის, არამედ მსოფლიო დემოკრატიის ინტერესი მოითხოვს დაუყონებლივ ცნობილ იქნას ახლად დაარსებული რესპუბლიკა".

რამსეი მაკდონალდი, ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, - დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, სხვათა შორის, წერდა:
"თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაამტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურობსობა და პოლიტიკური სიმტკიცე.
მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენაათო ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში".
(გაზეთი "ნეიშენ", 1920 წლის 13 ოქტომბერი).

XXXIII.

შენიშვნა მედამეცე:
პროფესორი კარლო ცქიტიშვილი და მისი მიმდევარნი რატომღაც კადრებიან იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ და მისმა ხელმძღვანელებმა, 1918-1921 წლებში, შესძლეს საქართველოს თითქმის მთელი ისტორიული ტერიტორიის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში მოქცევა. როცა ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს ტერიტორია უდრიდა 91 110 კვადრატულ კილომეტრს; მაშინ აზერბაიჯანის ტერიტორია უდრიდა - 34 379 " " ;
სომხეთის - 30 200 " " ;
ჩრდ. კავკასიის- 90 200 კვადრატულ კილომეტრს. მთელი კავკასიის ტერიტორია კი უდრიდა - 296 189 კვადრატულ კილომეტრს.
საბჭოთა საქართველოს კი ბოლშევიკებმა დაუტოვეს მხოლოდ 69 700 კვადრატული კილომეტრის ტერიტორია, რაც დარჩა დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია 1991 წლის 9 აპრილიდან, როცა ისეპაღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ამგვარად, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიის თითქმის 21 000 კვადრატული კილომეტრი არა ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების თანახმად, რომელიც თვით საბჭოთა რუსეთმა გააუქმა 1918 წლის 13 ნოემბერს, არამედ 1921 წლის თებერვლის მოლაპარაკებებით საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის. ამის შესახებ ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", სხვათა შორის, წერს:
"ყველა წარმომადგენელნი უცხო სახელმწიფოსი ჩვენ თანაგვიგრძნობდა, ეჭვს მიბადებდა მხოლოდ ოსმალეთის ელჩი კიაზიმ ბეი. ის გამოცხადდა ჩემთან მეორე დღესვე და გამიცხადა ხრულიად კატეგორიულად: ჩვენი ინტერესია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისაღწევად არ დავერიდებით ომსაც ბოლშევიკების წინააღმდეგო. ასეთია ჩვენი მთავრობის აზრიო. ეს იყო ჩვენთვის პირდაპირ გაკეთება, ვინაიდან ვიცოდით რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოსკოვი ოსმალოს ნეიტრალობას. კიაზიმმა მაშინვე დაგვაკავშირა პირდაპირი მავთულით ჩვენს წარმომადგენელთან ანგორაში, სვიმონ მდივანთან. ის გვატყობინებდა თავის მუშაობის ხასიათს, მთავრობის წევრების ყოყმანს და გამოხატქვამდა იმედს ჩვენი საქმის გამარჯვებისა. ამავე დროს კიაზიმმა გვთხოვა მისთვისაც მიგვეცა საშუალება პირდაპირი კავშირისა ანგორასთან და მოსკოვთან. ეს უკანასკნელი წინადადება არ მომეწონა. მაგრამ რაკი დაპირებები იყო დიდი, დანაშაულობა იქნებოდა ის ჩამენერია ტექნიკური საკითხებისათვის. კიაზიმი ხშირად ელაპარაკებოდა მტკვრიდან ანგორას და მოსკოვს, ერთხელაც ვერ გავიგეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ და რაზე. უეჭველია ამ დროს იყიდეს ოსმალოს ნეიტრალობა მოსკოველებმა არტაანისა და ართვინის დათმობით, რაიცა დამტკიცდა ჩვენზე ზურგიდან თავს დასხმით".

XXXIV.

ამგვარად, რუსეთმა და ოსმალეთმა შეთანხმებულად შემოიჭრენ საქართველოში, დაიპყრეს იგი და საქართველოს ტერიტორიის სამი-მეოთხედი მიითვისა რუსეთმა, ერთი-მეოთხედი თურქეთმა და დანარჩენი დაუნაწილეს საქართველოს მეზობელ რესპუბლიკებსაც, რომლის ერთ რუსეთის ფედერაციამ სოჭი და მისი რეგიონი პირდაპირ რუსეთს შეუერთა თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. ეს იყო წმინდა წყლის იმპერიალისტური, მტაცებლური პოლიტიკა რუსეთისა და თურქეთის მიერ, საქართველოს წინააღმდეგ, და ასეთად იქნა ეს შეფასებული საერთაშორისო მას-შტაბითაც. მხოლოდ ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსები, - გასაკვირია რატომ?-
-, როგორც ბატონი პროფესორი კარლო ცქიტიშვილი,-ყველაფერში ბრალს დებდენ,-ბოლშევიკების ბატონობის დროსაც და დღესაც, პოსტბოლშევიკურ ხანაში,-"ქართველ მენშევიკებს", "მენშევიკურ მთავრობას" და განსაკუთრებით "მენშევიკ ნოე ჟორდანიას"; ამით კი უგულებელყოფენარა მარტო ისტორიულ ფაქტებს, არამედ პოლიტიკური კულტურის მინიმალურ მოთხოვნასაც კი!.. სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ პროფესორ კარლო ცქიტიშვილის აღნიშნული წერილის, თუ გნებავთ, თვით სათაური კი - "ნოე ჟორდანიას საკუთარი ჯარის უფრო ეშინოდა, ვიდრე მტრისაო!"

XXXV.

<u>შენიშვნა მეთოთხმეტე:</u>
აქ ფილიპე მახარაძის, დამოუკიდებელი საქართველოსა და თვით ნოე ჟორდანიას დაუნდობელი მტრის სიტყვები გვსურს მოვიყვანოთ ბატონ პროფესორ კარლო ცქიტიშვილისა და, საერთოდ, მისი მიმდევრების საყურადღებოდ.
ფილიპე მახარაძე, თავის მოხსენებაში საბჭოთა რუსეთის კომპარტიის ყრილობაზე, 1921 წლის 5 დეკემბერს, სხვათა შორის, წერდა:
"წითელი არმიის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში მიიღო ექსპედიციურ დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან თვით ქვეყანაში არ მოიპოვებოდა არავინ, ვინც იქნებოდა მზად მონაწილეობა მიეღო აჯანყებაში ან რევოლუციაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარების დროს მთელს საქართველოში არ მოიპოვებოდა პარტიის არც ერთი წევრი, რომელსაც შეეძლებოდა ორგანიზებული მოქმედება ან უზრუნველეყო ხელმძღვანელობა, და ამ მიზნის განხორციელება დაეკისრათ უმთავრესად საეჭვო და კრიმინალურ ელემენტებს...ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ქართველი ხალხის მასები შეეჩვია საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას...ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ შეგვექმნათ დამოუკიდებელი საქართველო...მაგრამ ჩვენ სისტემატიურად ვდგამთ ნაბიჯებს, რომლებიც არარაობად აქცევს ამ შეპირებას".

XXXVI.

<u>შენიშვნა მეთხუთმეტე:</u>
ამგვარად, ნოე ჟორდანიას კი არ ეშინოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების, ე.ი.გვარდიისა და არმიის, არამედ ნოე ჟორდანია წარმოადგენდა საერთაშორისო მასშტაბითაც ისეთ ავტორიტეტს, რომ როცა ლენინმა გაიგო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხისაგან დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობა, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, წავიდა უცხოეთში, რომ ბრძოლა გაეგრძელებია საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენისათვის, - მან თქვა:"ჩვენ წავაგეთო!"

XXXVII.

და აქვე გვსურს მოვიყვანოთ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების აზრი ნოე ჟორდანიას პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ:

<u>პროფესორი მიხეილ(მიხაკო) წერეთელი</u> წერდა:
"მე არ ვიცი ვინ შესძლებდა,მაშინდელ პირობებში, ნოე ჟორდანიას გარდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, როგორ იქნებოდა შესაძლებელი საქართველოს დამოუკიდებლობა, თუ ამას არ იწამებდა ნოე ჟორდანია".
("ბედი ქართლისა", ნომერი 14, 1953 წელი).

სახელიერო პირი <u>რაფიელ ინგილო</u> ამბობდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ნოე ჟორდანია რომ არ ყოფილიყო, საქართველოს დამოუკიდებლობა იქნებ ვერც კი გამოეცხადებინათ".
("მებრძოლი საქართველო", ნომერი 9).

მწერალი გერონტი ქიქოძე, სხვათა შორის, წერდა:
"დღეს ნოე ჟორდანია მთელი ერის მეთაურია. 1917 წლის ნოემბრის დღეებში ის ავიდა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც საქართველოში არავინ ასულა. ეს მოხდა მაშინ როცა ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოზე განაცხადა, რომ ქართველი ერის სხეული გამრთელდა და დაწერა დიდი ეპრაფი თავისუფლებისა".

ევგენი გეგეჭკორმა, ნოე ჟორდანიას თანამებრძოლმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, თქვა:
"ნოე ჟორდანია ჩვენი ხალხისათვის იგივეა პოლიტიკაში, რაც აკაკი წერეთელი პოეზიაში; ორივე ხალხოსნური, ადვილად გასაგები; ორივე მისი მესაიდუმლე და ორივე საყვარელი".
შალვა ამირეჯიბმა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთერთმა ლიდერმა, ნოე ჟორდანიას, დაბადების 50 წლისთავზე, უწოდა -
"ნოე აღმაშენებელი."

გიორგი კერესელიძემ, ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, ასე დაახასიათა ნოე ჟორდანიას პიროვნება:
"თუ ილია უგვირგვინო მეფე იყო, ბედმა ქართლისამ ნოე ჟორდანიას მუბლზე დაადგა მძიმე გვირგვინი სრულიად საქართველოსი".
("მებრძოლი საქართველო").

ქართველ ხალხში, როცა ნოე ჟორდანია იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო 1921 წლის 17 მარტს, გავრცელდა ლექსი:

"გავალ მინდვრად გაშლილზედ,
მოვკრებ ვარდსა, იასო,
ცხვირით კოცნა შევუთვალოთ
ნოე ჟორდანიასო!"

როცა ნოე ჟორდანია გარდაიცვალა პარიზში და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე, ქართველ ხალხში ისევ გავრცელდა ლექსი:

"დიდი ნოე აღარა გვყავს,
ცამ ღრუბლებში დაიკვნესა,
მისი ხსოვნა უკვდავია,
წინ მიგვიძღვის მუდამ დღესა".

გრიგოლ რობაქიძე, ჩვენი დიდი მწერალი და მოაზროვნე, კი ნოე ჟორდანიას შესახებ, სხვათა შორის, წერდა:
"არ ვიცი ღვთულობდა თუ არა ნოე ჟორდანია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველო ნოე ჟორდანიაზე ღოცულობდა".
(გრ.რობაქიძე, "ბედი ქართლისა", ნომერი 14, 1953 წელი).

XXXVII.

ბევრის, ბევრის თქმა შეიძლება კიდევ საქართველოს "პატარა 'ოქროს ხანისა'" და მისი "ოქროს თაობის" შესახებ, თუმცა შეცდომებიც ბევრი გვქონდა. მაგრამ შეცდომებს, როგორც აღვნიშნეთ, ის უშვებს, ვინც მოქმედებს; და სწორედ "მოქმედებით" შექმნეს ჩვენმა "ოქროს თაობამ" საქართველოს, თანამედროვე რესპუბლიკური ხანის "პატარა 'ოქროს ხანა'" საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, რომლის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და კონსტიტუცია თანამედროვე ცივილიზებული დემოკრატიული სახელმწიფოს ნიშანსვეტებია საერთაშორისო მაშტაბითაც კი. ქართველი სოციალ-დემოკრატების, ე.ი.მენშევიკების ხაზიდებლად უნდა ითქვას: მათ-დემოკრატია და სოციალური სამართლიანობა, პიროვნების თავისუფლება და ერის თავისუფლება-ერთ მთლიანობად აქციეს; ამით სოციალური დემოკრატია, დემოკრატიის ეს უმაღლესი ფორმა, საერთაშორისო ცნება გახდა.

XXXVIII.

მაგრამ მარტო ამითაც არ განისაზღვრება მესამედასელთა და პირადათ ნოე ჟორდანიას თაობის სიდიადე: მათ საქართველოს, ქართველ ხალხს შეუქმნეს ისევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ ხალხზე, საქართველოზე დაყრდნობილი არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, არამედ კონსტიტუცია, რომელიც ხანიმუშო კონსტიტუციაა დღესაც, სამი-მეოთხედი საუკუნის შემდეგაც; და საქართველოს მეორე რესპუბლიკის 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული და დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუცია, შეიძლება ითქვას,"ერთი ნაბიჯია უკან", თუ გნებავთ, იმიტომაც, რომ მასში ვერ ნახავთ მუხლს, რომელიც ლაკონურად ამბობს:"სიკვდილით დასჯა გაუქმებულია".

XXXIX.

მაგრამ გვეყოფა საქართველოს "პატარა 'ოქროს ხანისა'" და 26 მაისის შემქმნელი "ოქროს თაობის" სამართლიანი ქება-დიდება, და წამოვჭრათ საკითხი: რით აიხსნება "პატარა 'ოქროს ხანის'" და მისი შემქმნელი "ოქროს თაობის" ასეთი დიდი წარმატება ერის მეტად მოკლე მონაკვეთში? - ერთერთი მთავარი, შეიძლება არსებითი მიზეზია ის, რომ საქართველო, ქართველი ხალხი ისევ დაუბრუნდა მის ეროვნულ ფესვებს, ეროვნულ გეოპოლიტიკურ საწყისებს, რომლისთვის ნოყიერი ნიადაგი მომზადდა - ჯერ - "არგონავტების ხანაში", ელინიზმის და შემდეგ ქრისტიანიზმისხანაში, რამაც საბოლოო ფორმა მიიღო თანამედროვე ევროპულ პოლიტიკურ კულტურაში. აი, აქედან აღმოცენდა მესამედასელთა მრწამსი "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც ღედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა", რის თეორიული და პრაქტიკული განხორციელების კულმინაციური წერტილია 26 მაისი, ჩვენი დიადი ეროვნული დღესასწაული.

XXXX.

და სავალალოა, რომ მესამედასელებს დღეს, 1997 წელში, ერთი დეპუტატიც კი არ ჰყავთ საქართველოს პარლამენტში, ეროვნულ კრებაში, რაც ჩვენ დიდ, დიდ უარყოფით მოვლენად გვესახება, რადგან, ჩვენის აზრით, მხოლოდ მესამედასელებს, ე.ი.საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეუძლია ისეთი პოლიტიკური კულტურის ისევ გაბატონება საქართველოში, რომლის დროს შესაძლებელია ეროვნულისა და სა-ერთა-შორისო პოლიტიკური მოთხოვნების იდეალური შერწყმა, რომ თავიდან იქნას აცილებული "შავი ძალების" თარეში საქართველოში, როგორც ამას ადგილი აქვს ამჟამად აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

XXXXI.

და თუ ჩვენ შევძელით ეროვნული და სა-ერთა-შორისო -რომ არ ვთქვათ "ინტერნაციონალური" - პოლიტიკური კულტურის შერწყმა 1918-1921 წლებში, რატომ ვერ შევძელით ეს დაწყებული 1991 წლის 9 აპრილიდან, როცა ისევ აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის ბაზაზე? - ვერ შევძელით იმიტომ, რომ ჩვენ ვერ დავუბრუნდით ჩვენს ევროპულ ფესვებს, ეროვნულ საწყისებს, რაც იმავე ეროვნულისა და სა-ერთა-შორისო პოლიტიკური ქმედების შერწყმაში გამოიხატება. რამდენადაც ჩვენ ვშორდებით ევროპულ პოლიტიკურ კულტურას, იმდენად ვშორდებით წონასწორობას, შერწყმას ეროვნული და სა-ერთა-შორისო მოთხოვნებისას, და ამით ვექცევით ჩიხში - შეგნებულად თუ შეუგნებლად.

XXXXII.

ამ ჩიხიდან გამოსასვლელი გზა ისევ ჩვენს ეროვნულ საწყისებთან დაბრუნებაა, რის განხორციელება ნიშნავს იმას, რომ მესამედასელთა პოლიტიკური კულტურა ისევ დავნერგოთ საქართველოში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპის მოწინავე ქვეყნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიები ან მთავრობაშიაა ანდა ძლიერი ოპოზიციაა; და საქართველოში?..

ვითომ დავა "რუსოფილებსა" და "ევროფილებს" შორის ხელს უშლის ევროპული პოლიტიკური კულტურის დანერგვას საქართველოში?.. ამგვარი დავა დღეს უკვე ხომ უაზრობაა, რადგან თვით რუსეთსაც"ევროფილური" ქვეყანა სურს გახდეს, რომლისაკენ ერთი დიდი ნაბიჯია რუსეთის "7-გ-ეში", ე.ი. ყველაზე უფრო ინდუსტრიული ქვეყნების "კლუბში" მიღება?..

XXXXIII.

მაგრამ გვეყოფა ამჟერად!.. დაბოლოს მოვიგონოთ დიდი ილიას შთამაგონებელი სიტყვები ისტორიის შესახებ ზოგადად, თუმცა ჯერ გვსურს შევნიშნოთ: ილია ჭავჭავაძე მრჲამსით -"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!" და ნოე ჟორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენის მრწამსით –"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა" – თავს იყრიან 26 მაისში, რადგან პირველი იყო უდიდესი საზოგადო მოღვაწე, ხოლო მეორე – უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე უკანასკნელი ორი საუკუნის მიჯნაზე, რომლის დროს საზოგადო მოღვაწეში ჩვენ ვხედავთ ილიას ბუმბერაზ პიროვნებას, რომელიც ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ არ მიისწრაფვოდა, ხოლო პოლიტიკურ მოღვაწეში ჩვენ ვგულისხმობთ ნოეს ბუმბერაზ პიროვნებას, რომელიც ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ მიისწრაფვოდა და განახორციელა კიდევ 1916 წლის 26 მაისს, რაც გახდა ჩვენი ეროვნული დღესასწაული – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

XXXXIV.

და რას გვასწავლის ილია? –

"ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფლად, იმიტომ რომ საისტორიო კაცი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვალისაგან. ამიტომაც ისტორია-ში მომქმედ მამა-პაპის ავად ხსენება გლეხის მამა-პაპის ავად ხსენებაც არის და ამას გლეხი, ვით შვილი ერისა და იმავე ქვეყნისა, ერთისა და იმავე ერი-სა, თავის დღეში არ იკადრებს, თუ სანდალასავით ღმერთ-გამწყრალი და თავში დაკრული არ იქნება".

XXXXV.

გვჯერა, ეს ჩვენი მეგობრული "შენიშვნები" არ დარჩება "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", რაც ჩვენ, ყველას გვავალდებულებს, რომ შევეცადოთ არა მარტო პროფესორ კარლო ცქიტიშვილის დიდი ილიას მრწამსით გაყალბებას; და ჩვენს მამა-პაპებს, როგორი დიდიც არ უნდა იყოს მათი "შეცდომები", შესაფერი ჰუმანური, ილიასეული თვალთახედვით განვჭვრეტთ!..

კარლო ინასარიძე

პარიზი-ლევილი, 1997 წლის ივნისი



ნოე ჟორდანია და პროფესორ მიხაკო (მიხეილ) წერეთელი ლევილის ქართული მამულის შატოს წინ. 1951 წელი.

ნოე ჟორდანიასა და მიხაკო (მიხეილ) წერეთლის ამ სურათს, უკანა გვერდზე, აქვს შემდეგი წარწერა: "მოკითხვა მიუნხენიდან ჩვენს საყვარელ მხცოვან ნოეს. გისურვებთ კიდევ დიდხანს სიცოცხლეს და მოქმედებას ჩვენი საწყალი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მ. წერეთელი ნინო სალია 1951 წელი."

## რადიო "თავისუფლების" 45 წლისთავი

1.

დღეს, როცა ჩვენ ვდღესასწაულობთ რადიო 'თავისუფლების' 45 წლისთავს, ვფიქრობ, რადიო 'თავისუფლება', რადიო 'თავისუფალი ევროპის' მსგავსად, ალბათ, არის ერთადერთი რადიოსადგური მსოფლიო მასშტაბით, რომელმაც ამ მოკლე დროში შესძლო მისი მიზნის განხორციელება: საბჭოთა კავშირი დაშლილია და ყველა რესპუბლიკა არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც იმყოფებიან დემოკრატიზაციის პროცესში. კიდევ მეტი: 'ცივი ომი' დამთავრდა და ატომური ომის შესაძლებლობა შემცირდა. ეს კი არის დიდი წარმატება კაცობრიობისათვის და ჩვენ ვამაყობთ, რომ ხელი შევუწყვეთ ამ პროცესს ინფორმაციის თავისუფალი დინებით.

2.

პირველად გავეცანი რადიო 'განთავისუფლებას' - ასე ეწოდებოდა იმ დროს რადიო 'თავისუფლებას - 1952 წლის სექტემბერში, მიუნხენში, მაქსიმილიანის ქუჩაზე, სადაც იმყოფებოდა პატარა ბიურო. მე მქონდა აქ გასაუბრება რადიო 'განთავისუფლების' წარმომადგენელთან, და ერთ პატარა 'სტუდიაში' გასინჯულ იქნა ჩემი ხმა. ეს იყო ყველაფერი ამ დროს.

3.

პარიზში, სადაც თავშესაფარი ჰქონდა საქართველოს მთავრობას ნოე ჟორდანიას მეთაურობით, იმის შემდეგ, რაც 1921 წლის 25 თებერვალს დაიპყრეს ბოლშევიკებმა დამოუკიდებელი საქართველო, - ცხარე ბჭობა მიმდინარეობდა პოზიციასა და ოპოზიციას შორის კერძო 'ამერიკულ განთავისუფლების კომიტეტთან' თანამშრომლობის საკითხზე. საქართველოს მთავრობა უცხოეთში და ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის უმრავლესობა იყო თანამშრომლობის მომხრე 'ამერიკულ განთავისუფლების კომიტეტთან', რადგან ჩვენ გვწამდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თვითონ იყო ერთ დროს კოლონია, უკეთესად გაიგებდა ჩვენს მდგომარეობას, ვიდრე მსოფლიოს სხვა დიდი სახელმწიფო. ნოე ჟორდანიას მთავრობამ მოსალაპარაკებლად შექმნა დელეგაცია, რომელშიც შედიოდა ევგენი გეგეჭკორი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ნოე ცინცაძე, საქართველოს განათლების მინისტრი, ხოლო რადიო 'თავისუფლების' ქართული რედაქციის მთავარ რედაქტორად დანიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი - რაჟდენ(მამა) არსენიძე.

4.

მოლაპარაკებები საბჭოთა კავშირში მოქცეული ხალხების წარმომადგენლებს შორის უცხოეთში, იყო მეტად რთული, მაგრამ საბოლოოდ მიღწეულ იქნა შეთანხმება: 'ამერიკული განთავისუფლების კომიტეტი' და პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები გახდენ <u>პარტნიორები</u>. და ასე დაიწყო რადიო 'განთავისუფლების' დაკომპლექტება, რაც განხორციელებულ იქნა მოკლე ხანში.

5.

მაგონდება ერთერთი პირველთაგანი კრება რედაქციისა. ამ დროს ქართულ რადიორედაქციაში ვიყავით ხუთი კაცი: რაჟდენ არსენიძე, ნიკო იმნაიშვილი, დავით ურატაძე, ილია კუჭუხიძე და მე. ჩვენ გაგვაჩნდა რადიო 'განთავისუფლების' პოლიტიკური სახელმძღვანელო; ჩვენ ვიცოდით, რომ მსმენელებს უნდა მივაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია; ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენ ვართ ანტიბოლშევიკები; მაგრამ, როგორც რაჟდენ არსენიძემ თქვა, ეს არ არის საკმარისი: ჩვენ უნდა ვთქვათ ჩვენს გადაცემებში <u>რ ა  გ ვ ს უ რ ს  ჩ ვ ე ნ</u>. არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიამ, რომელიც ლაპარაკობს დიდი და პატარა ერების თანასწორობაზე, - დაგვაკმაყოფილა ჩვენ. და-ბოლოს შევუთანხმდით, ჩვენი გადაცემების ბაზად ვაღიარეთ 'მესამე დასის' სამოქმედო პროგრამის დებულება: 'ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა. თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა'. ('მესამე დასი', თბილისი, 1893 წლის 7 თებერვალი). ჩვენი გადაცემების ბაზა გახდა აგრეთვე 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი' 1918 წლის 26 მაისისა, რაც შეიძლება შედარებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების 1776 წლის 4 ივლისის 'დამოუკიდებლობის დეკლარაციასთან', და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს და რომელიც ეყრდნობა შვეიცარიის, საფრანგეთის 1791 წლის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს.

6.

რადიო 'განთავისუფლებამ' გადაცემები დაიწყო 1953 წლის 1 მარტს, მაგრამ გადაცემები ქართულ ენაზე დაიწყო 1953 წლის 18 მარტს; და ამ დროს, ქართული გადაცემები წარმოებდა საღამოობით ოთხჯერ-15-წუთიანი პროგრამა, რაც ოთხჯერ მეორდებოდა ღამით. შემდეგ ქართული პროგრამა გახდა ოც-წუთიანი, ნახევარ-საათიანი და ბოლოს ერთ-საათიანი. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გადაგვეღო ინტერვიუები, რეპორტაჟები, საუბარი მრგვალ მაგიდასთან, და თვით მოკლე რადიოპიესებიც კი. ჩვენს 'ჩანართებში'('სპოტს') კი ჩვენ ვლაპარაკობდით ყოველდღიურად ინფორმაციის თავისუფალი გავრცელებაზე, ერისა და პიროვნების თავისუფლებაზე. როგორც ახლა გავიგეთ, ჩვენ გვქონდა დიდი წარმატება.

7.

მართლაც, ჩვენ გაგვაჩნდა შესაძლებლობა მიგვეღო ინტერვიუები ჩვენს ქართველ მეცნიერებისაგან, მაგალითად, პროფესორ მიხეილ(მიხაკო) წერეთლისაგან, თუ მწერლებისაგან, როგორც, მაგალითად, გრიგოლ რობაქიძისაგან, რომლებიც ჩვენ გადავეცით ჩვენი რადიოთი. წლების შემდეგ, ჩვენ უკვე გვქონდა დოკუმენტაცია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შესახებ, რომელსაც საქართველოსთვის მართლაც 'ფასდაუდებელი სამსახურია'; და ინტერვიუების მიღება იმ დროს იყო ტექნიკურადაც რთული საქმე: ჩვენ თან უნდა გვეტარებინა მაგნიტოფონი 'რევოქსი', რომელიც, მოწმობილობით, იწონიდა დაახლოებით 25 კილოგრამს. მაგრამ ჩვენ ვიყავით მეტად იდეალისტურად განწყობილნი ისე, როგორც რადიო 'განთავისუფლების' ყველა წევრი, რადგან რადიო 'განთავისუფლების' ხელმძღვანელებიც იყვნენ იდეალისტები.

9.

რადიო 'განთავისუფლება' იმ დროს იყო ერთი დიდი ოჯახი, რომლის 'მამის' სიმბოლო გახდა მისტერ რობერტ კელი, რომელიც იყო 'რადიო განთავისუფლების კომიტეტის', - რომლის მთავარი სადგომი იყო ნიუ-იორკში, - წარმომადგენელი ევროპაში.

10.

ჩვენ დავტოვეთ ჩვენი 'რომანტიკული' რადიო 'თავისუფლების' შენობა ლილიენტალ-შტრასეზე, სადაც ახლა არის მიუნხენის 'ოლიმპიური ქალაქი'; და, მოკლე ხნით, ვიყავით არაბელა-შტრასეზე. ბოლოს რადიო 'თავისუფლება' და 'რადიო თავისუფალი ევროპა' გაერთიანდა და დავბინავდით ერთად ოეტინგენ-შტრასეზე, ნომერ 67-ში. ამ პროცესს მოყვა არა მარტო სახელწოდების შეცვლა, როცა რადიო 'განთავისუფლება' გახდა რადიო 'თავისუფლება', არამედ რადიო თავისუფალი ევროპისა და რადიო თავისუფლების სტატუსის შეცვლაც: ჩვენი დაფინანსება გადაიბარა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა. ჟურნალისტთა ახალმა თაობამ შეცვალა ძველი თაობა, რის შედეგად შეიცვალა გადაცემების რაობაც: ჩვენი გადაცემების ცენტრში მოექცა ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, რომელიც მიიღო გაერომ 1948 წლის 10 დეკემბერს. და როცა 'რკინის ფარდა' გაიხსნა 1989 წელში, ჩვენ ყველა განცვიფრებული ვიყავით, რომ რადიო 'თავისუფლების' მისია უცბად იქცა რეალობად: საბჭოთა კავშირი გაქრა და საქართველომ, 1990 წლის 9 აპრილს, ისევ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, და ჩვენს დედაქალაქში - თბილისში - უკვე არის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, ხოლო საქართველოს რესპუბლიკა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი. რადიო 'თავისუფლების' ქართული რედაქციის 'სიზმარი' იქცა რეალობად.

11.

1995 წელს რადიო "თავისუფლება" მიუნხენიდან(გერმანია) გადავიდა პრაღაში(ჩეხეთი) და იქიდან განაგრძობს მოღვაწეობას, რადგან ინფორმაციის თავისუფალი დინება დღესაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ეს იყო "ცივი ომის" დროს. ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში კი თავის ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობს "ამერიკის ხმის" ქართული რედაქცია. ამ ორ ქართულ რადიოსადგურებს, უდავოა, თავიანთი წვლილი შე-

აქვთ ჩვენს აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს - საქართველოს - დემოკრატიული წესყობილების აღორძინებაში.

12.

და - აღვნიშნავთ რა რადიო "თავისუფლების" 45-ე წლისთავს, ვუსურვებთ მას წარმატებებს ამ დიადი მიზნის განხორციელებაში.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1998 წლის 18 მარტი.



დავით ურატაძე,რაჟდენ არსენიძე,კარლო ინასარიძე,ილია კუჭუხიძე,ქნი ირინა.
ქ.მიუნხენი, 1953 წელი

**David Ouratadze Razhden Arsenidse, Karlo Inasaridze, Ilya Kutschuchidse**



**The Georgian Service after the blast, 1981**

რადიო"თავისუფლების" ქართული რედაქცია 1981 წლის აფეთქების შემდეგ

# გამოხმაურება რადიოსადგურ „თავისუფლების“ გადაცემის გამო

ალბათ, არავისთვის არ არის საიდუმლო ის ფაქტი, რომ ამჟამად სსრ კავშირის რესპუბლიკებში მიმდინარე ბობოქარი მოვლენები დაუყოვნებლივ მოითხოვს ობიექტურ გაშუქებას. მეორე მხრივ, ამით არავინ არ არის დაინტერესებული იმათზე მეტად, ვინც მთელი თავისი სიცოცხლის მიზნად გაიხადა ბრძოლა საბჭოთა იმპერიის მიერ კოლონიზებული სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ბოლო ხანს კანონზომიერი მოვლენა გახდა ის, რომ მასობრივი ინფორმაციის ცენტრალურ საშუალებათა ორგანოებმა, იქნება ეს გაზეთები თუ პროგრამა „ვრემია“, თავიანთი პროვოკაციული თავდასხმების მიზნად გაიხადეს სწორედ „ამბოხებული“ რესპუბლიკები და, მათ შორის, ბუნებრივია, საქართველო. ეს მოვლენები ბალტიისპირეთის, მოლდოვეთის ან საქართველოს ხალხებისთვის დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ როცა ისეთი ავტორიტეტიანი რადიოსადგურის კომენტატორების მასალები, როგორიც არის რადიოსადგური „თავისუფლება“, ძნელი გასარჩევი ხდება „პრავდის“ ან სხვა იმპერიული გამოცემების პასკვილებისაგან, ის უკვე ჩვენი ხალხის განსაკუთრებულ გულისტკივილსა და შეშფოთებას იწვევს.

ქართველ ხალხს სრულიადაც არა ჰგონია, თითქოს რადიოსადგურ „თავისუფლების“ ხელმძღვანელობა განზრახ და დაგეგმილად ახორციელებდნენ ანტიქართულ კამპანიას. საქართველოში კარგად იციან იმ აჟყია, ცილისმწამებელ კორესპონდენტთა სახელები, რომლებიც ამარაგებენ რადიოსადგურს მონაჩმახებითა და პოლიტიკური ინსინუაციებით. სწორედ ისინი, ხელმძღვანელობენ რა ვიწროეგოისტური მოტივებით, ივიწყებენ თავისუფალი ჟურნალისტიკის კეთილშობილურ მისიას, ობიექტური მეთვალყურეებიდან ფაქტობრივად გადაიქცნენ რესპუბლიკის შინაპოლიტიკური ბრძოლის აქტიურ მონაწილეებად. სწორედ მათ მიაწოდეს ბატონ უიმბუშს მითი საქართველოს ტელევიზიის მუშაკების გაფიცვისა და ზვიად გამსახურდიას მიერ ისევ რაღაც მითური გადაცემების „აკრძალვის“ შესახებ. ყველ[illegible]რს რომ თავი დავანებოთ, პრაქტიკულად როგორ დაჰალავ გაფიცვას ტელევიზიაში და რადიოში. 5-მილიონიანი საქართველოს ნებისმიერ მცხოვრებს შეუძლია დაგვიმოწმოს, რომ საქართველოს ტელევიზიას არც ერთ დღეს, ხრც ერთ საათს არ შეუწყვეტია მუშაობა.

ჩვენ არ გვაინტერესებს, თუ ვისი ტექსტი წაიკითხა ეთერში 9 თებერვალს ამირან თარბამ, მაგრამ გაოცებას იწვევს ავტორის ლოგიკა, რომელთანაც იგი აშკარად მწყრალადაა. თუ ავტორს დავუჯერებთ, ზვიად გამსახურდიას იდეები არ ალუქვამთ „საზოგადოებრიობის ფართო ფენებს“. არადა, ელემენტარული ლოგიკა გვიკარნახებს, ეს რომ ასე ყოფილიყო, იგივე ფართო საზოგადოებრიობა ერთხულოვნად არ დაუჭერდა მხარს მას და მის იდეებს უკანასკნელი 70 წლის მანძილზე გამართულ პირველ დემოკრატიულ, თავისუფალ არჩევნებში.

დღეს არავინ არ აპირებს საქართველოში აუკრძალოს ნებისმიერ ჟურნალისტს „გადასცეს იმათი აზრიც, ვინც არ ეთანხმება გამსახურდიას“, და ჟურნალისტი პერსონა ნონ-გრატად კი ნამდვილად გამოაცხადა ზ. გამსახურდიამ პრესკონფერენციაზე და კონკრეტულად დაასახელა ადრესატი — საკდესის საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში ა. კოჩეტკოვი, რომლის ტენდენციური დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი რეგულარულად აისახება ცენტრალურ პრესაში.

რაც შეეხება აზრთა პლურალიზმს საქართველოში, ამის თვალსაჩინო დადასტურებაა სრულიად განსხვავებული კრიტიკული ხასიათის ინფორმაციების პუბლიკაციები, თვით ქართულ პრესასა და საქართველოს ტელევიზიის გადაცემებში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ქართველი ხალხი, საქართველოს პარლამენტი და მთავრობა ამ ძნელბედობის ჟამს შეურიგდებიან ბოროტ ცილისწამებას. ჟურნალისტები, რომლებიც გასცდებიან თავიანთ პროფესიულ უფლებამოსილებათა ფარგლებს, იძულებული იქნებიან დატოვონ საქართველო. ასე მოიქცეოდა ნებისმიერი ქვეყანა.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პრესცენტრი.

[illegible], 15 თებერვალი, 1991

საქართველოს რესპუბლიკა

# „ამერიკის ხმა“

თებერვალი ბევრ რამეს გვახსენებს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული გლოვის დღეს, როცა წითელი არმიის ნაწილებმა 1921 წელს სასტიკი ბრძოლების შემდეგ მოახდინეს საქართველოს ანექსია. ბოლშევიკურმა რუსეთმა ვერაგულად დაარღვია დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება, რომლითაც იგი იურიდიულად ცნობდა ქართველი ერის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლებას და ხელს იღებდა ყველა დიდმპყრობელურ პრეტენზიებზე საქართველოს მიმართ. მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ წითელი არმია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს საზღვრებს სამი მხრიდან: აღმოსავლეთიდან — აზერბაიჯანის ხაზის გადმოლახვით, ჩრდილოეთიდან — მამისონის უღელტეხილის ნეიტრალური ზონის გადმოლახვით და ჩრდილო დასავლეთიდან — აფხაზეთში შეჭრით. მიზეზად რასაკვირველია, მოიტანა მტკნარი სიცრუე, თითქოს საქართველოს მშრომელებს დაეპატიჟოს წითელი არმია, მენშევიკური ბურჟუაზიული უღლისაგან გასათავისუფლებლად. სიცრუითა და სიყალბით სავსე კალენდარში საბჭოელები ცინიკურად წერდნენ, 1921 წლის 11 თებერვალს ბორჩალოს მაზრაში დაიწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგო. სინამდვილეში არავითარი ამის მსგავსი არ მომხდარა და ყოველივე ეს შეთითხნეს და გაითამაშეს ლენინის დამქაშებმა. იგივე ცრუ კალენდარი 25 თებერვლის ქვეშ მოკლედ წერს კიდევ ერთ სიყალბეს: საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მორჩა და გათავდა, თითქოს ომს ადგილი არ ჰქონია, თითქოს არ მომხდარა კოჯრისა და ტაბახმელას გმირული ბრძოლები, როდესაც ქართველთა ლაშქარმა 23 თებერვალს სასტიკად დაამარცხა და უკუაგდო წითელი არმია. აქეთივე დიდი გამარჯვება მოიპოვეს 24 თებერვალსაც. ისევე როგორც 1795 წელს, როდესაც საქართველოს მტრებმა უკან მოაბრუნეს აღა მაჰმად ხანი დამარცხებული ჯარით, ასევე ახლაც მოაბრუნეს ლენინის ჯარები მოღალატეებმა იმის მტკიცებით, რომ ქართული მხედრიონი შემცირებული, ძალაგამოლეული და დაფანტულიაო. ამიტომ წითელ არმიას თვით თბილისშიც, მართლაც, არ გაუწევს წინააღმდეგობა, ქალაქი არ დაანგრევინეს ბარბაროსებს. ქართველების გმირულმა ბრძოლამ სხვა ადგილებში გადაინაცვლა და ქართულ ლაშქარს უომრად არ დაუტოვებია მთავარი სტრატეგიული ადგილები. შეუპოვარი ბრძოლები თვენახევარს გაგრძელდა. ქართულმა ჯარმა თურქებისაგან გაათავისუფლა ბათუმში და ამით შეუნარჩუნა საქართველოს ეს მნიშვნელოვანი საპორტო და ადმინისტრაციული ქალაქი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის 70 წლისთავთან დაკავშირებით ბევრი რამის თქმა შეიძლება, თუნდაც ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტობრივად და იურიდიულად ცნო მრავალმა სახელმწიფომ და ეს პროცესი ომის დროს და მის შემდეგაც გრძელდებოდა. მაგალითად, ომი 6 დღის დაწყებული იყო, როცა 1921 წლის 17 თებერვალს, საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად ცნო ავსტრიამ, ხოლო მეორე დღეს 18 თებერვალს — რუმინეთმა, 9 მარტს კი ჰაიტიმ, ასე შორეულმა ქვეყანამ, 14 მარტს — მექსიკამ, 28 მარტს — ლიბერიამ, ხოლო თითქმის ერთი წლის შემდეგ — 1922 წლის 23 თებერვალს საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად ცნო ლუქსემბურგმა. თბილისთან სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა, როცა დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა კონსტიტუცია. მრავალ ადგილას მომხდურ მტერს ქართველმა ხალხმა გმირული ბრძოლა გაუმართა, ასე რომ, ვერაგი მტერი უბრძოლველად არ დაუტოვებიათ. აი რა მისწერა საქართველოს მეფემ გიორგი VII თემურ ლენგს: „რაოდენიცა თუ სიმრავლითა ძალისა შენისათა მრავალი ბოროტი გიყოლიებს ჩვენდამი მიმართ, არამედ უვნებლად არცა ჩვენ მიერ წასულხარ“. არც რუსეთის წითელი არმია დარჩენილა უვნებელი ქართველი გმირებისაგან. დიდება მათ სახელს.

რა ხდება დღეს საქართველოში? ფაქტია, რომ საქართველოს უთენდება, ამოდის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მზე, თენდება. ეს 1940 წლის 26 მაისს იწინასწარმეტყველა მიხაკო წერეთელმა, აი, ამ სიტყვებით: „არა ვუწყით როდის. მაგრამ მწამს [illegible]“

[illegible], 18 თებერვალი, 1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდება საქართველო!

არაერთხელ თქვა და დაიწერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ. მეცნიერულად დასაბუთდა ამ ტერიტორიაზე ჩვენი ქვეყნის ისტორიული კუთვნილება, რომლებიც დღეს მეზობელ ქვეყნებს აქვთ მისაკუთრებული. ამ საკითხს თითქოსდა ტაბუ ადევს, ყველა სიფრთხილით ეკიდება, არიქა, არავის გაწყენინოთო. საკვირველია, რად უნდა ეწყინოთ რუსებს, რომლებიც გამზირან, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლი სოჭამდე საქართველოს საკუთრება იყო? რად უნდა ეწყინოთ სომხებს და აზერბაიჯანელებს, რომლებიც ალავერდის რაიონსა და საინგილოზე ჩაებღაუჭნენ, ანდა თურქებს — კოლა-არტაანსა და ტაოზე ლაპარაკი? იმიტომ მომავალი თაობა და მეტის იქნეს კი ეცოდინება ეს ისტორიული სინამდვილე. დიახ, რუსებმაც, თურქებმაც, სომხებმაც და აზერბაიჯანელებმაც უნდა იცოდნენ, რომ მეფის უკუღმართობის გამო ჯერ მეფის რუსეთმა და შემდეგ საბჭოთა მმართველობამ ჩვენი ტერიტორია ასე დაანაწილა და „უსახსოვრო" მეზობელ რესპუბლიკებს. განა ვინმესთვის საწყენი უნდა იყოს სინამდვილის აღიარება მაშინ, როდესაც ზოგიერთი უცხოელი და მეცნიერი გაუთავებლად აყალბებს და ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს? ჩვენ ხომ თითო არ ავეძლით და არავის ვებრძვით, მხოლოდ ისტორიულ სინამდვილეს აღვნიშნავთ; არავისი გვინდა და არაფერს ვაზვიადებთ. მეზობლებმა ამ ტერიტორიის დაბრუნებაზე ხმა არასოდეს ამოგვიღია, ჩვენი მეზობლები კი, ავადგან „მადა ჭამაში მოდისო", თანდათან მოიწევენ და აქეთ გვედავებიან — კომპაქტურად ვართ დასახლებულები და „მე ვარ და ჩემი ნაბადიო".

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ძველი ჰერეთი, აზერბაიჯანიდან გამიჯნული იყო ალაზნისა და იორის შესართავით, აქედან საზღვარი გადადიოდა მტკვარზე და მიუყვებოდა მტკვრის მის მარჯვენა შენაკად ალისტალდამდე. ჰერეთის ამ ნაწილს, რომელიც ბოლო დროის ყარაიაზის უწოდებდნენ, სამხრეთ-დასავლეთით ქვემო ქართლი ესვრიდა და, ამ ადგილიდან მოყოლებული, ეს ქვეყანა იყო საზღვარი და მიზანსრული კუთხე. ამრიგად, ქვემო ქართლის აღმოსავლეთის საზღვრად ჯერ მდინარე მტკვარი, და ამოუყვებოდა ყიზილის ციხის ნანგრევებამდე, ხოლო შემდეგ ლოქის ხეობის ქედი, რომელიც დებედის აღმოსავლეთით მიმდინარე და მდინარე დებედის შენაკადების წყალგამყოფია:

„საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით, საქართველოს პოლიტიკური სისუსტის დროსაც, თუნდაც მე-18 საუკუნეში აქ კი არ თავდებოდა, სადაც ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი იყო, არამედ გაცილებით უფრო შორს მიდიოდა, თუნდაც განჯისა და ერევნის სახანოებს თავი რომ დავანებოთ, რომლებიც მეფე ერეკლეს ვასალები იყვნენ, ყაზახი, შამშადილო, შამქორი ხომ საქართველოსთან უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი (ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს საზღვრები", გვ. 12-13).

საქართველო-სომხეთის საზღვარი მაშავერის მთებზე გადიოდა. ეს იყო ჩვენს ქვეყნებს შორის გამყოფი ბუნებრივი ზღუდე. მთლიანობაში საქართველოს სამხრეთის საზღვარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ასე უნდა იყოს წარმოდგენილი — მაშავერის წყლის მტკვართან შესართავიდან საზღვარი მიემართებოდა მდინარეების აღსტაფისა და ძეგამის წყალგამყოფ ქედზე (ბაბალდაგის ქედი), საიდანაც გადადიოდა სევანის ქედზე (მაშავერის ქედი), აქედან კი მისი ჩრდილო შორიდან მიემართებოდა ერევნის (მაშავერის) ქედისაკენ და გადიოდა ქედის თხემზე. შემდეგ კი საზღვარი აღებდა ჯავახეთის ქედის სამხრეთ დაბოლოებას. გაუგებრობა ეს წერტილი უნდა მივიჩნიოთ მთის კონფიგურაციის ცენტრად, საიდანაც მიუყვებოდა დასავლეთით და მიემართებოდა სოფელ გუმბურის ნანგრევებისაკენ. აქედან მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთით შეყრილ ქედზე [illegible] საზღვრის მთის ჩრდილოეთით [illegible] ჯავახეთის მთის

ხეობით მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთით ბოლნისის ქედზე მდინარე ქაშაყის შესართავამდე. შემდეგ ეშვებოდა სამხრეთ-დასავლეთის ხეობის ყურეშიც, საიდანაც წყალგამყოფ ხეობით, შეყრილ მთის გასწვრივ მიემართებოდა აღმოსავლეთ (ყარსის) ქედის ხეობით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, უფრო ლეჩხუმის გავლით გავლით გადადიოდა შეყრილ ქედზე. აქედან კი წყალგამყოფ ქედით გადადიოდა შეყრილ სოფლის [illegible] საზღვრის ხაზი სამხრეთ-დასავლეთით მიუყვებოდა [illegible] (ბაბა) ახლოს და აღდგეულ შეყრილ თავისთავად მის თხემზე, მიემართებოდა მდ. არაქსის ოლთისა და მდინარე ჭოროხის შენაკადების აუზს და ლოქის წყალგამყოფ ქედისაკენ; ყველაზე შეყრილ ქედისას, ჯარისა ხარის, კუმუ შირონის, ოლთისისას, ყველაფერი სარეკიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულ ხანის გადიოდა შეყრილ სოფლით და წყალგამყოფ ახლოს (აზნიკეთის მთა) ყველა მდინარე ჭოროხს (მდ. სოფლისტანი და ჭოროხს შორის). აქედან იგი მთა „ჩრდილის მთის" აღმოსავლეთით მიემართებოდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ და მდინარე კარსულის (ყარსის-ჭოროხის) და მაკის (მაკის) წყალგამყოფ და სერით დასავლეთით ოფის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 5 კმ-ზე სოფ. ჯოლაგანიდან ეშვებოდა შავ ზღვაზე. აქედან ზღვის სანაპირო ზოლი მიუყვებოდა 150 კმ იყო.

დღეს საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქცეული საქართველოს ისტორიული მიწები, რომელთა ფართობებია: ლაზისტანის — 3925 კვ.კმ.; ართვინის — 2933 კვ.კმ.; არდაგანის — 5724 კვ.კმ.; ოლთისის — 3040 კვ.კმ. სულ სამხრეთ-დასავლეთ უბანში საქართველოს ისტორიული საზღვრებიდან დაკარგული მისი ტერიტორიის 15622 კვ.კმ.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. დამოუკიდებელ ქვეყანას თავისი ტერიტორია ზუსტად უნდა ჰქონდეს შემოსაზღვრული და მტკიცედ დაცული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, შეინარჩუნოთ საზღვრები იმ სახით მაინც, რომელიც საბჭოთა წყობილებამ დაგვიტოვა.

სახელმწიფოს საზღვარი არის მეზობელ სახელმწიფოებს შორის დელიმიტაციისა და დემარკაციის საფუძველზე დადგენილი სახელმწიფოს ტერიტორიის გავრცელების განმსაზღვრელი ხაზი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს კანონი საზღვრის შესახებ. სწორედ ეს, პირველ რიგში მისაღები კანონი დღემდე მიღებული არ არის. კიდევ უფრო საკვირველია ის, რომ ჩვენი უყურადღებობის გამო საზღვრის ხაზს ზოგიერთ უბანში კიდევ უფრო უკან ვწევთ და ჩვენივე ნებით საკუთარ ტერიტორიას მეზობელ სახელმწიფოს ვუთმობთ. სწორედ ასეთ, სრულიად მიუღებელ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე დარიალის ხეობაში. ეს საზღვარი უძველესი დროიდან დღემდე მრავალმხრივი მნიშვნელობით გამოირჩეოდა (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული). არ ვამუხტავთ ის, რომ დვალეთის უდიდესი ნაწილი დავკარგეთ (ბოლშევიკებმა ის ჩრდილო ოსეთის ფარგლებში მოაქციეს). ახლა, ჩვენივე მუდმივობით, დარიალის ხეობის მნიშვნელოვან ნაწილსაც ვკარგავთ. დიდი ხანია, რაც პროფესიონალი ვალერი თანამედროვე ისტორიული საბუთების მიხედვით ზუსტად ასახავს საქართველოს საზღვარს ჩრდილო ოსეთთან. მისი შრომებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ეს საზღვარი სხვადასხვა ეპოქაში ცვალებადობდა. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ზოგჯერ სოფელ ჩიმიმდე ან სოფელ ბალთამდეც ვრცელდებოდა; თვით საბჭოური პერიოდშიც კი სოფელი ჩმი და ლარსი ყაზბეგის (არშის) ხეობასთან ერთად ყაზბეგის რაიონის ფარგლებში შედიოდა (1944 წლიდან, ინგუშების გადასახლებიდან მათ დაბრუნებამდე). მაგრამ მეორე ისტორიული საზღვარი დარიალის ხეობის ბოლოში ლარსის მისადგომებთან გადიოდა ბაჩტრის ამ ადგილზე, სადაც უზარმაზარი ლოდები დევს და გზა უხვევს. საბჭოთა ხელისუფლებამ საზღვარი 1 კმ-ით გადმოსწია ჩვენი ტერიტორიის სიღრმისკენ ხარჯზე და რკინის თაღიანი ხიდი (ეშმაკის ხიდი), კლდის ქიმზე აღმართული სათვალთვალო კოშკი, ისტორიულ საზღვარზე შემორჩენილი საგუშაგო კოშკის ნანგრევები (ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები) ოსეთის ზონაში მოექცა. ასე გადმოიწია საზღვარი საბჭოური ამბერით, მაგრამ სამწუხარო და გასაკვირი ის არის, რომ დღეს ამ საზღვრის შენარჩუნებაზეც არ ვზრუნავთ. გაუგებარია, რატომ და ვისი დავალებით დგანან დღეს ქართველი მესაზღვრეები უკანონო საბჭოური საზღვრიდან, სულ ცოტა, ხაზგარე კილომეტრის იქით?! სინამდვილეში კი საზღვარი გადის კლდეში გაჭრილი გვირაბის იქით, სწორედ აღნიშნული მონუმენტის ბოლოში. ყოველივე ამას ობიექტური სიზუსტით ასაბუთებს ბატონი ვალერიანე. მაგრამ ყურის დამგდები არავინაა. რა ხდება? ასე, ნელ-ნელა უნდა დავთმოთ ჩვენი კუთვნილი ტერიტორია? ხომ არავინ გვედავება?! აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე კონცერტებით; გაუთავებელ პოლიტიკურ დისკუსიებს ვაწყობთ, ალბათ თუ გვინდ, ალბათ, დავიბრუნებთ (იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!). დარიალის კარს კი, ამ მართლაც უდიდესი მნიშვნელობის სტრატეგიულ პუნქტს ვკარგავთ. იწერება მთავრობაში წერილები, ჩქარდება პუბლიკაციები. შედეგი? — უმოქმედობა და დუმილი. ჩვენ დიდ სიმპათიებს იმსახურებს სასაზღვრო ჯარების სარდალი, ბატონი ვალერი ჩხეიძე და სწორედ მას გვინდა მივმართოთ — დაიკავონ ჩვენმა მესაზღვრეებმა ის ადგილი, რომელიც (მართალია, უკანონოდ) საბჭოთა ხელისუფლებამ დაგვიდგინა. დავდგეთ იქ, სადაც მენშევიკების დროსაც კი ქართული დროშა ფრიალებდა, თორემ, თუ ასე გაგრძელდა, ოსები ამ ტერიტორიასაც თავის საკუთრებად ჩათვლიან.

**ბორდო ბოიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები.

## მივაღწიოთ ერთობას მრავალფეროვანებაში!..

I.

ისე დაგროვდა ჩვენი საჭირბოროტო საკითხები, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველობა, სულ ცოტა, მისი ერთი ნაწილი, რომელთა შორის მეც ვთვლი ჩემს თავს, ვეღარ ვერკვევით რომელ საკითხზე ვლაპარაკობთ, როცა კამათია ცალკეულ პირებთან, ამა-თუ-იმ პარტიის, ორგანიზაციის და დაჯგუფების მომხრესთან თუ მოწინააღმდეგესთან. ამგვარ "არეულობამ" მომცა ბიძგი შევეცადო ჩვენი საჭირბოროტო საკითხების გარკვევას იმ მიზნით, რომ შეიძლება აქ გამოთქმულმა აზრებმა ხელი შეუწყოს საჭირბოროტო საკითხების მოგვარებისაკენ ბიძგს, რაც, ჩვენი აზრით, დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს თუ ყველა მხარე გაიმჭვალება იმ რწმენით, რომ შესაძლებელია ერთობის მიღწევა მრავალფეროვანებაშიც.

II.

აქვე ავღნიშნავთ, რომ სწორედ ერთობის მისაღწევად მრავალფეროვანებაში, საჭიროდ ვთვლით სახელისა და გვარის დასახელებას გვერდი ავუაროთ. ჩვენ "დამნაშავეებს" კი არ ვეძებთ, არამედ ადამიანთა ურთიერთობის ხელშემშლელ, ე.ი. "ჩამშლელ" ფენომენებზე გვსურს მიუთითოთ და, თუ შესაძლებელია, მათი გამოსწორების გზაზე დავდგეთ, რომ ჩვენი საერთო ოჯახი - ემიგრაცია - შევაკავშიროთ იმდენად მაინც, რომ არსებული საჭირბოროტო საკითხები ჩვენვე მოვაგვაროთ.

III.

საჭირბოროტო საკითხები კი ბევრია, რომელთაგან გვსურს ჩამოვთვალოთ ზოგიერთები, შეიძლება ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხები:

1.ქართული სათვისტომო პარიზში,ანუ საფრანგეთში;
2.სამლოცველოს აღდგენა ლევილის ქართულ მამულში;
3.საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის ბედი;
4.ლევილის ბიბლიოთეკის თუ წიგნთსაცავის ბედი;
5.ლევილის ქართული მამულის ბედი;
6.საქართველოს საელჩო პარიზში,ანუ საფრანგეთში და ქართული ემიგრაცია;
7.ქართველთა საქველმოქმედო და სხვა სახის მოღვაწეობა უცხოეთში;
8.ქართული პანთეონი ლევილში.

შევეცადოთ აღნიშნული საკითხების გარკვევას:

IV.

### ქართული სათვისტომო

1. ქართული სათვისტომო საფრანგეთში, თუ არა ვცდები, არსებობს 1922 წლიდან, ე.ი. მიმდინარე 1997 წელში შეუსრულდა 75 წელი დაარსებიდან, რაც ჩვენ, სამწუხაროთ, არ აღვინიშნავს შესაფერისად, და ამაშიც მჟღავნდება ჩვენი სათვისტომოს რეალური მდგომარეობა.

ჩვენი "ოქროს თაობა", ასე ვუწოდებ მე 26 მაისის შემქმნელ თაობას, რომლის ნაწილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის ჩათვლით, ემიგრაციაში მოექცა, რომ ბრძოლა განეგრძო ბოლშევიკური დამპყრობლების წინააღმდეგ,საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილების შესაბამისად, - ყოველი ძალღონით ცდილობდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ქართული სათვისტომო საფრანგეთში აღექვა როგორც"ქართული ოჯახი", რომელშიც ყველა ამ ოჯახის წევრის ღირსება - მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა - დაცული იქნებოდა. ამის ლოგიკური შედეგი იყო ისიც, რომ - მართალია, სათვისტომოს ხელმძღვანელობის არჩევა ხდებოდა დემოკრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიული გზით, მაგრამ, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ემიგრაციაში არსებული ყველა პარტიისა და პოლიტიკური დაჯგუფების ხელმძღვანელები თუ დელეგატები, აწარმოებდნენ მოლაპარაკებას იმ მიზნით, რომ წამოეყენებინათ ისეთი კანდიდატურა ქართული სათვისტომოს თავჯდომარის პოსტზე, რომელიც აღნიშნულ მიზანდასახულობას ყველაზე უფრო ესიტყვებოდა, ე.ი. ყოფილიყო ყველა ემიგრანტის მფარველი – მიუხედავად ამა თუ იმ პირის პოლიტიკური მრწამსისა. ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ ქართულ სათვისტომოში არავითარ განხეთქილებას არ ჰქონია ადგილი, და არ ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ ამგვარი გზით წამოყენებული კანდიდატი სათვისტომოს გამგეობის პოსტზე, არ აერჩიოს სათვისტომოს საერთო კრებას ხმების უმრავლესობით.

თვით გამგეობა კი ისეთი წესითა და რიგით იყო არჩეული, რომ მასში წარმოდგენილი იყო ქართული ემიგრაციის ყველა თაობა, პარტია, პოლიტიკური დაჯგუფება და უპარტიოები. აი, ასეთი წესით მოქმედებდა ჩვენი "ოქროს თაობა" ოთხმოციანი წლების დასაწყისამდე.

ოთხმოციანი წლების შემდეგ კი, "უცბათ", სულ ცოტა, ჩემთვის მოულოდნელად, უგულებელყოფილ იქნა სათვისტომოს თავჯდომარის არჩევის წესრიგი და სათვისტომოს თავჯდომარეების არჩევა ხდებოდა ჩემთვის გაუგებარი წესრიგით, რადგან კანდიდატების წამოყენების პარტიული დასახელების გამოცდილი წესრიგი უგულებელყოფილ იქნა, რის შედეგად სათვისტომოს თავჯდომარეთ არჩეულ იქნენ პირებიც, რომლებიც არჩევამდე არავითარ ინტერეს არ იჩენდენ საზოგადოებრივი საქმეებისადმი, რასაც მოყვა არა მარტო "დაბნეულობა", არამედ "გაუგებრობაც"; და ახე "სადავო" ორგანო გახდა ქართული სათვისტომოს გამგეობაც, რომლის კულმინაციურ წერტილად მესახება მიმდინარე, 1997 წელს, მომხდარი "უთანხმოება" ქართული სათვისტომოს გამგეობაში, რის შედეგად შეუძლებელი გახდა 26 მაისის, ჩვენი უდიდესი ეროვნული დღესასწაულის, საერთო ძალისხმევით ჩატარება, რაც სამარცხვინოა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებისათვის. ამ "უთანხმოების" მიზეზი კი გახდა საქართველოს საელჩოს თანამშრომლების დაპატიჟება-არდაპატიჟების საკითხი 26 მაისის ეროვნულ დღესასწაულზე, რაც – თავის მხრივ, – კიდევ უფრო აღრმავებს, სულ ცოტა, ჩემს სირცხვილს.

მადლობა ღმერთს, 26 მაისის ჩვენი ეროვნული დღესასწაული, მაინც ღირსეულად ჩატარდა საზეიმოდ მოწყობილ ლევილის ქართული მამულის შატოს მთავარ დარბაზში საქართველოს საელჩოს თანამშრომლებისა და თვით ელჩისა და მისი მეუღლის თანდასწრებით, მაგრამ რა? – სათვისტომოს თავჯდომარე, ალბათ, მისი "ნეიტრალობის" დაცვის მიზნით, – ამ საზეიმო დღესასწაულს არ დასწრებია სათვისტომოს გამგეობის ზოგიერთი წევრებისა და მათ მომხრეების ჩათვლით. ამგვარად, ქართული სათვისტომო საფრანგეთში, პირველად მის ისტორიაში, გახდა "ჯგუფური" ინტერესების/თუ უინტერესობის/ საჯიჯგნი ორგანიზაცია, რაც სამარცხვინოა ჩვენი ემიგრაციის "ოქროს თაობის" წინაშედაც, რომელთაგან თითო-ოროლაა შემორჩენილი ჩვენს რიგებში, მაგრამ მათ, რომ პოლიტიკური მოქმედების ფიზიკური უნარიანობა გააჩნდეთ, უთუოთ, დაგვიყვირებდენ:"რას აკეთებთ!", "რას ჩადიხართ!" "26 მაისმაც ვერ შეჰკრა თქვენი ერთობა მრავალფეროვნებაში?"

ჩვენგან, ე.ი. ქართული სათვისტომოს დღევანდელი ხელმძღვანელობიდან და თვით წევრებიდან უფრო პასიურობა, ვიდრე აქტიურობა იგრძნობა, რადგან არ გაისმის არსად ძახილი ერთობისაკენ მრავალფეროვნებაში!.. კიდევ მეტი, 1997 წლის 21 სექტემბერს ჩატარდა 1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყების აღსანიშნავი თავყრილობა ლევილში, მაგრამ საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, როგორც ჩანს, არავის არ დაუპატიჟებიათ!.. თუ?.. როგორც ჩანს, ჩვენ, ქართული სათვისტომოს წევრებს არავინ არ გვეკითხება ჩვენს აზრს აღნიშნულ და სხვა საკითხებზე და თითო-ოროლა, აწ უკვე არჩეული ხელ-

მძლავრელი, არც კი თვლის საჭიროდ გაიგოს რა სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ქართული სათვისტომოს რიგითი წევრები და თუ ქართული სათვისტომოს უმრავლესობა, აღნიშნულ საკითხში, ერთი აზრისაა, ნუთუ სრულიადაც არ უნდა გაეწიოს ანგარიში იმ ფაქტს, რომ უმცირესობასაც გააჩნია უფლებები, მით უმეტეს, რომ ჩვენ არ ვფიქრობთ ქართული სათვისტომოს წევრთა უმრავლესობა იზიარებს აღნიშნულ მოქმედებას.

მაგრამ ჩვენ გვსურს არა მარტო ფაქტების აღნიშვნა, არამედ ისეთი გზის მოხაზვა, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა ერთობის მიღწევა მრავალფეროვანებაში: ჩვენ ასეთ გზად გვესახება ჩვენი "ოქროს თაობის" წესრიგის აღდგენა ქართულ სათვისტომოში, რომ თავიდან იქნას აცილებული ამა თუ იმ პირის თუ პირების განუკითხავი ბატონობა ქართულ სათვისტომოში და ქართული სათვისტომოს წევრთაუმრავლესობის უფლებების უგულებელყოფა. ქართული სათვისტომო საფრანგეთში ისევ უნდა გახდეს ყველა უცხოეთში მცხოვრები ქართველის ოჯახი მიუხედავად მისი პოლიტიკური მრწამსისა. პოლიტიკა კი, ჩვენი "ოქროს თაობის" თანახმადაც, უნდა აწარმოოს პოლიტიკურმა პარტიებმა, დაჯგუფებებმა თუ უპარტიოებმა, და ეს დავა უნდა დარჩეს ქართული სათვისტომოს კარიბჭეს გარეთ და ვერ უნდა შევიდეს შიგ.

კიდევ ერთი, შეიძლება, არსებითი შენიშვნა ქართული სათვისტომოს შესახებ არა მარტო საფრანგეთში: საქართველოში, როგორც ვიცით, თითქმის ორასი წელიწადი ბატონობდა რუსეთი, რის შედეგად რუსულმა ენამ, რბილად რომ ვთქვათ, "შეავიწროვა" ქართული ენა, რის წინააღმდეგ ილაშქრებდა ჩვენი ერი, რომლის ხანიმუშო თარიღი გახდა 1978 წლის 14 აპრილი, როცა ქართველმა ერმა აიძულა უცხო დამპყრობლები ქართული ენა დარჩენილიყო საქართველოს სახელმწიფო ენად; და ამის შედეგია ის, რომ 14 აპრილი, ყოველწლიურად, გახდა ქართული ენის დღე, რომელსაც დიდი ზეიმით აღნიშნავს ქართველი ხალხი. ვფიქრობ, უკვე მიხვდით რის თქმა მსურს: ქართული ემიგრაციის პირველი "ოქროს თაობიდან" განსხვავებით, მეორე, მესამე და აწ უკვე მეოთხე თაობიდან თითო-ოროლა ფლობს ქართულ ენას; და ამის შედეგია ის, რომ ქართული სათვისტომოს კრებები თუ მიწერ-მოწერა, არსებითად ფრანგულ ენაზე წარმოებს; და ისინიც არ ცდილობენ დაუბრუნდნენ ქართულ ლაზათიან ენას, რომლებიც, ასე თუ ისე, ქართულს დაუფლებული არიან. რა თქმა უნდა, ჩვენი ემიგრაციის მეორე, მესამე და მეოთხე თაობა საქართველოს, ჩვენი სახელმწიფოს დიდი პატრიოტებია; ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია; მაგრამ ვითომ შესაძლებელია ქართული ენის მივიწყება?.. ჩვენ ვფიქრობთ, რომ – არა, ეს შესაძლებელი არ არის. ამდენად, შევეცადოთ ქართული სათვისტომოს კრებებზე თუ მიწერ-მოწერაში ქართული ენა გავაბატონოთ თანდათანობით, რაც, ვფიქრობთ,–თავის მხრივ, – ხელს შეუწყობს, ნაწილობრივ მაინც, ჩვენს ერთობას მრავალფეროვანებაში. აქ ერთი მაგალითი: ერთი ქართველი/აქაც არ ვასახელებ მის სახელსა და გვარს/ დაბრუნდა რუსეთიდან დამოუკიდებელ საქართველოში; ქართული არ იცოდა; და უმოკლეს ხანში ისე ისწავლა, რომ საქართველოში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალისტიც კი გახდა/დ.ვ./. ნუთუ ეს არ არის მისაბაძი მაგალითი, მით უმეტეს, რომ ქართული ენა ყოველი ქართველის გენებშია?..

V.

## სამლოცველოს აღდგენა ლევილში

2. სამლოცველოს აღდგენა ლევილში უკვე დიდი ხანია ბჭობის საგანია, რამაც გამოიწვია ის, რომ როცა საქართველოში ვიყავით და, სხვათა შორის, "ბაგრატის ტაძარი" მოვილოცეთ ქუთაისში, ერთმა არქიტექტორმა დამიწყო ლაპარაკი სამლოცველოს აღდგენის შესახებ ლევილის ქართულ მამულში. გამოდგა, რომ ის, ქუთაისის დელეგაციასთან ერთად, ლევილში ყოფილა, უნახავს ის ადგილი, სადაც უნდა აღსდგეს სამლოცველო, შეუსწავლია ეს საკითხი, შეუქმნია პროექტი და დაჟინებით მოგვთხოვა ჩვენ გვენახა ეს პროექტი და მიგვეცა რჩევა-დარიგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორ შეიძლება ამ პროექტის განხორციელება ლევილში. ჩვენ ვუთხარით, რომ არსებობს – ერთი მხრივ – წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის კომიტეტი პარიზში და მეორე მხრივ – ლევილის ქართული მამულის "სოსიეტე", და მათი საქმეა, უთუოთ, სამლოცველოს აღდენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა და განხორციელება. მაგრამ ჩვენ მაინც გვანახა აღნიშნული არქიტექტორის მიერ შექმნილი პროექტი და მეტად მოგვეწონა კიდეც, რადგან ლევილის ქართული მამულის შესასვლელის მარცხნივ-მდებარე შენობა, რომლის ერთი ნაწილი, მართალია, გადახურულია, მაგრამ დანგრეულია, და გააჩნია ერთი "თაღი", - ეს "თაღი" ოსტატურადაა გამოყენებული ისე, რომ "შეესაბამება" ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ფასადის სწორედ "თაღოვან" ნაწილს. სხვათა შორის, მარმარილოს ნიმუშებიც კი გვაჩვენეს, რომლითაც სურთ ამ სამლოცველოს აღნიშნული თაღის მოპირკეთება; და თვით ხარჯების გაღებაც მათ სურთ, თუ ნებას დართავს ლევილისა და წმ.ნინოს ეკლესიის პასუხისმგებელი პირები.

და აქ ჩემი პიროვნული შენიშვნა: ნუთუ მტკიცება სჭირდება იმას, რომ ლევილის ქართულ მამულში აღსდგეს სამლოცველო, რომ თავი ავარიდოთ წირვა-ლოცვის ჩატარებას ლევილის შატოს მთავარ დარბაზში, რომელსაც სრულიად სხვა დანიშნულება აქვს?.. ნუთუ შეუძლებელია ლევილის ქართული მამულის "მესაკუთრეებმა"/"სოსიეტე"/ და წმ.ნინოს პარიზის ქართული ეკლესიის კომიტეტმა საერთო ენა გამონახონ ამ საკითხში და სამლოცველო აღსდგეს ლევილის ქართულ მამულში?.. მე, პირადათ, ამის მომხრე ვარ. ვითომ ქართველ მლოცველებს და, საერთოდ, რ ი გ ი თ ქართველს აზრის გამოთქმის უფლებაც არ აქვთ ამ საკითხში, რომ მის განხორციელებაზე არაფერი ვთქვათ?..

## VI.

## ეროვნული მთავრობის არქივი

3. ახლა შევეხოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივს და მის ბედს:

(ეს წერილი უკვე დაწერილი იყო, როცა აკადემიკოსმა გურამ შარაძემ თბილისიდან მიუნხენში დამირეკა, რომ ეროვნული მთავრობის არქივი ამერიკიდან უკვე ჩამოტანილია საქართველოშიო. მაგრამ მაინც ვაქვეყნებთ ამ წერილს, რადგან შეიძლება მასში გამოთქმულია აზრები, რომელიც მომავალშიაც უნდა იქნას მიღებული მხედველობაში.)

ქართულ ემიგრაციაში ატყდა დიდი შეხლა-შემოხლა, როცა საარქივო კომისიის სახელით, მისმა ხელმძღვანელმა ეროვნული მთავრობის არქივის ის ნაწილი, რომელიც ლევილის ქართულ მამულში ინახებოდა, საქართველოში წაიღო, საქართველოს საელჩოსა და საქართველოს პარლამენტის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების კომიტეტის დახმარებით, და გადასცა საქართველოს მთავრობის შესაბამის ორგანოებს, ე.ი. არქივის კანონიერ მესაკუთრეებს. თუმცა, მე პირადათ, როგორც საარქივო კომისიის წევრმა, ეს პროცედურა დეტალურად არ ვიცოდი და არც მონაწილეობა არ მიმიღია მასში, მაგრამ მე ვიყავი და ვარ იმის მომხრე, რომ ეროვნული მთავრობის არქივი გადაეცეს მის კანონიერ მესაკუთრეს – საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობას უნდა გადაეცეს აგრეთვე არქივის ის უმთავრესი ნაწილი, რომელიც ინახება ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომლის კომისიის წევრად მეც ვითვლები. მე არ ვფიქრობ, რომ საარქივო კომისიის რომელიმე წევრი ამის წინააღმდეგ იყოს; მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც ამჯერად გამოირკვა, ქართული ემიგრაციის, მე ვიტყოდი, მცირე ნაწილი წინააღმდეგია იმისა, რომ არქივი გადაეცეს საქართველოს მთავრობას, რასაც საქართველოს დღევანდელი მთავრობის არაკომპეტენტურობით ასაბუთებენ, რამდენადაც ამის გაგება შევძელით. აქ კი გარკვეულად უნდა ითქვას: საარქივო კომისია სარგებლობს საქართველოს ეროვნული მთავრობის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით, რაც შესაბამისი დოკუმენტებითაა დადასტურებული. ეს საარქივო კომისია მოქმედე-

ბლა და მოქმედებს მისთვის მინიჭებული ამ უფლებამოსილებით, რითაც იმის თქმა შეიძლება, რომ ეს საარქივო კომისია ვალდებულია გადასცეს საქართველოს მთავრობას აღნიშნული არქივი. ამ პროცესში კი არავითარი უფლება არ აქვს ჩაერიოს ქართული სათვისტომო საფრანგეთში ან ცალკეული პირები; მათ, რა თქმა უნდა, შეუძლიათ მათი საკუთარი აზრი ჰქონდეთ არქივის შესახებ; მაგრამ ამ საკითხის მოგვარება ევალება საარქივო კომისიას და იგი პასუხისმგებელია საქართველოს დღევანდელი მთავრობის მიმართ საქართველოს ეროვნული მთავრობის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ვიმეორებთ: ამ საქმეში ჩარევის უფლება აქვს მხოლოდ-და-მხოლოდ საარქივო კომისიის წევრებს და ჩვენ გვჯერა ეს საარქივო კომისია შესძლებს ამ საკითხის დადებითად გადაჭრას, რაშიც, მე პირადათ, არქივის გადაცემას ვგულისხმობ საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებაში.

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს მთავრობა შესაფერისი პასუხისმგებლობითა და სიფაქიზით მოუვლის ამ არქივს, რისთვისაც საქართველოში ჩვენ გაგვაჩნია არა მარტო საჭირო სპეციალისტები, არამედ საჭირო სახსრებიც - მიუხედავათ საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური სიძნელეებისა.

ერთი შენიშვნა მხოლოდ: ვითომ მიზანშეწონილია ყველაფერს - არის ეს არქივი თუ სხვა სახის ისტორიული, ლიტერატურული თუ ხელოვნების დოკუმენტები - თავი მოვუყაროთ საქართველოს მუზეუმებში თუ შესაფერის უწყებებში?.. ვითომ უფრო მიზანდასახული არ იქნება თუ აღნიშნული განძეულობა სხვადასხვა ადგილას იქნება დაცული, რომ თავი ავარიდოთ მათ ერთ ადგილას თავმოყრას და ამით მათ განადგურების ან გატაცების საშიშროებას ხანძარით თუ ყოველი ჯურის დამპყრობელთა მიერ?.. შეიძლება,-საქართველოს მთავრობის არქივის ხვედროში რომ დავრჩეთ, - უკეთესია ამ არქივის ორიგინალი დარჩეს, განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე, ისევ ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რადგან აქ ამ ჩვენ არქივს არა მარტო არავითარი საშიშროება არ ემუქრება, არამედ ამასთანავე, მიკროფილმების მეშვეობით, იგი ხელმისაწვდომია ყველასათვის, ქართველი მეცნიერების ჩათვლით?.. რა თქმა უნდა, ეს მეტად საპასუხისმგებლო საკითხია, რომელიც საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ ჩაფიქრება ამ მხრივაც, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, რომ შენარჩუნებულ იქნას ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობა მომავალი თაობებისათვის.

დავას ქართული არქივის გადაცემის შესახებ, ჩემის აზრით, აქვს აგრეთვე "უცნაური", მაგრამ "ადამიანური" განზომილება: "მოქიშპეები"- მებადება ზოგჯერ აზრი - უფრო პირადი, ვიდრე საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამოდიან, რომ არქივის საქართველოში ჩამტანის "გვირგვინი" მხოლოდ ამა-თუ-იმ პიროვნებამ მიიკუთვნოს. ვიმეორებ: ეს ადამიანური თვისებაა საერთოდ; და მასზე "ამაღლება" მხოლოდ ზოგიერთებს შეუძლიათ. და ვითომ ჩვენ, ყველამ ამგვარი "ამაღლებული" გრძნობებით გამსჭვალული არ უნდა ვიმოქმედოთ ყოველი სახის ეროვნული მნიშვნელობის საქმეებში?..

## VII.

## ლევილის ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავი

4. ლევილის ქართული მამულის ბიბლიოთეკა თუ წიგნთსაცავი, გასაგებია, მჭიდრო კავშირშია საქართველოს ეროვნული მთავრობის არქივთან, რადგან ამ "ჩვენს ბიბლიოთეკაში"/ასეთია ამ ბიბლიოთეკის სახელწოდება/ თავმოყრილია მრავალი ჟურნალ-გაზეთი თუ წიგნი, რომლებსაც, უთუოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რაობის შესასწავლად. მართალია, ამ ბიბლიოთეკიდან მრავალი ჟურნალ-გაზეთი თუ წიგნი უკვე გადავეცით საქართველოს და ინახება, როგორც ჩვენ პირადათ ვნახეთ-დავათვალიერეთ "ქართული ემიგრაციის მუზეუმში", რომელიც დაბინავებულია თბილისის უნივერსიტეტის მთავარ შენობის დიდ დარბაზში. მაგრამ ლევილის ქართუ-

ლი მამულის ბიბლიოთეკა უკვე წიგნთსაცავი გახდა, რადგან მრავალი ქართველი, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ პირად ბიბლიოთეკებს ლევილის წიგნთსაცავს უტოვებს თუ გადასცემს, რის შედეგად ძნელია იმის განჭვრეტა თუ რამდენი და რა სახის ჟურნალ-გაზეთები თუ წიგნებია თავმოყრილი აქ. მადლობა ღმერთს, ლევილის ქართული მამულის შატოს "ცხვენი"/"გრენიერ"/ უკვე გასუფთავებულია, თაროები ნაყიდი და დადგმულია და წიგნებიც დალაგებულია; მაგრამ არ არსებობს კატალოგი, რის შედეგად, როგორც ავღნიშნეთ, არც კი ვიცით თუ რა არის თავმოყრილი ამ ბიბლიოთეკაში. და აქ ჩვენი შენიშვნა:

ვითომ შესაძლებელია ამ ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავის ისეთი წესითა და რიგით მოწყობა, რომ შესაძლებელი გახდეს კატალოგის შედგენა?.. ვითომ შესაძლებელია ამ საქმეში თბილისის, ქუთაისის, სოხუმის თუ ბათუმის უნივერსიტეტების შესაბამისი ფაკულტეტების სტუდენტების ჩაბმა, არდადეგების დროს, რომ შედგენილ იქნას თვით კარტოთეკაც კი?..

## VIII.

## ლევილის ქართული მამული

მაგრამ ყველაზე უფრო მტკივნეულია ლევილის ქართული მამულის ბედი.

მოგაგონებთ: საქართველოს იერუსალიმში, ერთ დროს ჰქონდა 19-ზე, დიახ, 19-ი ეკლესია და მონასტერი, და ერთ დროს მხოლოდ ქართულ ლაშქარს ჰქონდა უფლება გაშლილი დროშით შესულიყო ამ წმინდა ქალაქში. და დღეს? - დღეს მხოლოდ იერუსალიმის "ჯვარის" მონასტერია მოხსენებული როგორც ქართველთა მონასტერი, თუმცა იგი იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს უფლებამოსილების ქვეშაა და უკვე მუზეუმად არის გადაკეთებული; და სწორედ ამ მონასტერის მთავარ კათედრალშია შოთა რუსთაველის სახე-სურათი შემორჩენილი, ხოლო მდიდარი ბიბლიოთეკა უკვე ბერძნულ საპატრიარქოშია გადატანილი. მოკლედ: აღნიშნულ 19-ტ ეკლესია-მონასტრებიდან, მხოლოდ ჯვარის მონასტერშია შემორჩენილი ქართველთა "ხსენება" საერთოდ; დანარჩენი კი დაიკარგა, სხვებმა მიითვისეს თვით ქრისტეს საფლავის ერთი ნაწილიც, რომელიც საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

და რატომ მოვიყვანე ეს მაგალითი, სხვა ანალოგიურ მაგალითთა შორის? - იმიტომ, რომ მე პირადათ ვშიშობ, იგივე ბედი არ ეწიოს ლევილის ქართულ მამულსაც ჩვენი უსუსრობის გამო, რომელიც ჩვენი უთანხმოებიდან გამომდინარეობს. ლევილის ქართული მამულის მეპატრონეებია შთამომავლები იმ შვიდი პირისა, რომლებმაც ეს მამული იყიდეს; და ამ მამულის იურიდიულ რაობაში რომ გავერკვეთ, აქვე მოგვყავს სრული ტექსტი იმ ანდერძისა, რომლებიც მათ, ე.ი. აღნიშნულ შვიდ პირმა დაწერეს და ხელი მოაწერეს.

---

 აი, ამ ანდერძის სრული ტექსტი, რომელიც დაწერილია 1928 წლის 30 აპრილს:-

"ოც და ათი აპრილი ათას ცხრაას ოცდა რვა წელი, ქალ. პარიზი. ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, სამსონ ფირცხალავა და კონსტანტინე კანდელაკი - ვაძლევთ ამ ხელწერილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას იმაში, რომ:

1.მამული, მდებარე ს-ტ ლევილში(Leuville s/Orge), საფრანგეთში, სენის და ოაზის დეპარტამენტში, და ცნობილი სახელწოდებით "Chateau de Leuville", რომელიც შეძენილია საჯარო ვაჭრობაზე 10 იანვარს 1927 წ. საზოგადოების «Foyer Géorgien»-ის მიერ, რომლის წევრნი ვართ ჩვენ ზემოაღნიშნული პირნი, ნაყიდი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფულით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს; სახელდობრ, მიწა მიმდ. დაბაღებული ხუთი ჰექტარი, სადგომი სახლი, სამეურნეო შენობები, ავეჯი, ინვენტარი და სხვა ყოველივე, რაც აღნიშნულ მამულში იმყოფება, გარდა იმ საგნებისა, რაც იქ მდგმურთა მიერ საკუთარი ხარჯით არის შეძენილი.

2.ყოველგვარი შემოსავალი აღნიშნულ მამულიდან და ყოველგვარი განკარგულება მამულის შესახებ ეკუთვნის სავსებით საქართველოს დემოკრატიულ მთავ-

რიგას-და ჩვენ ვიღებულნი ვართ დავემორჩილოთ ყოველივე მის განკარგულებას მამულის შესახებ, ე.ი. მამულის ან რაიმე იმის ნაწილის ექსპლოატაციის შესახებ, გაქირავების, დაგირავების, გაყიდვის, გადაცემის შესახებ და სხვა, და საზოგადოების "Foyer Géorgien "-ის დადგენილებებში აღნიშნულ მთავრობის დადგენილებების თანახმად ვიმოქმედოთ;

3.არც ჩვენ პირადათ და.არც ჩვენს მემკვიდრეებს უფლება არა გვაქვს ვისარგებლოთ აღნიშნულ მამულით ან იმის შემოსავლით გარეშე საზოგადოების "Foyer Géorgien" -ის დადგენილებისა.

4.ჩვენ მოვალენი ვართ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნილებისამებრ დავდოთ ყოველგვარი ხელშეკრულება გარეშე პირებთან თუ დაწესებულებებთან ამ მამულის შესახებ, დავცვით ამასთანავე "Foyer Géorgien" -ის წესდებისა, და დავემორჩილოთ მთავრობის მოთხოვნილებებს, როგორც ეს აღნიშნულია ზევით მუხლ 2-ში, გარდა ყოველ გვარი ხარჯი მამულზე გაწეული ჩვენ პირადათ არ უნდა გვეკისრებოდეს, არამედ ანაზღაურებული უნდა იქმნას თვით მამულის შემოსავლისა ან მთავრობის მიერ.

5.უზრუნველსაყოფად მთავრობის უფლებისა აღნიშნულ მამულის სრულ საკუთრებაზე ჩვენ ვიძლევით საზოგადოების "Foyer Géorgien" -ის სახელზე ვექსილს თითოეული ჩვენგანი ოცდა ხუთი ათასი ფრ.(Fr25,000); "Foyer Géorgien" -ი ამ ვექსილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნილებით საჭიროების დროს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ ნაჩვენებ პირს; ხოლო თუ რომელიმე ჩვენგანი თავს გაანებებს "Foyer Géorgien" -ის წევრობას ან იმ შემთხვევაში თუ მამული სხვა პირზე გადავიდა ამის და მისდევით საზოგადოებიდან გასული პირი ან ყველა ჩვენ განთავისუფლებულნი ვართ-ვექსილიდან და ყოველგვარ მოვალეობიდან მთავრობის და "Foyer Géorgien"-ის წინაშე.

| | |
|---|---|
| 1.ნოე. ჟორდანია | 5.ევგენი გეგეჭკორი |
| 2.აკ. ჩხენკელი | 6.ს.ფირცხალავა. |
| 3.ნ.რამიშვილი | 7.კ.კანდელაკი." |
| 4.ექვთიმე თაყაიშვილი | |

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს ლევილის ქართული მამულის, ეროვნული კერის მფლობელია ორი ორგანო, რომელთა წესდება, ე.ი.უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია იურიდიულად და დადასტურებულია სათანადო ფრანგული ორგანოების მიერ. ეს ორი ორგანოა -

1."მესაკუთრეთა ასოციაცია", რომელშიც შედიან აღნიშნული შვიდი პირის მემკვიდრეები, და

2."Foyer Géorgien" -ის საზოგადოება, რომლის ადმინისტრაციული, ე.ი. მმართველი ორგანოა-ქართული კერის ადმინისტრაცია.

---

მართალია, ლევილის ქართული მამულის "სოსიეტეს", ე.ი."მესაკუთრეთა" ყურანმა-მმართველმა და ადმინისტრაციის თავჯდომარემ არაერთხელ აწარმოეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, მაგრამ არავითარი შედეგი არ ჩანს, რადგან, - როგორც გავრცელდა"ხმები", - საქართველოს დღევანდელ მთავრობას "სანდოთ" არ ცნობენ, თუ ეს "ხმები" სინამდვილეს შეესაბამება. მე პირადათ კი, როგორც ქართული მამულის ადმინისტრაციის წევრი,თანახმა ვარ დაუყონებლივ იქნას განახლებული მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობის ორგანოებთან, რომ ლევილის ქართული მამული იურიდიულად გადაეცეს საქართველოს აღნიშნული ანდერძის შესაბამისად; ფაქტობრივი გადაცემა კი შეიძლება თანდათანობითაც მოხდეს, რასაც, გასაგებია, ორივე მხარე განსაზღვრავს. ამ პროცესის უგულებელყოფა კი დაუშვებლად მიმაჩნია, რადგან საქართველოს, ისე როგორც ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოს, არასოდეს არ ეყოლება ისეთი მთავრობა, რომელიც "მთელი" ხალხისაგან იქნება არჩეული, რადგან დემოკრატიის პირობებში არა "მთელი" ხალხი, არამედ უმრავლესობა ამომრჩევლებისა ირჩევს მთავრობას. გასაგებია, რომ დემოკრატიის ეს "ანბანი" ხათავო ხდება ისეთი დიდი მნიშვნელობის საკითხის მოგვარების პროცესში, როგორიცაა ქართული მამულის მომავალი ბედი. მოდი პიროვნულ"ამბიციები" და "დავა პირველობისათვის" მივივიწყოთ და საქმეს, საქმეს მოვკიდოთ ხელი და განვახორციელოთ ჩვენი "ოქროს თაობის" ნება-სურვილი, რაც აღნიშნულ ანდერძშია ჩამოყალიბებული.

ჩვენ, რა თქმა უნდა, პატივი უნდა ვცეთ ჩვენი "ოქროს თაობის" ნათესავებს თუ მოყვრებს, და ეს ასეც ხდება; მაგრამ ყოველს ჩვენთაგანს ერთნაირი პასუხისმგებლობა აკისრია,განსაკუთრებით საქართველოს პოლიტიკური საკითხების

მოგვარების ხერხში, და ამის უგულებელყოფის უფლება არავის არ აქვს. აღნიშნულ "ოქროს თასის" მემკვიდრეებმაც, დავხმენთ ბოლოს, უნდა შეიგნონ, რომ მათ მეტი უფლება კი არა, მეტი პასუხისმგებლობა გააჩნიათ; რომ ჩვენ ყველა გავხდეთ ჩვენი ხალხის ღირსეული მემკვიდრეები. აი, ეს უნდა იყოს ჩვენი ყველა მოქმედების დედა-აზრი და მიმართულება, როგორი რთული არ უნდა იყოს ერთობის მიღწევა მრავალფეროვნებაში.

## IX.

## საელჩო და სათვისტომო

6. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველ არა მარტო ემიგრანტთა ნაწილი ვერ ხედავს განსხვავებას საქართველოს სახელმწიფოსა და მის მმართველებს შორის, რის შედეგად დარღვეულია თანამშრომლობა, ურთიერთ ნდობა საქართველოს საელჩოსა და ქართულ სათვისტომოს შორის, პარიზში, და ამის საფრანგეთში. საქართველოს სახელმწიფო მარადიულია, მარადიული უნდა იყოს; მაგრამ საქართველოს მთავრობა, ხელმძღვანელობა დროებითია, რომელიც ყოველი ახალი არჩევნების შედეგად, შეიძლება შეიცვალოს.

ამდენად, ესეც ჭეშმარიტებაა, მთავრობის აქა თუ იმ თავკერძობის სიმპატია-ანტიპატია კი არ არის არსებითი, არამედ არსებითია არჩეულია იგი ხალხის უმრავლესობით თუ არა. საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა - 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების შედეგად, რაც საერთაშორისო მეთვალყურეებმა დემოკრატიულ არჩევნებად აღიარეს, - ჩვენთვის კანონიერი მთავრობაა, და მისი და მისი წარმომადგენლების "არცნობა" ამა-თუ-იმ პირის თუ დაჯგუფების მიერ დემოკრატიის პრინციპების უარყოფა მეგონია. მაგრამ ყოველ პიროვნებას შეუძლია ამ საკითხშიც თავისი აზრი ჰქონდეს და მის შესაბამისად იმოქმედოს თუ მისი ამგვარი მოქმედება არ ეხება სხვა პიროვნების უფლებების შებღალვას: მაგალითად, მე მომხრე ვარ, რომ ქართულ სათვისტომოსა და საქართველოს საელჩოს შორის იყოს მეგობრული ურთი-ერთობა, პარიზში და მთელ საფრანგეთში; და, ვფიქრობ, ასეა განწყობილი ქართული სათვისტომოს წევრთა უმრავლესობა. მაშინ უმცირესობას არ აქვს უფლება ჩემი და ამით უმრავლესობის ნება-სურვილი უგულებელჰყოს და ავტორიტა ულად არ ითანამშრომლოს ჩვენი სახელმწიფოს - საქართველოს - წარმომადგენლებთან უცხოეთში. "თანამშრომლობაში" მე მესმის ყოველმხრივი დახმარება, რომ საქართველო გამოვიდეს, რაც შეიძლება ჩქარა, იმ პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სიძნელეებისაგან, რომელშიც ის იმყოფება დღეს. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ მხრივ ბევრის გაკეთება არ შეგვიძლია, მაგრამ "პატარ-პატარა" ურთიერთობამ თითო დახმარება შეიძლება გახდეს თუ ჩვენ ყველა გავიმხნევებით ამგვარი მრწამსით.

## X.

7. და, მადლობა ღმერთს, ყველა ქართველი და ქართველთა მეგობრები უცხოელები ამჟღავნებენ თავიანთ უსაზღვრო აღტაცების ნებაყოფლობით თავიანთ ნათესავე-ბისა და, ბოლოს, საქართველოსადმი, რის შედეგად არც ისე უმნიშვნელო დახმარება, მატერიალური დახმარებაც კი, ეწევა საქართველოში ჩვენს ნათესავებსა და, ბოლოს, საქართველოს მთავრობას, რადგან ერთ-ერთი მაგალითია, თუ ვინმემ, სხვადასხვა საქმეში უცხოური ერთი დიდი სახელმწიფოს ავტორიტეტის გამოხატვა საქართველოსადმი დღევანდელად, როცა ეს წერილი იწერებოდა. ვიმეორებ, მადლობა ღმერთს, რომ ამ საქმეში გართულებულია პოლიტიკური "ცნობა-არცნობის" კამპანია და ყველა ერთი მრავალმხრივ ... ლებით, რაც მისასალმებელია და, რაც ადასტურებს იმას, რომ შესაძლებელია ერთობა- მრავალფეროვნებაში. საქველმოქმედო საქმეებში მაინც შევეწყოთ ერთმანეთს ხელი ისეთი ერთსულოვნებით და ერთგული აღფრთოვანებით, როგორც ეს ხდება დღეს; და - ვინ იცის? - ამგვარმა ქმედებებმა შეიძლება ხელი

შეუწყოს აღნიშნული საჭიროთ საკითხების მოგვარებასაც; თუ სრულად, ნაწილობრივ მაინც.

XI.

ლევილის ქართული პანთეონი

8. და-ბოლოს მსურს ორიოდე სიტყვით შევეხო ქართულ პანთეონს ლევილში, ე.ი. ქართულ-ფრანგულ სასაფლაოს, ანუ ქართულ ძმათა სასაფლაოს მოვლა-პატრონობას ლევილში. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი სასაფლაო კარგადაა მოვლილი, და ის სასაფლაოებიც, რომელთა უკვე ჭირისუფლები არ ჰყავთ, ყველა მოვლილია, რაც მისასალმებელია. და ლევილის ქართული პანთეონი რომ მომავალშიაც ასეთი სიფაქიზით იქნას მოვლილი, ვფიქრობ, ამ სასაფლაოს მოვლა-პატრონობა უნდა იქნას დაკავშირებული ლევილის ქართული მამულის საქართველოზე გადაცემის შეთანხმებასთან, რომ ამ ქართული პანთეონის მოვლა-პატრონობის იურიდიული და ფინანსიური პასუხისმგებლობა საქართველომ გადაიბაროს. ეს "ქართველთა პანთეონი საფრანგეთში", ჩემის აზრით, უნდა შენარჩუნებულ იქნას მარადიულად თუ რამე მარადიული არსებობს ამ ქვეყნად. "მარადიულობაში" მე ვგულისხმობ იმას, რომ ეს პანთეონი შენარჩუნებულ იქნას ისე, როგორც ის არის: თვით საქართველოს პირველი პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე - ნოე ჟორდანია, საქართველოს დიდი მეცნიერი, პროფესორი მიხეილ/მიხაკო/ წერეთელი, ჩვენი დიდი მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე თუ საქართველოს ეროვნული გმირი ქაიხოსრო/ქაქუცა/ჩოლოყაშვილი, და სხვა მრავალი, უნდა დარჩეს აქ, ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე, როგორც "ისტორიული დოკუმენტი", როგორც საქართველოს ისტორიის ერთერთი შემადგენელი რგოლი. რა თქმა უნდა, აქ დაკრძალულთა ჭირისუფლებს შეუძლიათამა თუ იმ საფლავის საქართველოში გადასვენება; ეს მათი უფლებაა; მაგრამ - თუ ჩვენ ჩვენი ისტორია არ გვსურს "შევაკეთოთ" - ლევილის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულნი აქ უნდა დარჩენ და ამით ნათელი გახადონ საქართველოს ისტორიის ის ტრაგიკული მონაკვეთი, რომელმაც ერთ აქ დაკრძალულს ისეთი ეპიტაფია შეაქმნევინა, რომ შეგვიძლია ვაღიაროთ ყველა აქ განსვენებულთა საერთო ეპიტაფიად:

"მითხარ შენდობა...ცა ჩემს მხარესა
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა.
სთქვი რომ წარწერა იხილე ლოდზე:
ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე."
/ვ.დადიანი 1879-1939/

და აქვე ლევილის ძმათა სასაფლაოს "საერთო აკლდამის" წარწერაც:

**OSSUAIRE DES GEORGIENS MORTS EN EXIL**

"ამ სამარხში განისვენებს
დევნილ ქართველთ ძვლების გროვა,
უმიწაწყლოთ განწირულნი
დრომ უდროოდ დაიგლოვა."

საუკუნო იყოს ხსენება მათი!.. და ამისათვის უნდა ვიზრუნოთ ჩვენ.

X.

მაშ, ყველამ, ერთად, შევევედროთ აღნიშნულ მანკიერებათა გარდალახვას, რომ მიღწეულ იქნას ერთობა მრავალფეროვანებაში. ჩვენ ამას შევძლებთ!.. ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!.. ამისათვის კი საჭიროა შეზოჭვა ადამიანის თანდაყოლილი "იდეური" და "მატერიალური" თვისებების - ("სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა" - "გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი") - იმდენად, რომ ცალკეულთა სამართლიან თუ უსამართლო ინტერესებ-ამბიციებმა სრულიად არ ჩაყლაპოს საზოგადოებრივი ინტერესები, რომლებიც ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში უნდა იდგეს კერძო ინტერესებზე მაღლა. ამას - ისევ ვიმეორებთ - ჩვენ შევძლებთ!.. ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!..

## XI.

## ერთობა მრავალფეროვანებაში

გავიხსენოთ 26 მაისის "ოქროს თაობის" მეთაურის - ნოე ყორდანიას აზრი ერთობის შესახებ:

> „ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის - თავს ერთ ერად, ჰირში და ლხინში განუყრელად, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე"-ზე და ამას შეგნებულად იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაულალავად ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთად დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით - არსებობას განსაცდელი მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას ალყას უპირობს. ამ შემთხვევაში ილევიან დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით."
>
> ნოე ჟორდანია 1893 წ.

## XII.

მაშ, მოგიწოდებთ ერთობისაკენ მრავალფეროვანებაში!..

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1997 წლის 21 სექტემბერი

ათი ამერიკული და ათი გერმანული უდიდესი საქველმოქმედო ფირმები.

**Big Spender**

Die zehn größten privaten US-Stiftungen geben jährlich fast viermal so viel aus wie ihre deutschen Pendants.

| Rang | Stiftungen | Ausgaben[1] |
|---|---|---|
| | USA[2] | |
| 1 | Ford Foundation | 524 |
| 2 | Robert Wood Johnson Foundation | 402 |
| 3 | W. K. Kellogg Foundation | 381 |
| 4 | Pew Charitable Trusts | 271 |
| 5 | Lilly Endowment | 251 |
| 6 | J. D. & C.T. MacArthur Foundation | 220 |
| 7 | Atlantic Foundation and Trust | 211 |
| 8 | Andrew W. Mellon Foundation | 172 |
| 9 | Rockefeller Foundation | 161 |
| 10 | Annenberg Foundation | 134 |
| | Deutschland[3] | |
| 1 | Volkswagen-Stiftung | 241 |
| 2 | Deutsche Bundesstiftung Umwelt | 207 |
| 3 | Robert Bosch Stiftung | 65 |
| 4 | Bertelsmann Stiftung | 49 |
| 5 | Wilhelm Sander-Stiftung | 42 |
| 6 | Dr. Mildred-Scheel-Stiftung für Krebsforschung | 27 |
| 7 | Körber Stiftung | 19 |
| 8 | Gemeinnützige Hertie-Stiftung | 8 |
| 9 | Alfried Krupp von Bohlen und Halbach-Stiftung | k. A. |
| 10 | Else Kröner-Fresenius-Stiftung | k. A. |

1) In Millionen Mark, 1996. 2) Quelle: „Newsweek". 3) Quellen: Institut für Stiftungsberatung, Bundesverband Deutscher Stiftungen.

ამერიკის შეერთებული შტატების ათმა დიდმა ფირმამ, 1996 წელში, გასცა სამ-მილიარდ-სამას-ოცდაშვიდი-მილიონი(3.327.000.000) მარკა; გერმანიის ათმა დიდმა ფირმამ კი - 658.000.000 მილიონი მარკა, მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში.

საქართველოში ვითომ საერთოდ არსებობს ფირმები, რომლებიც საქველმოქმედო საქმეებისათვის ზრუნავს?..

კ.ი.,1997 წლის დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვლადიმერ ჟირინოვსკი და საქართველო

1997 წლის 19-25 აგვისტოს გაზეთმა "ასავალ-დასავალმა" გამოაქვეყნა რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის - ვლადიმე ჟირინოვსკის - ინტერვიუ, რომელიც მას მიუცია ამ გაზეთის მოსკოველ კორესპონდენტ ჯემალ მაგალიანისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ ჟირინოვსკი, რომელსაც იმპერიალისტს, შოვინისტს და ფაშისტრაც კი უწოდებენ, მაინც საინტერესოა მისი აზრი საქართველოს შესახებ, თუმცა იგი ისტორიის არაერთ უცოდინარობას ამჟღავნებს როგორც, მაგალითად, ამბობს "საქართველო ნებაყოფლობის შევიდა რუსეთის იმპერიაში", ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობასა და მის დაპყრობაზე რუსეთის მიერ, - არაფერს არ ამბობს. მაგრამ, მაინც მოგვყავს ზოგიერთი ადგილი ამ ინტერვიუდან, რომელიც, უთუოთ, საყურადღებოა ჩვენთვის დღეს. ჟირინოვსკი ამბობს:

"...ჩემთვის გასაგებია, რომ საქართველოს სურს იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხალხი ამაზე ოცნებობს. მაგრამ თქვენი ქვეყანა ისეთ გეოპოლიტიკურ რაიონშია, რომ...რაიონია სტრატეგიული: გვერდით - კასპიის ნავთობია, იქვეა თურქეთი და რუსეთი და ასე იქნებით ყოველთვის, სამუდამოდ. მთავარი შევარდნაძე, მჟავანაძე ან გამსახურდია როდია... გეოგრაფია! დიახ, გეოგრაფია!"

"გამოსავალი ერთადერთია: ისევ უნდა აღდგეს რუსეთის იმპერია. უკომუნისტებოდ, სრული თავისთავადობით. დიახ, საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად რჩება, მაგრამ რუსეთს ექნება სამხედრო-სტრატეგიული კავშირი, ე.ი. ვერავინ გაბედავს შეეხოს ჩვენს ტერიტორიებს."

"...მე თქვენ მიყვარხართ, ქრისტიანები ხართ...მაგრამ...ვიმეორებ არ მოგასვენებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ გეოგრაფიაა ასეთი."

ჯემალ მაგალიანის შეკითხვაზე თუ ვინ არ მოგვასვენებს, ჟირინოვსკიმ განაცხადა:

"ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი...თქვენ ფი ფიქრობთ, რომ ოდესმე კარგად იცხოვრებთ. შეუძლებელია, ყველაფერი ისევე იქნება, როგორც დღესაა. არ მოგასვენებენ! მოგასვენებენ მხოლოდ მაშინ, როცა 'პატარა საქართველო' იქნებით - მხოლოდ თბილისი და ქუთაისი. რატომ? იმიტომ, რომ არ გაძლიერდეს აჭარა, არ გაძლიერდეს აფხაზეთი. მხოლოდ ამიტომ - წონასწორობისათვის. თუ საქართველო დაიღუპება, არავის სჭირდება დიდი აჭარა, ან დიდი აფხაზეთი, ან დიდი ოსეთი. აი, რა არის პრობლემა! ასე რომ, თქვენც ისევე დაგჩეხენ, როგორც რუსეთი დაჩეხეს."

"მსოფლიოში 2000-ზე ენაა, სახელმწიფო კი მხოლოდ ორასია - სულ რაღაც 10 პროცენტი, ე.ი. საქართველო არსებობს, ქართული ენა არსებობს. მაგრამ მტრები არ მოგცემენ უფლებას, იყოთ სრულიად დამოუკიდებელი, აყვავებული სახელმწიფო. ზუფერული - კი ბატონო - თურქეთისა და აშშ-ს მოსამსახურე...მაგრამ განუწყვეტლივ ჩამოგჩეხენ და გამოგაჭრიან ნაჭრებს. ისინი ყოველთვის მოაწყობენ კონფლიქტებს სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში - ყველგან, რათა თქვენ ღლევანდელ სიტუაციაში დარჩეთ."

"...თქვენ ხაფანგში ხართ მომწყვდეული. აი, ესაა პრობლემა! ზოგი ამბობს, გამსახურდიაა დამნაშავეო, ზოგიც - შევარდნაძეო. არა, ბატონებო, დამნაშავეა გეოგრაფია!"

გაზეთი "ასავალ-დასავალი",
თბილისი, 1997 წლის 19-25 აგვისტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლევილობა

ლევილის ქართული მამულის 75 წლისთავი

ლევილი - 1922 - 24 ივნისი - 1997 წელი
საფრანგეთი

I.

ლევილის ქართველობამ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა პარიზის ახლო-მდებარე დაბა ლევილის ქართული მამულის 75-ე წლისთავი.

II.

ლევილის შესახებ "ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში" (თბილისი,1983 წელი, ტომი 6, გვ.159) ვკითხულობთ:"ლევილ-სიურ-ორჟი (*Leuville-sur-Orge*) ფრანგული სოფელი სენისა და უაზის დეპარტამენტში(პარიზიდან 26 კილომეტრი). აქ 1922-1944 წლებში ცხოვრობდა ექვთიმე თაყაიშვილი. იქვე ინახებოდა საქართველოს 1921 წელში გატანილი განძეულობის ერთი ნაწილი, მ. შ. ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებიდან გატანილი სურათები, რომლებიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული". თუმცა ვერ ამოვხსენით თუ რას უნდა ნიშნავდეს შემოკლებული "მ.შ.", მაგრამ, ბოლშევიკების პირობებში, როგორც ჩანს, მეტის თქმა არ იყო ნებადართული, რაც გასაგებია. ვაუგებარია მხოლოდ, რომ ლევილის ქართული მამული მხოლოდ ცნობილ მეცნიერ ექვთიმე თაყაიშვილის სახელთანაა დაკავშირებული, რაც, გასაკვირია, ლევილის ქართული მამულის სრულ სურათს ვერ იძლევა.

III.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ, ქართველმა ხალხმა, თითქმის ხუთასი წლის დაქუცმაცებული ცხოვრების შემდეგ, - ისევ აღადგინა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - თავის, თითქმის, მთელს ისტორიულ ტერიტორიაზე, და საქართველო ისევ გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა - ჯერ - 1920 წლის 7 მაისს, რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ხელი აიღო მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე, მაგრამ - შემდეგ - 1921 წლის 11 თებერვალს მოულოდნელად დაესხა თავს საქართველოს და იარაღის ძალით დაიპყრო ჩვენი სამშობლო. ამის შედეგად, საქართველოს ეროვნული მთავრობა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, წამოვიდა უცხოეთში, 1921 წლის 17 მარტს, და შეეხიზნა საფრანგეთს, პარიზს, საიდანაც განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენისათვის.

IV.

ნოე ჟორდანიას ეროვნულმა მთავრობამ დაუყონებლივ გადადგა ნაბიჯი, რომ შესაფერი ეროვნული კერა შეექმნა უცხო მიწაზე არა მარტო ეროვნულ მთავრობის, არამედ, საერთოდ, ყველა პოლიტიკურ ემიგრანტისათვის, რის შედეგად ეროვნულმა მთავრობამ 1922 წლის ო ც დ ა ო თ ხ ი ვ ნ ი ს ს(24 ივნისს) იყიდა ლევილში, პარიზიდან 30 კილომეტრის დაშორებით, ლევილის მამული, დაახლოებით, ხუთი ჰექტარი მიწით, სადაც თავი მოიყარა არა მარტო ქართული

პოლიტიკური ემიგრაციის ერთმა ნაწილმა, არამედ ამ ქართულ მამულში დაარსებულ იქნა ქართული სკოლა, წიგნსაცავი, და, რაც მთავარია, ლევილის ქართული მამული გახდა უცხოეთში მყოფი ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა კერა, რაც თავის ეროვნულ ფუნქციას ასრულებს დღესაც.

V.

ლევილის ქართული მამულის უფლებრივი სტატუსის განსაზღვრა ნათლადაა ჩამოყალიბებული – საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას,
საქართველოს ელჩის საფრანგეთში აკაკი ჩხენკელის,
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის,
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარის მოადგილის, პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილის,
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის,
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერის სამსონ ფირცხალავასა და
საქართველოს ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის

ე რ თ ო ბ ლ ი ვ ა ნ დ ე რ ძ ი, რომელიც დაწერილია პარიზში, 1928 წელს, 30 აპრილს. აი, ამ ანდერძის სრული შინაარსი:

VI.

"ოც და ათი აპრილი ათას ცხრაას ოცდა რვა წელი, ქალ. პარიზი. ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, სამსონ ფირცხალავა და კონსტანტინე კანდელაკი – ვაძლევთ ამ ხელწერილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას იმაში, რომ:

1.მამული, მდებარე ს-ლ ლევილში(Leuville s/Orge),საფრანგეთში, სენის და უაზის დეპარტამენტში, და ცნობილი სახელწოდებით "Chateau de Leuville", რომელიც შეძენილია საჯარო ვაჭრობაზე 10 თებერვალს 1927 წ. საზოგადოების «Foyer Géorgien»-ის მიერ, რომლის წევრნი ვართ ჩვენ ზემოაღნიშნული პირნი, ნაყიდი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფულით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს; სახელდობრ,მიწა ზომით დაახლოებით ხუთი ჰექტარი, სადგომი სახლი, სამეურნეო შენობები, ავეჯი, ინვენტარი და სხვა ყოველივე, რაც აღნიშნულ მამულში იმყოფება, გარდა იმ საგნებისა, რაც იქ მდგმურთა მიერ საკუთარის ხარჯით არის შეძენილი.

2.ყოველგვარი შემოსავალი აღნიშნულ მამულიდან და ყოველგვარი განკარგულება მამულის შესახებ ეკუთვნის სავსებით საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და ჩვენ ვალდებულნი ვართ დავემორჩილოთ ყოველივე მის განკარგულებას მამულის შესახებ, ე.ი. მამულის ან რაიმე იმის ნაწილის ექსპლოატაციის შესახებ, გაქირავების, დაგირავების, გაყიდვის, გადაცემის შესახებ და სხვა, და საზოგადოების "Foyer Géorgien"-ის დადგენილებებში აღნიშნულ მთავრობის დადგენილებების თანახმად ვიმოქმედოთ;

3.არც ჩვენ პირადათ და არც ჩვენს მემკვიდრეებს უფლება არა გვაქვს ვისარგებლოთ აღნიშნულ მამულით ან იმის შემოსავლით გარეშე საზოგადოების «Foyer Géorgien» -ის დადგენილებისა.

4.ჩვენ მოვალენი ვართ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნილებისამებრ დავდოთ ყოველგვარი ხელშეკრულება გარეშე პირებთან თუ დაწესებულებებთან ამ მამულის შესახებ, დაცვით ამასთანავე "Foyer Géorgien" -ის წესდებისა, და დავემორჩილოთ მთავრობის მოთხოვნილებებს, როგორც ეს აღნიშნულია ზევით მუხლ 2-ში, გარნა ყოველ გვარი ხარჯი მამულზე გაწეული ჩვენ პირადათ არ უნდა გვეკისრებოდეს, არამედ ანაზღაურებული უნდა იქმნას თვით მამულის შემოსავლისა ან მთავრობის მიერ.

5.უზრუნველსაყოფად მთავრობის უფლებისა აღნიშნულ მამულის სრულ საკუთრებაზე ჩვენ ვიძლევით საზოგადოების "Foyer Géorgien" -ის სახელ-

ზე ვექსილს თითოეული ჩვენგანი იძლევა ხუთი ათასი ფრ.(Fr25,000); "Foyer Géorgien" -ი ამ ვექსილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნილებით საჭიროების დროს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ ნაჩვენებ პირს; ხოლო თუ რომელიმე ჩვენგანი თავს გაანებებს "Foyer Géorgien" -ის წევრობას ან იმ შემთხვევაში თუ მამული სხვა პირზე გადავიდა ამის და მიხედვით საზოგადოებიდან გასული პირი ან ყველა ჩვენ განთავისუფლებულნი ვართ ვექსილიდან და ყოველგვარ მოვალეობიდან მთავრობის და"Foyer Géorgien"-ის წინაშე.

| | |
|---|---|
| 1.ნოე ჟორდანია | 5.ევგენი გეგეჭკორი |
| 2.აკ. ჩხენკელი | 6.ს.ფირცხალავა |
| 3.ნ.რამიშვილი | 7.კ.კანდელაკი." |
| 4.ექვთიმე თაყაიშვილი | |

VII.

აი, სრული ტექსტი, აღნიშნული შვიდი პირისაგან ხელმოწერილი ანდერძისა, რომელიც განსაზღვრავს ლევილის ქართული მამულის იურიდიულ სტატუსს, რაც ძალაში რჩება აღნიშნული პირების გარდაცვალების შემდეგაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს ლევილის ქართული მამულის, ეროვნული კერის ბატონპატრონია ორი ორგანო, რომელთა წესდება, ე.ი. უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია იურიდიულად და დადასტურებულია სათანადო ფრანგული ორგანოების მიერ. ეს ორი ორგანოა -

1."მესაკუთრეთა ასოციაცია", რომელშიც შედიან აღნიშნული შვიდი პირის მემკვიდრეები, და
2."Foyer Géorgien" -ის საზოგადოება, რომლის ადმინისტრაციული, ე.ი. მმართველი ორგანოა ქართული კერის ადმინისტრაცია, რომელშიც არჩეულია ათი კაცი.

VIII.

ამჟამად ლევილის ქართული მამულის "მესაკუთრეთა ასოციაციის"და ადმინისტრაციის პრეზიდენტია ბატონი ექიმი აკაკი რამიშვილი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ნ ო ე  რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს შვილი, ხოლო მისი მოადგილეა ნ ო ე ჟორდანიას ქალიშვილი, ქალბატონი ნათელა ჟორდანია; და ჩვენი მოვალეობაა შევუწყოთ მათ ხელი, მათ საქმიანობაში, რომ ლევილის ქართული მამული გადაეცეს მის კანონიერ მესაკუთრეს - საქართველოს.

IX.

ლევილის ქართული მამულის, ქართული კერის 65-ე წლისთავთან დაკავშირებით, მოვიგონოთ ჩვენი"ისტორიული ჩარხის უკუღმა ტრიალის" ზოგიერთი მომენტი: ჩვენი სამიათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში, მრავალი, უმთავრესად, რელიგიური კერა გაგვაჩნდა უცხოეთში, რომელთაგან, დღესდღეობით, მხოლოდ "ივერონის" ქართული მონასტერი(ათონის მთა,საბერძნეთი) და "ჯვარის მონასტერი" (იერუსალიმი,ისრაელი) შემოგვრჩა, თუმცა ეს უკანასკნელნიც უკვე სრულიად საქართველოს საპატრიარქოს უფლებამოსილების ქვეშ აღარ არის.საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და ამით ქართველი ხალხის გაქრობას საერთაშორისო არენიდან, ჩვენი ეროვნული კულტურის ცენტრების დაკარგვაც მოყვა, რის ყველაზე უფრო ტრაგიკული მაგალითია ის ისტორიული ფაქტი, რომ იერუსალიმში, "აღშენებულნი მეოთხე საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მე-18 საუკუნის დასრულებამდის" ოცამდე სავანე-მონასტერი დავკარგეთ.

X.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დაკარგვას 1921 წლის თებერვალ-მარტში კი მოყვა ახალი, ს ა ე რ თ ო ქართველთა კერის დაარსება თავისუფლების მოყვარულ საფრანგეთის, პარიზის ახლოს-მდებარე დაბა ლევილში, რომელიც არა მარტო პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფი ქართველობის ეროვნულ ცენტრად იქცა, ერთით განმავლობაში, დაწყებული 1922 წლის 24 ივნისიდან, როცა საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, - იყიდა ლევილის შატო მამულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI.

ამის შემდეგ უკვე გავიდა დიდი ხანი და უთუოთ შეიძლება ლაპარაკი ლევილის ქართული მამულის "ქართულ ცხოვრებაზე", რომლის ცენტრში, გასაგებია, დგას ის შესანიშნავი თაობა, რომელმაც საქართველოს, თითქმის, ხუთი საუკუნის დაქუცმაცებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების შემდეგ, - აღირსა ერთიან და განუყოფელ საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. ამგვარი ეროვნული სულით იყო და არის გაჟღენთილი ლევილის ქართული სტამბის, წიგნთსაცავის თუ პანთეონის შექმნა, რაც ლევილის ქართული კერის 75-ე წლისთავის აღნიშვნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამდენად, ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა ამ ქართული კერის არა მარტო მოვლა-პატრონობა, არამედ, ამასთანავე, მიზანდასახული მოქმედება, რომ ლევილის ქართული მამული გადავიდეს საქართველოს, ქართველი ხალხის საკუთრებაში, რომ იგი, საუკუნეების შემდეგაც, დარჩეს ქართველთა, განსაკუთრებით სტუდენტთა, ერთერთ ცენტრად უცხოეთში, რაც, ამავე დროს, ფრანგი და ქართველი ერების ურთიერთ მეგობრობის სიმბოლოც იქნება.

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1997 წლის ივლისი

ერი და რელიგია

# მემედ აბაშიძე

„...1905 წლის 10 ივნისს ქართველთა და აზერბაიჯანელთა კრებაზე მემედ აბაშიძემ მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და შემართებით განაცხადა: – „მართლმაც სცადეს 'ორი სარწმუნოების ერის – ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ქრისტიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ. ჩვენ სარწმუნოებით თუმცა მაჰმადიანები ვართ... მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდუღს, ხელითა და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერასოდეს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენს ძმებს – ქრისტიან ქართველებს გადაგვკიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა გააჩაღოს... ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ. მაგრამ განა საჭიროა ეროვნულ გრძნობებზე ლაპარაკი? ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი ისევე მეტია, როგორც მეტია იმის თქმა, რომ მზე ანათებს!"

მემედ აბაშიძე, 1905 წელი

„ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა... გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია! გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!"

მემედ აბაშიძე, 1921 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

## სახალხო გვარდია და გალაქტიონი

### ჩვენი სახალხო გვარდიის 80 წლისთავი

I.

12 დეკემბერი საქართველოს, ქართული დემოკრატიის პირმშო შვილის სახალხო გვარდიის დღეა, რომელიც დიდი ზეიმით აღინიშნებოდა დამოუკიდებელ საქართველოში. "ხიდიადე ამ დღისა - წერს სილიბისტრო ჯიბლაძე თავის მიხალოვ წერილში 'დიდი დღე'("ერთობა",12.12.1919) - მე ყოველთვის მაგონებს დიდი გოეთეს ისტორიულ სიტყვებს. ცნობილია, საფრანგეთის დიდ რევოლუციას ყველა ქვეყნების რეაქციონურ სახელმწიფოებმა საღმრთო ომი გამოუცხადეს. როცა ამ რეაქციონერთა კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარი პირველად სასტიკად დაამარცხა ღლახათ შეიარაღებულმა, მარა თავიანთ რევოლუციურ მონაპოვართა კარგად, მამაცურად დამცველმა საფრანგეთის ხალხმა, ამ დამარცხების პირადათ მოწმემ გოეთემ სთქვა: 'დღეიდან აქ, ამ ადგილას იწყება ახალი ხანა მსოფლიო ისტორიისა'. მსოფლიო ისტორიისა რა მოგახსენო, ჩვენი ხალხის განვითარების ისტორიაში კი სწორეთ 12 დეკემბერს სწორეთ აქ - ტფილისის არსენალზე იწყება ახალი ხანა. სწორედ ამ დღეს, ამ ადგილას საქართველოს დემოკრატიამ აუწყა ქვეყანას, რომ მას აქვს უნარი, არა მარტო თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლისა,არამედ ამ ძვირფასი განძის დაცვისა."

"შებინდებისას დაიძრა ჩვენი მცირე ლაშქარი...იმავე საზეიმო ღამეს, იმავე კურთხეული იარაღის მხიარულმა რაკრაკმა გვამცნო სანუკვარი ამბავი, რასაც ისე მოუთმენლად ველოდით:'არსენალი დავიჭირეთ.'"

ეს მოხდა 1917 წლის 12 დეკემბერს, და ეს დღეა საქართველოს სახალხო გვარდიის დაბადების დღე. და თუ ახლა ვლაპარაკობთ სახალხო გვარდიაზე, ეს გამოიწვია იმან, რომ ხელში მაქვს 1919 წლის 12 დეკემბრისა და 1920 წლის 12 დეკემბრის გაზეთი "ერთობა", ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა, რომლებშიც აღწერილია თუ როგორი ზეიმით აღინიშნა საქართველოს სახალხო გვარდიის მეორე და მესამე წლისთავი; და იქვე გამოქვეყნებულია, მრავალ სტატიათა და მილოცვათა შორის, ჩვენი პოეტების გიორგი ქუჩიშვილისა და გალაქტიონ ტაბიძის ლექსები, მიძღვნილი სახალხო გვარდიისადმი. აი ეს ლექსები:

### 12 დეკემბერი

მოდიან, მოყიჟინებენ,
სახალხო გვარდიელები,
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
მოდიან, მოგუგუნებენ,
ცას მოარხევენ ჰანგითა;
წინ ვეგებები არწივებს
ჩემი მქუხარე ჩანგითა!
გზა! გზა მიეცით! მოდიან,
სახალხო გვარდიელები,
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
მოდიან, მოიმღერიან,
დროშების ცაში ფრენითა;

ისეთი სანახავია,
ვერ გამოითქმის ენითა!
მსურს ყველას გადავეხვიო
და დავუკოცნო პირი მე,
მაგრამ ცრემლები მერევა
და სიხარულით ვსტირი მე!

მოდიან დარაზმულები
სახალხო გვარდიელები,
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
ხალხი ქედს უხრის, უყვირის:
ვიშა, სამშობლოს გმირებსო;
მათი ღვაწლი და ამაგი
მტერსაც კი გააკვირვებსო!
და მართლაც საკვირველია

გვარდიელების შნეობა,
მიტომაც არის საერო
დღეს მათი ზეიმ-დღეობა!
გზა! გზა მიეცით! მოდიან,
სახალხო გვარდიელები!
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
მოდიან, მოყიჟინებენ,
ცას მოარღვევენ ჰანგითა!
წინ ვეგებები სიყვარულებს,
ამღერებული ჩანგითა!

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12.12.1919 ერთობა. 12.12.1920

# გვარდია.

12. XII 20.

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა:
პირიდით მე სიკვდილამდე მექნება—
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
პოეზია უპირველეს ყოვლისა!

და გვარდია მიყვარს. მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახავარ.
ერთი გვანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:
საქართველო უპირველეს ყოვლისა!
საქართველო უპირველეს ყოვლისა!

დაგვამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტიონ;
მაინც დაფნით გულის შენ, გალაკტიონ.
აჟღერება, რეზონანსით მოვლისა.
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
პოეზია უპირველეს ყოვლისა!

დღეს ჰყვავის ბზე, ბლუბლები, ატამი ..
ისევ დღეა შენი, მაშასადამე—
შორი სული დოვინ დოვენ-დოვლისა...
საქართველო უპირველეს ყოვლისა
საქართველო უპირველეს ყოვლისა:

ტფილისი.

გალაკტიონ ტაბიძე.

# გვარდია

12. XII. 1920.

თვალს ნაზი და მთვარეული
ბლულვებდენ ლანდები
ვიყავ თქვენში ჩარეული
ლხინით თვალ-ანანთები.
მოგვეჩვენა ტრიანონის
კოშკში გულის ნდომანი
და გრეისა და მანონის
სევდიანი რომანი.
მივფრენდით ქარში მერნებს,
პიხვინებდენ მერნები,
სასახლეებს და ტავერნებს
ცვლიდენ სხვა ტავერნები.

და ვხედავდით როგორ ილებს
სულს ველრება ხალისის
და ვხედავდით ცისფერ ნილაბს
მხოლოდ ერთი ქალისას
სამშობლოზე ოცნებები .
თითქო შვლის სიმარდეა...
წინ, გვარდია!! შენი ხმები
მხოლოდ სხვაზე დარდია.

ტფილისი.

გალაკტიონ ტაბიძე

# გვარდია

12. XII. 20

ვდღე'ასწაულობთ პირველ თაველებს
მო'ასწაულე ვარდთა დაგებით.
ბილებს რტოები აყვავილებს
აივნებს ნოხი და ფარდაგები.
განთიადისას წავედით ტყეში
თვალებს მოედო ელვა წყაროთა
ყვავილს, რომელსაც ჰქვია ნუგეში
ჩვენ დავეძებდით და გვიხაროდა.
ვეძებდით ომებს, მტრების ხიზინას,
თოფების ბოლში წრემლებს გვადენდა,
არც მოგვასვენეს, არც დაგვეძინეს
და ასე, აჰა, შემოგვათენდა.
უეცრად მტერი ავშალეთ მთაში
გამოვედევნეთ ისარით ჯირითით.
შეკრთომით დაკრეს ფოთლებმა ტაში.
ჩვენც სიხარული არ დავერიდეთ.

გალაკტიონ ტაბიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

და ამ ლექსების, განსაკუთრებით გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსისა "გვარდია", გამოქვეყნება ა ხ ლ ა, განაპირობა არა მარტო ამ ლექსთა მართლაცდა შესანიშნავმა რაობამ, არამედ იმ ფაქტმა, რომ ეს ლექსები მკითხველებისათვის, როგორც საქართველოში, ისევე უცხოეთში, უცნობია, ვინაიდან ამ ლექსებში ქებადიდებით მოხსენებული საქართველოს სახალხო გვარდია ბოლშევიკებისათვის "მიუღებელი იყო, რის შედეგად ამ ლექსებს თქვენ ვერ იპოვნით გალაკტიონ ტაბიძის ვერც ერთ ლექსთა კრებულში. საქართველოს სახალხო გვარდიისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი კი, როგორც ჩანს, "გადააკეთებიეს" გალაკტიონ ტაბიძეს, და სათაურით - "პოეზია უპირველეს ყოვლისა - გამოქვეყნებულია გალაკტიონ ტაბიძის რჩეულ თხზულებათა ერთტომეულში, რომელიც 1973 წელს გამოსცა "საბჭოთა საქართველომ" პოეტის დაბადების 80 წლისთავის გამო. აი ეს ლექსიც:

## პოეზია —
## უპირველეს ყოვლისა!

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
მეგობრებო, სიკვდილამდის მექნება
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,
მარად მანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

სიკვდილივით მარადია სურვილი
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,
ყველაფერში შუქით შემობურვილი:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის.
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

რა თქმა უნდა, ეს ლექსიც - "პოეზია უპირველეს ყოვლისა" - შესანიშნავია, მაგრამ, ჩემი აზრით, მას "აკლია" ის ეროვნული აღტაცება, აღფრთოვანება, რომელიც პოეტში გამოიწვია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენამ 1918 წლის 26 მაისს, და ამ ეროვნული დამოუკიდებლობის უსპეტაკესი დამცველის სახალხო გვარდიის დღესასწაულმა - 12-მა დეკემბერმა. საბჭოთა კრიტიკოსები, უდავოა, იმიტომ გაურბოდენ და ზოგნი გაურბიან აღნიშნული ლექსის გამოქვეყნებას, რომ საქართველოს სახალხო გვარდიის ქებადიდება და ისიც ისეთი დიდი პოეტის მიერ, როგორიც გალაკტიონ ტაბიძე იყო, ამოეფხვრათ ჩვენი ერის ცნობიერებიდან.

III.

მაგრამ გალაკტიონ ტაბიძის აღნიშნულ ლექსს არც ემიგრაციაში ჰქონდა იღბალი: ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაშიც გამოჩნდა მცირე ჯგუფი "გზააბნეულთა", რომლებმაც, მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, "ქართული ფაშისტური დარაზმულობის" "ყიყინათ" აქციეს - "საქართველო უპირველეს ყოვლისა!" და, როგორც ერთი პოლიტიკური ემიგრანტი ამბობდა, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ლექსის მხოლოდ "საბჭოთა ვარიანტს" იცნობდა, - თითქოს მან, პირადათ შეცვალა "პოეზია უპირველეს ყოვლისა" გამოთქმით - "საქართველო უპირველეს ყოვლისა!"

IV.

მოდი, ღმერთმა აპატიოს ყველა მათ "მათი ცდუნებანი", და შევეცადოთ პოეტური აღფრთოვანება და პოლიტიკა ერთმანეთში არ ავურიოთ, ვინაიდან პოლიტიკა "შესაძლებლობის ხელოვნებაა" და არა პოეზია.

V.

ვლაპარაკობთ რა სახალხო გვარდიაზე, ვფიქრობ, საჭიროა კიდევ ერთხელ მოვიგონოთ გენერალ გიორგი კვინიტაძის ზოგიერთი აზრები საქართველოს არმიისა და გვარდიის შესახებ, რომელიც აღნიშნულია საქართველოს შეი-

არაღებული ძალების მთავარსარდლის - გენერალ გიორგი კვინიტაძის - 1920 წლის 14 სექტემბრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა შ ი:

"ჯარისა და გვარდიის მეომარნო! თქვენ მხარდამხარ ერთმანეთთან ლვრილით სისხლს ჩვენი სამშობლოს დასაცავათ და ამით კიდევ უფრო დაუკავშირდით ერთმანეთს. წითელ სილთან ბრძოლის დროს სახალხო გვარდია გმირულად იბრძოდა უფრო მრავალრიცხოვან მტერთან, რომელიც მანამდე ძლევამოსილი მოდიოდა ათას ვერსს. მაგრამ საქართველოს შვილებმა პირველ შეტაკებისთანავე დაამარცხეს ის. გვარდია ღირსეულათ და სრული თავგანწირვით იბრძოდა მტერთან, იმის სურვილით გატაცებული, რომ მუდმივი ჯარისათვის საშუალება მიეცა მტრის შესახვედრათ მომზადებულიყო! გვარდიამ ჩვენი სახელოვანი წინაპრებივით შეასრულა თავისი მოვალეობა, გმირულად და სახელოვნათ".

"ახლგენ საქართველოს გმირები!
დიდება სამშობლოს, დიდება თქვენ!
გაუმარჯოს საქართველოს და მის სახელოვან მხედრობას.

გენერალი კვინიტაძე
("ერთობა", ნომ.209,14 სექტემბერი, 1920 წელი).

VI.

და როგორ ამბობს ჩვენი დიდი პოეტი - გალაქტიონ ტაბიძე - ჩვენს სახალხო გვარდიაზე? -

"და გვარდია მიყვარს. მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახავარ."
"დაგამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტიონ;
მაინც დაფნით გელის შენ, გალაქტიონ..."

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1997 წლის აგვისტო
==========================

"უ ც ნ ო ბ ი  პ ო ე ტ ე ბ ი ს"  ლ ე ქ ს ე ბ ი

ამჯერად, ვაქვეყნებთ რამდენიმე ლექსს, რომელთა ავტორების ნამდვილი ვინაობა ფსევდონიმების ქვეშ იმალება; და, ალბათ, "უცნობი" დარჩებიან, ვინაიდან ეს ახალგაზრდები იმყოფებოდნენ გერმანიის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში, და რა ბედი ეწიათ მათ იმის დამთავრების შემდეგ, უცნობია. ამგვარი "უცნობი პოეტების" ლექსები კი მრავალი დაიბეჭდა გაზეთ "საქართველოში", რომელიც 1942-1945 წლებში გამოდიოდა ბერლინში. აი, ამ ჩვენი "უცნობი პოეტების" ზოგიერთი ლექსები:

## ზოოლოგიურ ხეივნარში

: მოხ. ვ. ურდოილი

აქ ვინ დაავანა — უხმოდ და გატრუნვით?
თავისუფლად ყოფნა რა ღმერთს უწყევლია? —
ცისქვეშ გაზრდილი და ნავარდს დანატრული
ვეფხვი გალიაში გამოუმწყვდევიათ...
კუნთებმაგარია, მაგრამ ეს ანალელებს:
წყეული გალია სქელკარიანია;

იქვე სდგას გოგონა და თითით აჯავრებს, —
ისიც იმასავით ჭრელკაბიანია!
ღრიალებს ვეფხვი და იცინის გოგონა,
(სიცილი რამდენი სილაღის მფენია!)
— სურათი ლამაზი, რომელსაც, მგონია,
მხოლოდ აგვიწერდა რუსთველის გენია...

## პოეტ გიორგი გამყრელიძის დაბადების 95 წლისთავი

1998 წელს უსრულდება არა მარტო ემიგრაციაში ცნობილ ქართველ პოეტს - გიორგი კამყრელიძეს დაბადებიდან 95 წლისთავი. გიორგი კამყრელიძე გარდაიცვალა 1976 წელს ქალაქ მიუნხენში/გერმანია/ და დაკრძალულია იქ ე.წ-ლ "ვალდფრიდჰოფზე".

გიორგი გამყრელიძე დაიბადა 1903 წელს ზემოიმერეთში,

გიორგი გამყრელიძის დაბადებიდან 95 წლისთავთან დაკავშირებით, გაგაცნობთ მის რამდენიმე ლექსსა და ინტერვიუს, რომელიც მან მისცა ვაშინგტონში რადიო"თავისუფლების" კორესპონდენტს - ოთარ კეთილაძეს /კარლო ინასარიძეს/ და გადაიცა რადიო "თავისუფლებით" 1969 წლის 2 სექტემბერს. აი, ამ ინტერვიუს სრული ტექსტი:

### პოეტი გიორგი გამყრელიძე

წამყვანი: დღეს,პატივცემულო თანამემამულენო, ოთარ კეთილაძე გესაუბრებათ მისი შეხვედრის შესახებ ქართველ,ემიგრაციაში მყოფ, პოეტ - გიორგი გამყრელიძესთან,რომელიც ცხოვრობს ვაშინგტონში. მიკროფონთან არის ოთარ კეთილაძე:

დიქტორი: ვაშინგტონში,როგორც წინა საუბარში მოგახსენეთ, პატივცემულო თანამემამულენო, ამ მშვენიერი ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების შემდეგ, ვეწვიე სტუმრად რადიო "ამერიკის ხმის" ქართულ რედაქციას და გულთბილი საუბარი მქონდა ქართული რედაქციის წევრებთან. მეორე დღეს კი განვიზრახე ჩვენი ცნობილი ქართველი პოეტის - გიორგი გამყრელიძესთან - შეხვედრა და,მართლაც,მივადექი მას სახლში, ვაშინგტონის მე-11 ქუჩაზე. გიორგიმ და მისმა მეუღლემ,რომელიც,სხვათა შორის, გერმანელია, - მეტად გულთბილად,ქართული ცნობილი სტუმართმოყვარეობითი ტრადიციით მიმიღეს. რა თქმა უნდა, მე,პირველ ყოვლისა, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარი მომენტები მსურდა ამენუსხა და ჩემ შეკითხვაზე, თუ რა გზა განვლო მან თავის შემოქმედებასა და ცხოვრებაში, სხვათა შორის, მომითხრო:

ის, გიორგი გამყრელიძე, - დაიბადა 1903 წელს ზემოიმერეთში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის ყოფილ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1922 წელს სწავლის გასაგრძელებლად წავიდა გერმანიაში და შევიდა ქალაქ კელნის ტექნიკურ ინსტიტუტში,სადაც ის 1927 წლამდე სწავლობდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და დღეს ის ცხოვრობს და მოღვაწეობს ვაშინგტონში.

თავისი შემოქმედებითი გზის შესახებ, პოეტმა გიორგი გამყრელიძემ მომითხრო შემდეგი:

მან,გიორგი გამყრელიძემ, პირველი ლექსი ჯერ კიდევ საქართველოში დაწერა და 1919 წელს დაიბეჭდა კიდევ ცისფერყანწელების ჟურნალში -"მეოცნებე ნიამორები". უცხოეთში პირ-

ველად თავისი ლექსი გამოქვეყნა ჟურნალ "კავკასიონში",რომლის მთავარი რედაქტორი იყო და დღესაც არის აწ საქართველოშიც კარ-ად ცნობილი რუსთველოლოგი დოქტორი ვიქტორ ნოზაძე. მას შემდეგ პოეტი გიორგი გამყრელიძე თანამშრომლობდა თითქმის ყველა ლიტე-რატურულ ჟურნალში თუ გაზეთში,რომლებიც იბეჭდებოდა უცხოეთში ქართულ ენაზე.

პოეტ გიორგი გამყრელიძის ლექსების პირველი კრებული დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1920 წელს,თბილისში, სათაურით -"შემოდ-გომის ჭიანურები". მაშინ ჩვენი პოეტი გიორგი სულ 17 წლის ჭაბუკი იყო. ლექსების მეორე კრებული -"ლურჯი მონოკლი",დაი-ბეჭდა 1932 წელს პარიზში,რასაც მეტად დადებითად გამოეხმაურა ქართული პრესა უცხოეთში. გაზეთ "თეთრი გიორგში",მაგალითად, რომელიც პარიზში გამოდიოდა, გამოქვეყნდა ვრცელი კრიტიკა, რომლის ავტორი,ხსვათა შორის, წერდა:

"დიდი ქებისა და ხოტბის ღირსია ლექსების კრებულის "ლურჯი მონოკლის" ავტორი - პოეტი გიორგი გამყრელიძე. მისი ლექს: მოწმობენ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უაღრესად ნიჭიერ შემოქმედთან... გიორგი გამყრელიძე არის ჭეშმარიტი პოეტი მაღალი რან-გისაო".

გიორგი გამყრელიძის ლექსების მესამე კრებული დაიბეჭდა ჩილის(სამხეთი ამერიკა) დედაქალაქ - სანტიაგოში - "გვიანი რთველის" სახელწოდებით. ამ ლექსების კრებულმა კი მართლაც რომ საერთო მოწონება მოიპოვა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებ-ში. რა თქმა უნდა, ქართული პრესაც გამოეხმაურა ამ ლექსების კრებულს. მრავალ კრიტიკოსთა შორის, აღსანიშნავია ჩვენი ცნო-ბილი მწერლისა და მოაზროვნის, აწ განსვენებული - გრიგოლ რო-ბაქიძის აზრი გიორგი გამყრელიძის შესახებ. აი რას წერდა ის ჟურნალში "ბედი ქართლისა":

"გიორგი გამყრელიძე ცნობილია ქართულ ემიგრაციაში. იგი ნათესავია პაოლო იაშვილისა არა მარტო სისხლით მგოსნური გზნე-ბითაც. ხოლო ამ გზნებაში იგი თავისებურია: მას აქვს საკუთარი ლირიული ხმა. ლირიკოსი, ეს ცნობილია ყველასათვის, პოეტია. მაგრამ აქ მაინც არსებობს ერთი ნიუანსი...გიორგი გამყრელი ლირიკოსია.მის შაირებში ბევრია უფრო ლირიული,ვიდრე "ძველი სიმღერა". გარნა ამ "სიმღერაში" ერთი-რამ არის საკვირველი. ყოველი ტაეპი შაირისა ბოლოვდება ნიკო ბარათაშვილის სევდიან ამოძახილით "პოი ნაპირნო,არაგვის პირნო!" ვთქვათ პირდაპირ: მოყვანილია იგი როგორც "ციტატა". ამავე დროს ეს არაა "ციტა-ტა" - აი საკვირველი. რამდენჯერ მსმენია "პოი ნაპირნო,არაგ-ვის პირნო!" რამდენჯერ გადაუშლია ჩემთვის ამ ამოძახილს სევდით ავსილი გული ქართველისა! ვისმენ მას გამყრელიძის

შაირში ხმა სხვაა. რა საკვირველია, ეს ძახილი "იქ",საქართველოში მოსმენილი, სხვაა და "აქ" გადმოხვეწილობაში გაგონილი კიდევ სხვა, ხოლო "კონტექსტი" მისი მაინც ერთი-და-იგივეა. გამყრელიძის შაირში კონტექსტი გადმოხვეწილობაა თვითონ და: ამოძახილი ამით მძაფრდება. და ეს ხდება ისე,რომ ავტორი გადმოხვეწილობას ერთი სიტყვითაც არ ისხენებს - მით უფრო მეტყველია შაირი."

ასე წერდა ჩვენი მოაზროვნე და მწერალი - გრიგოლ რობაქიძე - პოეტ გიორგი გამყრელიძის ლექსთა კრებულის - "გვიანი რთველში" მოთავსებული ლექსის "ძველი სიმღერის" შესახებ.

პოეტმა გიორგი გამყრელიძემ თავისი მეოთხე წიგნი - "ლექსები,მოთხრობები,თარგმანები უცხო პოეზიისა და ორნითოლოგიური ნარკვევები" - დაბეჭდა ვაშინგტონში 1963 წელს.ამ წიგნსაც დადებითად გამოეხმაურა ქართული პრესა უცხოეთში.დოქტორი ვიქტორი ნოზაძე,მაგალითად, ამ წიგნის შესახებ წერს:

"გიორგი გამყრელიძის ლექსები ანკარა ჩანჩქერივით მორაკრაკებს. ლამაზი შედარებები,რითმები,მხატვრული მეტაფორები, ყველა ეს პოეტურია. შიგ იგრძნობა აზრის სიწმინდე,უშუალობა,უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსი. უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველს არ შეიძლება გული არ შეუტოკდეს გიორგი გამყრელიძის ლექსების კითხვის დროს."

ასე წერს ჩვენი ცნობილი რუსთველოლოგი - ვიქტორ ნოზაძე - პოეტ გიორგი გამყრელიძის შემოქმედების შესახებ.

ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ ახერხებს ის თავისი ნაწერების დაბეჭდვას უცხოეთში, პოექმა გიორგი გამყრელიძემ მითხრა:

"მე ჩემი წიგნები დავბეჭდე საკუთარი ხარჯებით და ეს ადვილი საქმე არ არის... ჩემი ნაწერების ნაწილი ჯერ გამოქვეყნებული არ არის. კარგათ მოგეხსენებათ თუ რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული ემიგრაციაში რაიმეს დაბეჭდვა: ჯერ,როგორც აღვნიშნე, ხარჯების მხრივ და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - არავინ დარჩა მბეჭდავი ერთი-ორი მოხუცი კაცის გარდა. ამიტომ მე ვიყიდე ახალი ტიპის საბეჭდი მანქანა და ვცდილობ მასზე დავბეჭდო ჩემი რამდენიმე ნაშრომი".

ასე განაცხადა პოეტმა გიორგი გამყრელიძემ ჩემთან საუბრისას,ვაშინგტონში. მაშ, ვუსურვოთ წარმატება თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში ჩვენს თანამემამულეს - პოეტ გიორგი გამყრელიძეს! ვიმედოვნებთ,რომ მალე მისგან კიდევ ახალ-ახალი ლექსების კრებულს მივიღებთ; და ამ ახალი ლექსების მოლოდინში, მოვისმინოთ მისი 1947 წელს დაწერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შაირი - "ძველი სიმღერა", რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ასე მოსწონდა ჩვენს დიდ მწერალსა და მოაზროვნეს - გრიგოლ რობაქიძეს:

### ძ ვ ე ლ ი  ს ი მ ღ ე რ ა

მხიბლავს ეს ჭალა, ეს მთა, ეს ველი,
მივხდევ ვენახებს - ზვრებს უნაპიროს.
და გულში ძველი სიმღერა მღერის:
"ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო".

თქვენ საჩუქარი მიიღეთ ჩემი:
მსურს სისხლი ჩემი დაფნად დაგფინო.
მკერდნატყვიარი ყვირის ირემი:
"ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო".

იცვალნენ დრონი, თქვენ კვლავ ძველნი ხართ -
ჭალებო, მთებო შვებით მომზირნო!
დახრილი ქოშინ სისხლით სვეწნი ხარო,
"ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო".

მსურს, თქვენ ვაზების ზედაშეს ვსვამდე:
მხურვალეს, მწიფეს, ჩვენ ქართულ ძირობს,
დიდება შენდა უკუნისამდე -
"ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო".

როცა საღამოს ბინდი აშლილი
დაფარავს ჭალას და ცას ნაპირობს,
გიმღერებს სევდით ბარათაშვილი,
"ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო".

წამყვანი: ეს იყო ოთარ კეთილაძის გადაცემა, რომელშიც მან
=========
აღწერა, პატივცემულო თანამემამულენო, თავისი შეხვედრა

ჩვენს ცნობილ პოეტთან - გიორგი გამყრელიძესთან -

მიმდინარე - 1969 წლის - მარტში, ვაშინგტონში.

==============================

### ზღაპარი თბილისზე

იყო... და შემდეგ არა იყო რა,
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?
გულის დაფლეთა უყვარდა ყორანს
და გული მაინც კვლავ მრთელდებოდა.

ცხოვრობდა ერთხელ მგზავრი საწყალი,
მოხეტიალე, ვინმე პოეტი;
ნახა მრავალი მან მიწაწყალი,
ქვეყნები შორი და უცხოეთი.

მას მოეწონა ბევრი ალაგი —
ვარდის სიწითლე ჩამავალ მზისა,
მაგრამ ვერ ჰპოვა ვერსად ქალაქი
ისე ლამაზი, როგორც თბილისი.

თვალით იხილა შეუსადარი
ოქრო, სიმდიდრე და განსვენება,
გულით კი ფიქრობს: მიწა სად არი
ჩემო თბილისო, შენი შვენება!

შენ გენაცვალოს ქალაქი ყველა;
ჯობიხარ რომს, ვაშინგტონს, პარიზს, —
თავზე მთაწმინდა გადგია მცველად,
ძირს ტალღებს არწევს დუდუნით მტკვარი.

ცა კურთხეული კალთას გაფარებს,
ცხრათვალა მზის ქვეშ ვნებებით თვრები,
გუგუნი გააქვთ სიონის ზარებს
და ბანს გუგუნით აძლევენ მთები.

როს გარიჟრაჟზე შენი ქედები
მზეს ულიმიან ოქროთვალებს;
გიმღერენ ჰანგებს შენ პოეტები:
შოთა, აკაკი, ვაჟა-ფშაველა.

მაგრამ თუ ღამის მდუმარე კალთა
დაფარავს ველებს ნისლით და თრთვილით,
სული ობოლი გამოვა მტკვართან
და ატირდება ბარათაშვილი.

თუ ვარსკვლავებით შემოკაზმული
ცა, თავს დაგყურებს ლურჯი კამარით, —
შენ გესიზმრება დიდი წარსული:
დავითის ხრმალი... დროშა თამარის.

იყო და მერე არა იყო რა,
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?
გული კლანჭებით გაჰქონდა ყორანს
და გული მაინც არა კვდებოდა.

1954.

## ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

### ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

### აგვისტოს აჯანყების 73 წლისთავის აღნიშვნა ლევილში

1997 წლის 18 ხექტემბერს აღნიშნულ იქნა 1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყების დღე, პარიზის ახლომდებარე დაბა ლევილის ქართულ მამულში, რომელსაც მრავალი ლევილელი და პარიზში მცხოვრები ქართველობა დაესწრო.

ჯერ ლევილის კათოლიკურ ეკლესიაში, წმინდა ნინოს პარიზის ქართული ეკლესიის მოძღვარმა, დეკანოზმა მამა არჩილმა, პარაკლისი გადაიხადა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში დაღუპულთა სულის მოსახსენებლად, რომლის დროს გალობდა მგალობელთა გუნდი ბატონ ოთარ პატარიძის ლოტბარობით.

შემდეგ კი ქართული სათვისტომოს შემადგენლობამ თავი მოიყარა ლევილის ქართული სასაფლაოს საერთო აკლდამასთან, სადაც დეკანოზმა მამა არჩილმა ჩაატარა წირვა, ხოლო და ბოლოს შემოუარა სასაფლაოს და შეჩერდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტისა და მთავრობის თავჯდომარის - ნოე ჟორდანიას - აკლდამასთან; შემდეგ,საქართველოს ეროვნული გმირის - ქაიხოსრო(ქაქუცა) ჩოლოყაშვილის აკლდამასთან და აგრეთვე პარიზის ქართული საწმყოსა და პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარ - დეკანოს ილია მელიას აკლდამასთან.

ამის შემდეგ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, ბატონ ტარიელ ზურაბიშვილისა და მამა არჩილის მეთაურობით, ქართველობამ და სტუმრებმა, თავიანთ ოჯახითურთ, თავი მოიყარეს ლევილის ქართული მამულის შატოს მთავარ დარბაზში, სადაც გაიმართა წვეულება, რომლის დროს სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ - ბატონმა ტარიელ ზურაბიშვილმა. აი, ამ სიტყვის მთელი შინაარსი:

Chers Amis,

Comme chaque année à cette époque, nous nous retrouvons pour commémorer l'anniversaire de l'insurrection de 1924, extraordinaire élan du peuple géorgien, 3 ans après l'invasion soviétique, pour s'opposer à la force brutale de l'annexion et maintenir vivants foi et espoir d'un avenir moins sombre. Nous pensons d'abord à ceux qui sont tombés dans ce combat pour la liberté, héros au nom connu de tous ici ou victimes anonymes. Nous pensons aussi à tous ceux qui, dans notre émigration, ont souffert dans leur âme pendant que leurs frères étaient martyrisés et c'est aussi leur mémoire, celle de ceux sur les tombes de qui nous venons de nous recueillir comme celle de ceux qui reposent ailleurs, que nous évoquons en cette journée.

C'est pour donner d'ailleurs un sens fort d'exaltation du souvenir à notre réunion d'aujourd'hui, que les fonds que vous nous permettez de recueillir sont consacrés à l'entretien du cimetière de Leuville, symbolique aux yeux de tous, ici comme en Géorgie même. Ce symbole est l'un des points forts et essentiels au maintien duquel l'Association Géorgienne en France veille et doit continuer à veiller.

Journées sombres de 1924, avec le début d'une longue traversée des ténèbres, au fond desquelles néanmoins à toujours subsisté -au grand jour dans notre communauté mais aussi dans le secret obligé des coeurs et des esprits de nos compatriotes sur place- la lumière de l'espoir de la liberté un jour retrouvée. Aujourd'hui, près de ¾ de siècle plus tard, l'esprit de notre commémoration n'a pas changé : nos pensées sont en ce souvenir rappelé plus tôt. Mais le contexte dans lequel nous revivifions ce souvenir est certes devenu différent depuis 1991 : la Géorgie a retrouvé son indépendance « de jure » et la reconnaissance internationale, et de ce fait les lignes de l'action que peut mener la Communauté géorgienne hors de Géorgie, en France comme en d'autres pays, ne peuvent forcément plus être les mêmes.

ეროვნული ბიბლიოთეკა

De cela nous avons débattu au cours de récentes assemblées générales de notre association, avec comme résultat le vote unanime de la motion du 25 janvier 1997. Vous vous rappelez tous ce dont nous avons fait ensemble, le constat : la Géorgie indépendante ne peut être considérée encore comme pleinement souveraine, sur l'intégralité de son territoire historique, et de graves inquiétudes subsistent quant au respect des droits de l'homme dans le pays.

C'est ce que le Comité Directeur a tenté de dire plus en détail dans le mémorandum du 7 juin 1997 que je vous ai adressé à tous avec une lettre d'explication.

Sans revenir sur les différentes conséquences que ceci a entraîné (démissions de membres du Comité, annulation de la célébration du 26 mai), il nous importe aujourd'hui à tous, dans la pluralité de nos sensibilités et approches, de trouver le moyen de soutenir les efforts de la Géorgie dans l'établissement de cette souveraineté pleine et du plein exercice de la démocratie.

Beaucoup d'entre nous, en France et dans d'autres pays, tentent d'aider notre pays renaissant, sur divers plans : aide humanitaire (hélas encore si urgente), développement d'entreprises et activités économiques, actions de formation et d'éducation. Notre communauté en tant que corps constitué en France n'a malheureusement pas les moyens de l'ambition de mener des actions de grande envergure ; notre association soeur des USA semble mieux armée pour ce faire, dans un pays où l'accès aux décideurs politiques est plus habituel et structuré qu'en France. Je ne suis pas certain d'ailleurs que ses choix d'actions soient toujours les plus adéquats.

Notre rôle, en tant que groupe constitué -là est notre seule force potentielle, celle à qui le peuple géorgien donne sans doute plus de poids qu'elle n'a en réalité, mais qui importe à tous ... même à ceux qu'elle gêne par sa portée symbolique puisqu'ils cherchent à nous diviser- ne peut donc que rester, comme le rappelle d'ailleurs la motion votée en janvier, surtout celui de détenteurs des valeurs d'origine de la nation Géorgienne telles que nous les ont transmises les premières générations de notre émigration.

Cela ne veut pas dire que nous pouvons ou devons être des donneurs de leçons lointains à l'égard de dirigeants dont, pour une partie, je ne peux ni ne veux douter de leur désir sincère d'aller dans la bonne direction.

Cela ne veut pas dire que nous devons oublier la réalité des rapports de force sur place, des intérêts souvent antinomiques des acteurs nationaux divers dans cette partie du monde, ni malheureusement, les agissements d'individus ou groupes dont le bien-être du pays n'est pas le souci premier.

Nous savons aussi que ce n'est pas d'un coup de baguette que sera rétablie en Géorgie un fonctionnement idéal des institutions de toute nature (existe-t-il quelque part ?) et le respect total des droits de l'individu.

Mais nous nous devons de continuer à parler -même si on ne daigne nous répondre- lorsque l'évolution des choses reste contraire aux principes que nous avons rappelés. Comment ne pas rester inquiet, par exemple, devant le développement actuel du problème abkhaze : des assurances quasi-officielles nous avaient été donnés d'un retour pratiquement déjà « pré-négocié » à une situation très proche de celle de l'avant-conflit. Cela est bien loin de ce qui se passe actuellement (sans parler des rumeurs extrêmes que l'on entend de ci de là) et le retour « assuré » de tous les « déplacés » n'est pas pour demain.

Comment ne pas être inquiet, non plus, sur le plan plus local au sein de notre communauté, lorsque des problèmes aussi symboliques -pour le moins- que celui du sort des archives sont traités comme vous le savez.

La voie suivant laquelle doit se développer notre relation -indispensable si nous voulons avoir quelque influence et ne pas rester considérés comme un groupuscule rebelle- avec les représentants de la Géorgie officielle est étroite. Elle pourrait être aisée et simple si nous nous contentions de rapports « mondains » ou d'affaires -à notre échelle individuelle ou collective- sans oser, non pas critiquer, mais simplement rappeler les principes essentiels ou demander des éclaircissements, en particulier sur les droits de l'homme.

Il ne s'agit pas, à l'extrême inverse, de nier tout progrès effectif, de ne pas admettre que tout n'est pas possible tout de suite ... sous réserve que la sincérité dans les intentions et les échanges d'idées soit réelle et réciproque.

Pour ceci, il faut -combien de fois cela a-t-il été déjà dit, ici même en d'autres mois de septembre ou en d'autres réunions- que nous retrouvions une cohérence de notre communauté. Non pas

ეროვნული ბიბლიოთეკა

uniformité de pensées et d'opinions sur tout ... mais au moins le respect de ce sur quoi nous avons statué ensemble en début d'année.

Comment le faire après ce qui s'est passé en mai et juin derniers ? Après l'interruption estivale, une fois passé la phase d'incompréhension et de découragement que, je l'avoue, j'ai traversée, nous allons, avec le plus grand nombre possible de membres de notre communauté, chercher comment avancer, sans compromis sur nos principes mais sans, non plus, d'intransigeance trop systématiquement idéaliste. Des actions concrètes : problème des archives, renforcement du Comité, en stricte application des statuts, dialogue avec l'ambassade sur des points précis concernant les droits de l'homme (que nous instruisons en ce moment) sont lancés ou vont l'être incessamment.

Avant tout que cette crise -le mot n'est pas trop fort- que nous avons vécue ne nous empêche pas de retrouver ensemble compréhension et estime réciproque, élan pour ouvrer -individuellement suivant la sensibilité et la disponibilité de chacun, mais surtout collectivement- pour apporter à la Géorgie, à son peuple, aussi à ses dirigeants, le témoignage de notre attachement mais aussi celui de nos préoccupations et de notre souhait à tous de voir le pays avancer vers sa vérité.

Leuville, 18 septembre 1997

აქ კი შევნიშნავთ:

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ქართული სათვისტომოს ყველა წევრი არ დასწრებია არც პარაკლის ეკლესიაში და არც წვეულებას ქართული მამულის შატოში, რადგან, როგორც ბატონ ტარიელ ზურაბიშვილის სიტყვიდანაც ჩანს, კმაყოფილი არ არიან სათვისტომოს დღევანდელი მდგომარეობით.

ვიმედოვნებთ, ეს მდგომარეობა მალე გამოსწორდება.

კ.ი., ლევილი, 1997 წლის 18 სექტემბერი

## კონცერტი ლევილის ქართულ მამულში

პარიზის ახლოსმდებარე დაბა ლევილის ქართულ მამულში, 1997 წლის 24 აგვისტოს ჩატარდა კონცერტი, ქართველი პოლიტიკური მოღვაწის - დავით სა-ღერაშვილის შვილის-შვილის, ქალბატონ ალმა დელონ-ჭილაშვილისა, რომელიც არის ჰაიდელბერგის (გერმანია) ოპერის მომღერალი. ქალბატონმა ალმა დელონმა შეასრულა რამდენიმე ნაწყვეტი იტალიურ ოპერებიდან, რასაც აღტაცებით შეხვდა ლევილში მცხოვრები ქართველები და სტუმრები პარიზიდან.

კონცერტს განსაკუთრებული ეროვნული ხასიათი მისცა დიაკონ გიორგისა და მისი მეუღლე ნანა ფერაძის შეხმატკბილებულმა სიმღერებმა, რომელსაც თვითონ აცილებდნენ პიანინოთი. ამ კონცერტს ეროვნული ელფერი მიეცა აგრეთვე იმით, რომ დასრულს შესრულებულ იქნა ჩვენი ეროვნული ჰიმნი "დიდება" მომღერალთა და მაყურებელთა მონაწილეობით.

კ.ი., ლევილი, 1997 წლის 24 აგვისტო

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის სრული კონტროლი, შეიძლება, თავისთავის განწირვაც კი... თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად".

ჟორჟ ლეფევრი, ფრანგი ისტორიკოსი

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocasion, heroiquement".

Georges Lefebre(1874-1959)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართულ-დანიური სანიმუშო ოჯახი

ქალბატონი თამამ ჩოფიკაშვილი-ვესტისა და პროფესორი
რიხარდ ვესტი

1.

ქართულ-დანიურ სანიმუშო ოჯახს ვუწოდებთ ჩვენ ქალბატონ თამარ ჩოფიკაშვილ-ვესტისა და პროფესორ რიხარდ ვესტის ოჯახს, რადგან ორივე და მათი ორი ვაჟიშვილი, ერთნაირიშთაგონებით ჩაბმული არიან როგორც მათი კერძო, საოჯახო საქმეების წარმართვა-მოგვარებაში, ისევე საზოგადოებრივი საქმების წარმართვა-მოგვარებაში, რამაც საერთო აღიარება მოიპოვა არა მარტო უცხოეთში მცხოვრებ ქართველობაში, არამედ ჩვენს სამშბლო - საქართველოში, რის შედეგად პროფესორ რიხარდ ვესტს მიანიჭეს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა. აი, მასალები საქართველოს გაზეთებიდან:

11.

### საქართველოს პრეზიდენტის
### ბრძანებულება

1997 წლის 13 ოქტომბერი — ქ. თბილისი

**რ. ვესტისათვის საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭების შესახებ**

საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო და საქველმოქმედო საქმიანობისათვის დანიელ ასტრონომს, ევროპის სახელმწიფოთა სამხრეთული ობსერვატორიის სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ **რიშარდ ვესტს** მიენიჭოს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა.

**ე. შევარდნაძე.**

(გაზეთი"საქართველოს რესპუბლიკა", 1997 წლის 17 ოქტომბერი, თბილისი).

111.

გაზეთი "ს.რ." - 31.11.1997 წ.

**წერილი პირადი არქივიდან**

## მე ერთი იმ ბედნიერთაგანი ვარ

ᲘᲧᲝᲡ ჭეშმარიტი მეცნიერი — ასეთი რამ ცოტა ვინმეს ხელეწიფება, ხოლო წარმართოს მეცნიერება საკუთარ ქვეყანაში — ეს კიდევ უფრო მცირერიცხოვან ადამიანთა ხვედრია. და აი, თქვენ, სამოცზე მეტი წლის წინ, იკისრეთ ღირსეული და ძნელი მოვალეობა — შეგექმნათ ასტრონომიისა და ასტროფიზიკის განვითარების მყარი ბაზა საქართველოში. თქვენი მეცნიერული უნარის, ბრწყინვალე ორგანიზატორული ნიჭისა და ამოუწურავი ენერგიის წყალობით აგეთ მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობსერვატორია ყანობილის მთაზე. თქვენი ნატიფი მეცნიერული ხელმძღვანელობით მრავალი წლის მანძილზე აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია გადაიქცა თანამედროვე საკვლევ ინსტიტუტად, სადაც მრავალი ბედნიერი ახალგაზრდა თქვენი და თქვენი კოლეგების მტკიცე და მეგობრული ხელმძღვანელობით ვარსკვლავთა მესაიდუმლეობა ჩასწვდა...

აბასთუმანში. რა საუცხოო მიღება მოუწყვეთ თქვენ და თქვენმა კოლექტივმა ახალგაზრდა და გამოუცდელ მეცნიერს! არა მარტო თითოეული ადამიანი მხვდებოდა ლეგენდარული, გაუგონრად თბილი ქართული მასპინძლობით, არამედ, აგრეთვე, შემიყვანეთ ჩვენი მეცნიერების საოცრებებისა და მშვენიერების სამყაროში თქვენი მოთმინებითი და მზრუნველი ხელმძღვანელობით. თქვენი კეთილი და მეგობრული რჩევები იმ ადრინდელ წლებში უაღრესად სასარგებლო იყო ჩემთვის. მაგრამ თქვენ პიროვნულად უფრო მორს წახვედით, ვიდრე გევალებოდათ: თქვენი უწყვეტი ყოველმხრივი ხელშეწყობის გარეშე მე და თამრიკო ვერასოდეს შევძლებდით დავქორწინებულიყავით და შეგვექმნა ოჯახი. არაეითარ სიტყვებს არ შეუძლიათ გამოხატონ, რა მადლობელნი ვიყავით მუდამ ჩვენ და ჩვენი ვაჟები, ირაკლი და ნუკი, თქვენი კეთილგანწყობისა და დახმარებისათვის იმ კრიტიკულ დღეებში. ყოველგვარი შემწეობა, რომლის გაწევაც შეგვეძლო გვეცადა მას შემდეგ ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში, ჩვენი დიდი მადლიერების მხოლოდ მცირეოდენი გამოხატულება იყო.

თქვენ ყოველთვის ახერხებდით დაგეცვათ ჩვენი მეცნიერების საერთაშორისო ხასიათი. ხშირად მსმენია, სხვა ქვეყნებში მცხოვრები კოლეგები ენთუზიაზმით რომ ყვებოდნენ, რა ბრწყინვალედ მიუღიათ ისინი აბასთუმანში ჩასვლისას, და რა მესანიშნავად უმასპინძლეს იქ ოლონდაც ასეთი დახვედრის იმდენი საკუთარი გამოცდილება გამაჩნდა მრავალი წლის მანძილზე, ჩემს ოჯახთან ერთად, რომ მოსმენილი არაეითარ განცვიფრებას არ იწვევდა ჩემში. ბევრ გამოჩენილ მეცნიერს უამბნია მოგვიანებით, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე თქვენმა პიროვნებამ; სხვებს უთქვამთ, რა ფანტასტიკური მდებარეობა აქვს ყანობილის მთას და აბასთუმანს მშვენიერ ბუნებრივ შემოგარენში, რომლებიც, ცნობილია, შესაძლოა, ევროპაში ასტრონომიული დაკვირვებებისათვის საუკეთესო ატმოსფერული პირობებით ხასიათდება. და იყო ერთი რამ, რაც ანცვიფრებდა უცხოელ სტუმართა უმეტესობას: ნაყოფიერი კვლევის კლიმატი ძალზე მრავალდარგოვან გარემოში — მსოფლიოში სხვაგან სად შეგეძლოთ გეპოვნათ ერთნაირად ბრწყინვალე შესაძლებლობა გალაქტიკური და გარეგალაქტიკური გამოკვლევებისა, ასევე — მზისა და პლანეტების ფიზიკისა და ინსტრუმენტთა მთელი წყება დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენების დაკვირვებისათვის?

თქვენი ღირსშესანიშნავი მოღვაწეობის განმავლობაში, თქვენ ეკავათ რამდენიმე მაღალი საერთაშორისო პოსტი, რომელთაგან გამორჩეულია საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, და თქვენი დახვეწილი დიპლომატიური თვისებებისა და უცხო ენათა საუცხოოდ ფლობის გამო, თქვენ მოიპოვეთ უმაგალითო პრესტიჟი თქვენს საზღვარგარეთელ კოლეგებში. განსაკუთრებით მანცვიფრებს და თანაბრად მნიშვნელოვნადაც მიმაჩნია თქვენი განუხრელი და წარმატებითი სწრაფვა — შეაყვაროთ ჩვენი მეცნიერება თქვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობას — ის ფაქტი, რომ ასტრონომია სასკოლო პროგრამის ნაწილად იქცა საქართველოში მრავალი წლით ადრე, ვიდრე ეს მოხდებოდა სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების უმეტესობაში, უცხოეთში შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

სხვა ფუნდამენტურ მეცნიერებათა მსგავსად, ასტრონომია ბოლო წლებში დიდ ცვლილებებს განიცდის. ესაა ხანა, როცა სულ უფრო მზარდი გლობალიზაცია და უაღრესად მძლავრი დაკვირვებითი შესაძლებლობანი მკვიდრდება დედამიწაზეც და კოსმოსშიც. ჩვენ ვცხოვრობთ წარმტაც დროში, რომელიც სავსეა ფანტასტიკური შესაძლებლობებით ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის. ეჭვი არ მეპარება, რომ აუცილებელი მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პირობებში მოიძებნება საჭირო ადამიანური რესურსებიც ამ ახალი სიტუაციის ათვისებისა და ახალი ცოდნის მოპოვებისათვის.

ამდენად, მე ველი შემდეგი თაობის ახალგაზრდა ქართველ ასტრონომთა გამოჩენას, რომლებიც კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ დიდ ადამიანურ ძალისხმევაში და გააგრძელებენ თქვენს კვალს მომავალში, როგორც თავიანთი ქვეყნის ამაყი და კეთილშობილი წარმომადგენლები.

ნება მომეცით, წერილი დავასრულო თამრიკოს, ირაკლის, ნუკისა და ჩემი საკუთარი ღრმა მადლობის გულახალი გამოხატვით ყველაფრისათვის, რაც გააკეთეთ ჩვენთვის მრავალი წლის განმავლობაში! თქვენი განუწყვეტელი მხარდაჭერისა და ხანგრძლივი მეგობრობის გარეშე, რასაც ჩვენ ვაკავშირებთ და რასაც უაღრესად ვაფასებთ, ჩვენი ცხოვრება ჭეშმარიტად სრულიად სხვანაირი იქნებოდა. ყველანი გიგზავნით ჩვენს მხურვალე სურვილებს და მოლოცვებს და ვიმედოვნებთ, რომ წინ კვლავ კიდევ ერთი შეხვედრა თქვენთან!

**რიჰარდ ვესტი,**
მიუნჰენი, 18 ოქტომბერი, 1997.

# ДАТСКИЙ УЧЕНЫЙ - ПОЧЕТНЫЙ ГРАЖДАНИН ГРУЗИИ



გაზეთი - "სვობოდნია გრუზია" - 31.11.1997 წ.

Как известно, Указом Президента Грузии за особые заслуги перед нашей страной и народом и плодотворную научную, общественную и благотворительную деятельность датскому астроному, руководителю и старшему исследователю одного из научных департаментов Мюнхенской южной обсерватории европейских государств, профессору Рихарду Весту присвоено Почетное гражданство Грузии. 31 октября Эдуард Шеварднадзе вручил датскому ученому подтверждающую это высокое звание атрибутику.

Один из признанных деятелей мировой астрономической науки, Рихард Вест с 1964 года работал в Абастуманской астрофизической обсерватории. В разные годы был генеральным секретарем Международного астрономического союза, советником этого союза, возглавлял строительство и организацию южной обсерватории европейских государств в Чили. Он - автор многих уникальных научных трудов как самостоятельных, так и в соавторстве с грузинскими коллегами. Рихарду Весту принадлежит большой вклад в обеспечение Абастуманской обсерватории современной техникой, формирование новых научных направлений в ее работе и подготовке кадров.

Супруга датского профессора - грузинка, у них два сына. В космическом пространстве движутся обнаруженные Рихардом Вестом астероиды - "Казбеги", "Гудиашвили", "Харадзе", "Мцхета" и многие другие.

- Ваша деятельность - яркий пример того, как можно служить науке и доказать, что у нее поистине нет границ, - так оценил Президент Грузии деятельность датского ученого на торжественной церемонии.

Здесь же Эдуард Шеварднадзе воспользовался случаем и засвидетельствовал свое уважение и почтение присутствующему на церемонии почетному директору Абастуманской астрофизической обсерватории, академику Евгению Харадзе, которому на днях исполнилось 90 лет со дня рождения.

- В вашей личности вполне сочетаются замечательные человеческие черты, подлинная способность научного героизма, самоотверженность во имя интересов народа и науки, - заявил Глава Грузинского государства одному из великих ученых современности в области астрофизики, именитому академику.

**Пресс-служба Президента Грузии - САКИНФОРМ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 1997 წლის 17 ოქტომბრის ფურცლებზე კი ვკითხულობთ:

**საპატიო მოქალაქე**

# განსაკუთრებული დამსახურებისათვის

**საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, დანიელ ასტრონომს, პროფესორ რიჩარდ ვესტს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა ქართველი ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოადგილეს თამაზ ქიფიანს.**

— გარდა იმისა, რაც თქვენ ბრძანეთ, — მეუბნება ბატონი თამაზი, — პროფესორ რიჩარდ ვესტს საპატიო მოქალაქეობა ნაყოფიერი სამეცნიერო და საქველმოქმედო საქმიანობისთვისაც მიენიჭა. ამაზე — ცოტა ქვემოთ. ჯერ იმას მოგახსენებთ, ვინ არის და რა აკავშირებს საქართველოსთან მას.

დოქტორი რიჩარდ ვესტი — ამჟამად ევროპის სახელმწიფოთა სამხრეთული ობსერვატორიის (ESO) ერთ-ერთი სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი მკვლევარი და ხელმძღვანელი (ქ. მიუნხენი, გერმანია) დაბადებულია 1941 წელს ქ. კოპენჰაგენში. უკვე იცით, რომ იგი ეროვნებით დანიელია.

1964 წელს, როდესაც რიჩარდ ვესტი კოპენჰაგენის უნივერსიტეტს ამთავრებდა ასტრონომიის სპეციალობით, მისმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა რეიცმა მიმართა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მამინდელ დირექტორს ევგენი ხარაძეს თხოვნით, რათა „ფრიად ნიჭიერი" (რეიცის სიტყვებია) რიჩარდ ვესტი აბასთუმნის ობსერვატორიაში მიეღო სტაჟირების გასავლელად, სადაც „კარგი ატმოსფერული და სასწავლო პირობებია" (რეიცი), როგორც მას აბასთუმანში ნამყოფი ბევრი უცხოელისაგან სმენია.

ასეთი რეკომენდაციით გამოგზავნილი ახალგაზრდა მეცნიერი 1964 წელს აბასთუმნის ობსერვატორიაში გამოცხადდა და მაშინვე ჩაერთო დამწყებ ასტრონომთა ჯგუფის მუშაობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომელი რამზე ბართაია (მაშინ მეცნიერებათა კანდიდატი, ამჟამად მეცნიერებათა დოქტორი). დანიელმა ასტრონომმა უმალვე გამოამჟღავნა, — ამჯერად ნიჭიერებასთან ერთად, — კოლეგიალობის, სამუშაოთა და დავალებათა უზადო შესრულების სამაგალითო თვისებები, თუ არაფერს ვიტყვით მისი ზოგადი განათლებისა და ოჯახური აღზრდის სანიმუშო დონეზე. იმ დროს ობსერვატორიაში ინერგებოდა სრულიად ახალ და უნიკალურ სპექტროსკოპულ ტელესკოპზე ვარსკვლავთა სპექტრული კლასიფიკაციის მეთოდი, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო მთელ სამეცნიერო მიმართულებას — მკრთალ ვარსკვლავთა კლასიფიკაციის მეთოდს — ერთადერთს მაშინდელი საბჭოთა კავშირის ობსერვატორიების სივრცეში. რამდენიმე თვის შემდეგ საერთაშორისო ასტრონომიულ ჟურნალებში აბასთუმნელი ახალგაზრდა ასტრონომებისა და მათთან ერთად რიჩარდ ვესტის ავტორობით გამოქვეყნდა ნაშრომები, ცოტა ხნის შემდეგ კი აბასთუმნის ობსერვატორიის ახალგაზრდა ასტრონომმა თენგიზ ბორჩხაძემ (ამჟამად მეცნიერებათა კანდიდატი და ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში) და რიჩარდ ვესტმა ერთობლივად გაასრულეს ნახევარწლიანი სამუშაო ჟენევის ბირთვული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში — „ცერნ"-ში, სადაც ევროპის სახელმწიფოთა სამხრეთულ ობსერვატორიას თავისი ფილიალი ჰქონდა.

— ბუნებრივია, სამეცნიერო კარიერის ასეთი წარმატებით დაწყება ასევე წარმატებულ გაგრძელებასაც ჰპოვებდა.

— მომდევნო წლებშიც თვალშისაცემი იყო რიჩარდ ვესტის ზრდა, როგორც, ასე ვთქვათ, ასტრონომისა და მისი სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო კარიერის განვითარება. იგი ორ საარჩევნო ექვსწლიან პერიოდში მოღვაწეობდა, როგორც საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გენერალური მდივანი, შემდგომში როგორც ამ კავშირის მრჩეველი. სათავეში ჩაუდგა ევროპის სახელმწიფოების სამხრეთული ობსერვატორიის მშენებლობისა და ორგანიზაციის საქმეს ჩილეს მთიან მიდამოებში, სადაც ამჟამად მოქმედებს გიგანტური ტელესკოპების კომპლექსით აღჭურვილი ფანტასტიკურად მძლავრი ობსერვატორია, რის დაგეგმვასა და ამოქმედებაშიც უშუალოდ მონაწილეობდა. ყველაფერ ამის გამო რიჩარდ ვესტი აღიარებული და გამორჩეული ასტრონომია ევროპაში.

— ალბათ, არც შემდგომში გაუწყვეტია კავშირი აბასთუმნის ობსერვატორიასთან და საერთოდ, საქართველოსთან.

— რიჩარდ ვესტის ინიციატივითა და ხელშეწყობით აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, დედამიწის ზედა ატმოსფეროს შესწავლის ჩარჩოებში, გაჩნდა ახალი მიმართულება — კომეტებისა და ასტეროიდების მიერ დედამიწის ატმოსფეროს გამტვერიანების შესახებ. ეს სამუშაო ფინანსდებოდა ევროპის სამხრეთული ობსერვატორიის გრანტით. მიღებულია პირველი ორიგინალური შედეგები დედამიწის ბიოსფეროსა და ატმოსფეროში მიმდინარე პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დედამიწაზე კლიმატურ ცვლილებებთან.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აბასთუმანსა და თბილისში ყოფნის პერიოდში და შემდგომში იქვე ხშირად სტუმრობისას, რიჩარდ ვესტი გატაცებით სწავლობდა ქართულ ენას, ინტერესით ეცნობოდა საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას, მუზეუმებს, ხელოვნებას. საგულისხმოა მისი მეგობრობა პეტრე გრუზინსკისთან.

თქვენ შეკითხვით, მეწყინება თუ არა კავშირი საქართველოსთან. არათუ არ შეუწყვეტია, მეტსაც გეტყვით — მან ქართველ ქალთან თამარ ჩოფიკაშვილთან ერთად შექმნა ოჯახი და გაზარდა ორი ვაჟი — ირაკლი და ნუკრი, რომლებიც ახლა მიუნხენში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, ერთი — კომპიუტერების დარგში, ხოლო მეორე ქიმიკოსია.

პროფესორ ვესტის მეუღლე — ქალბატონი თამარი პერიოდულად უნივერსიტეტში და სხვა ორგანიზაციებში ასწავლის ქართულ ენას. გერმანიაში საქართველოს კულტურისა და ყოფის პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებშიც მონაწილეობს, ქართული ლიტერატურული ჟურნალების დაინტერესებული მკითხველი და პოპულარიზატორია.

მიუნხენში ჩასული ქართველი მოღვაწეებისათვის თბილად მოსაგონარია ქალბატონი თამარისა და პროფესორ რიჩარდ ვესტის გულუხვი და თბილი მასპინძლობა.

— თქვენ ბრძანეთ, რომ გვიამბობდით პროფესორ ვესტის საქველმოქმედო საქმიანობის შესახებაც.

— პროფესორ ვესტის ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ უკვე მოგახსენეთ. აბასთუმნის ობსერვატორიასთან და ქართველ ასტრონომებთან მეგობრული პროფესიული ურთიერთობა ვესტს არ შეუსუსტებია. ჩვენი ძნელბედობის წლებში მისი მხრიდან თბილი ყურადღებისა და თანადგომის აქციებს შორის აღვნიშნავ მხოლოდ ორს. ერთი ისაა, რომ მან მის ინსტიტუტს ქ. მიუნხენში გრანტების ფონდიდან ოცამდე ჩვენი — აბასთუმნელი და თბილისელი მეცნიერი თანამშრომლისათვის გამოაყოფინა გრანტები ორმხრივი სამეცნიერო თემების შესასრულებლად, რაც საგრძნობი ჰუმანური დახმარება იყო. ამასთან, მისი შეოხებით ევროპულ სახელმწიფოთა სამხრეთულმა ობსერვატორიამ აბასთუმნის ობსერვატორიას გამოუგზავნა ფრიად ძვირადღირებული და სამეცნიერო მიზნებისათვის ფასდაუდებელი კომპლექტი — ორ, ვიზუალურ და ფოტოგრაფიულ სხივებში გადაღებული 6X6 გრადუსიანი 1212 ატლასი — სამხრეთის ცის ფოტოგრაფიებისა, რომლებიც შესრულებულია ცნობილ ლასილას (ჩილე, ESO) და ინგლის-ავსტრალიის გაერთიანებული ობსერვატორიის ანაბერაციულ დიდ ტელესკოპებზე, აგრეთვე, მეხტკავშირიანი სისტემის ხელსაწყო და სპეციალური კომპიუტერი ობსერვატორიაში საკომპიუტერო ქსელის შექმნისათვის, რაც ამდიდრებს ობსერვატორიის აღჭურვილობას.

რიჩარდ ვესტი ცნობილია; აგრეთვე, როგორც კომეტებისა და ასტეროიდების მკვლევარი და მათი აღმომჩენი, რის გამოც უფლება აქვს, შესთავაზოს საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ახლად აღმოჩენილ ობიექტთა სანომენკლატურო კომიტეტს ობიექტთა საკუთარი სახელები. მისი შეოხებით კოსმოსის სივრცეში ახლა სრბოლავენ ასტეროიდები სახელად: თამრიკო, ნუკრი, ირაკლი, მცხეთა, ხარაძე, გუდიაშვილი, ყაზბეგი.

1975-1988 წლებში რიჩარდ ვესტმა 4 კომეტა აღმოაჩინა.

— ამჟამად რას საქმიანობს ჩვენი ქვეყნის საპატიო მოქალაქე?

— უკანასკნელ წლებში რიჩარდ ვესტი გვევლინება, როგორც საერთო-ევროპული საგანმანათლებლო, „ინტერნეტის" მეშვეობით, პროგრამების ინიციატორად და ასტრონომიული განათლების ევროპული ასოციაციის (EAAE) ორგანიზატორად ევროპული კავშირის (EU) ჩარჩოებში. ნობელის საპატიო თანაპრეზიდენტად მას მუდმივად ირჩევენ, აღიარებენ რა მის დამსახურებას ხსენებული ასოციაციის ჩამოყალიბებაში. ასტრონომიის სწავლებისადმი მიძღვნილ თათბირზე, ინგლისში რიჩარდ ვესტმა ხაზგასმით გააცნო დამსწრეებს საქართველოში ქართულ ენაზე გამოცემული ასტრონომიული სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები და გვიძღვნა სასკოლო ასტრონომიული განათლების მიზნით შედგენილი უნიკალური საკომპიუტერო პროგრამა, რაც მის ასევე დიდ ქველმოქმედებაზე მეტყველებს.

ესაუბრა
**გონდო მძინარაშვილი.**

V.

რიხარდ ვესტი დაიბადა 1941 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ კოპენჰაგენში, დანიის დედაქალაქში. 1966 წლის ოქტომბერში დაქორწინდა, ცოლად შეირთო თამარა ჩოჯიკაშვილი და უკვე ჰყავთ ორი ვაჟიშვილი - ირაკლი, რომელიც დაიბადა 1968 წელს და ნუკრი რომელიც დაიბადა 1972 წელს. რიხარდ ვესტმა დაამთავრა კოპენჰაგენის უნივერსიტეტი და დაიცვა დისერტაცია ასტრონომიის დარგი, რისთვისაც მიენიჭა მას ფილოსოფიის დოქტორის წოდება. ის მუშაობდა კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ობსერვატორიაში როგორც პროფესორის ასისტენტ-დოცენტი 1964 წლიდან 1972 წლამდე. ამავე დროს ის მოღვაწეობდა სხვადასხვა საერთაშორისო მეცნიერულ უწყებებში: 1979-1982 წლებში ის იყო ინტერნაციონალური ასტრონომიული კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე; 1982 წლიდან 1985 წლამდე კი მისი გენერალური მდივანი. რიხარდ ვესტი, სხვა მრავალთა შორის, არის ევროპული აკადემიის წევრი. ამჯერად კი რიხარდ ვესტი მუშაობს "ევროპის სამხრეთის ობსერვატორიის" მთავარ სადგომში - გარხინგში, რომელიც მდებარეობს მიუნხენის(გერმანია) ჩრდილოეთით. "ევროპის სამხრეთის ობსერვატორიები" კი განლაგებულია ჩილეში, სანტიაგო დე ჩილედან 600 კილომეტრით დაშორებულ მაღლობზე, რომლის სიმაღლე 2400 მეტრია და მდებარეობს ატაკამას უდაბნოში; ეს ობსერვატორია აღჭურვილია 14 ტელესკოპით, რომელთა დიამეტრი აღწევს 3,6 მეტრამდე, რომელთა შორისაა ერთი 3,5 მეტრი-დიამეტრის ტელესკოპი ულტრა-მოდერნული აღ-

ჭურვილობით. ქვეა, ატაკამას უდაბნოში, 120 კილომეტრით ქალაქ ანტოფაგასტადან დაშორებული, სერო ლა სილას, 2400 მეტრის სიმაღლეზე განლაგებული ობსერვატორია. აქ წელიწადში 300 ღამეა უღრუბლო, სამჯერ უფრო მეტი, ვიდრე ევროპაში, რაც ქმნის ასტრონომიური კვლევა-ძიების წარმოების საუკეთესო პირობებს.

VI.

რიჩარდ ვესტის მთავარი კვლევა-ძიების სფეროა "მცირე სხეულები მზის სისტემაში". მან უკვე აღმოაჩინა კოსმოსში 4 კომეტა და 25 მცირე პლანეტა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ახალ აღმოჩენილ სხეულებს მზის სისტემაში, სახელწოდებას აძლევს თვით აღმომჩენი; და რიჩარ ვესტმა. მის მიერ აღმოჩენილ პლანეტებს, ე.ი. მნათობებს, სხვათა შორის, მიანიჭა თავისი ოჯახის წევრების - თამრიკოს, ნუკრის, ირაკლის სახელები, და აგრეთვე "მცხეთას", "ხარაძეს" -პისი პროფესორის, "გუდიაშვილის", "ყაზბეკის" სახელწოდება.

და-ბოლოს ავღნიშნავ, რომ რიჩარდ ვესტი უაღრესად განათლებული და კეთილი ადამიანია, რომელიც სრულყოფილებით ფლობს მრავალ ენას, ე.ი. ლაპარაკობს დანიურ, შვედურ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, ქართულ და სხვა ენებზე, თვით ჩინური ენის ჩათვლითაც კი.

VII.

ახლა, ორიოდე სიტყვით, ისევ დავუბრუნდეთ "ჩვენი თამრიკოს" მოღვაწეობას უცხოეთში:

მრავალი ქართველი ცხოვრობსა და მოღვაწეობს უცხოეთში, რომლებიც - პირადი, ოჯახური ყოფა-ცხოვრების მოგვარების გარდა - მოღვაწეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროებში, რომლის დროს მათი ყურადღების ცენტრშია ჩვენი სამშობლოს- საქართველოს- და, საერთოდ, ქართველი ხალხის კეთილდღეობა; და, მეტ-ნაკლებად, თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ საქმეში.

ერთერთი ასეთი მოღვაწეა უცხოეთში ქალბატონი თამარ ჩოფიკაშვილი-ვესტისა, რომელიც ცხოვრობსა და მოღვაწეობს მიუნხენში(გერმანია) მის მეუღლე დოქტორ რიჩარდ ვესტისთან ერთად.

VIII.

ჩვენი თამრიკო ქართული ენისა და ლიტერატურის ლექტორია მიუნხენის უნივერსიტეტში და უკვე ათი წელიწადია ქართულ ენას ასწავლის უცხოელებს, განსაკუთრებით გერმანელ სტუდენტებს. ამას გარდა, თამარ ჩოფიკაშვილი-ვესტისა მუშაობს მიუნხენში, ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ქართულ-ენოვანი წიგნების მოვლა-პატრონობის სფეროში, რომლის დროს მან შექმნა ამ წიგნების არა მარტო კატალოგი, არამედ ახდენს მათ სისტემატიზაციასაც, რაც უცხოელებს უადვილებს ამ წიგნების გამოყენებას არა მარტო ქართული ენის შესწავლის საქმეში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თამამ ჩოფიკაშვილი-ვესტისა ატარებს პოპულარ-მეცნიერული ხასიათის მოხსენებებს ქართული კულტურის სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის გამოფენებთან.

IX.

აქვე ვაქვეყნებთ პროფესორ რიჩარდ ვესტისა და მისი მეუღლის - ქალბატონ თამარ ჩოფიკაშვილ-ვესტის ბიოგრაფიებსაც:

**Curriculum Vitae: Tamara WEST**

**Born in Tbilisi, Georgia, on April 10, 1938**

**Secondary school in Tbilisi until 1957**

**Entered Tbilisi State University (Faculty of Western Languages and Literature) in 1957**

**Graduated as Specialist of English Language in 1962**

**Worked in various places as interpreter, translator and teacher of the English language**

**Married Danish Astronomer Richard West in Tbilisi in October 1966**

**Two sons: Irakli (b. 1968) and Nuki (b. 1972)**

**Left Georgia with husband to settle in Denmark in March 1967**

**Lecturer of the Georgian language at the University of Copenhagen from 1968 - 1969**

**Moved to Hamburg (Germany) in January 1970**

**Librarian at the European Southern Observatory in Hamburg 1970-72**

**Moved to Geneva (Switzerland) in March 1972**

**Worked in different positions in the translators' department at the United Nations Office in Geneva**

**Moved to Munich (Germany) in August 1980**

**Active in support of Georgian culture and language in various functions, in particular**
- **Lecturer of the Georgian language at the Ludwig-Maximilian University of Munich since 1984**
- **Organised and catalogued a collection of around 2000 Georgian books at the Bavarian State Library in Munich**
- **Teaching Georgian cooking at evening universities**
- **Organiser of exhibitions of Georgian painters**

**Was the initiator of the first connection between the Republic of Georgia and the European Parliament**

**Languages: Georgian, Danish, English, French, German, Russian**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Curriculum Vitae: Richard Martin WEST**

Born 2 October 1941 in Copenhagen, Denmark

Parents: Harry Richard West (1909 - 1986) and Alice Hanna Benedicta West (née Löthman; 1902 - 1987)

Married to Tamriko West (née Tchopikachvili; b. 1938) in October 1966

Children: Irakli Richard (b. 1968), Nuki Richard (b. 1972)

Danish citizen since birth

Languages: fluent in Danish, English, French, German, Russian, Spanish, Swedish (mother-tongue); some knowledge of others

---

Baccalaureate, Holte Gymnasium (near Copenhagen), June 1959

Mag. scient & Cand. mag. in Astronomy and Astrophysics (PhD equivalent) at the Copenhagen University, June 1964

---

Amanuensis (Assistant Professor), Copenhagen University Observatory, 1964 - 1972

Study stays at Abastumani Astrophysical Observatory (Georgia) in 1964 and 1966-67

External Lecturer, Aarhus University, 1968 - 1969

Assistant Astronomer to the ESO Director General, Hamburg, 1970 - 1972

Head of ESO Sky Atlas Laboratory, Geneva 1972 - 1980; Munich 1980 - 1986

ESO Senior Astronomer, Munich, from 1986

Head of ESO Education and Public Relations Department, Munich, from 1986

---

Member of the International Astronomical Union (IAU), from 1967

Member of IAU Committees 6, 9, 15, 20, 38, 42, 45 (at some time)

Chairman of IAU Working Group on Photography, 1976 - 1979

IAU Assistant General Secretary, 1979 - 1982

IAU General Secretary, 1982 - 1985

Advisor to the IAU Executive Committee, 1985 - 1988

Member of ICSU Executive Board, 1982 - 1986

Chairman, ICSU Committee on International Space Year, 1986 - 1988

President of IAU Commission 20, 1988 - 1991

Vice-President, IAU Commission 6, 1991 - 1994

Chairman of IAU Working Group on Wide-field Imaging, 1991 - 1994

Secretary, EAS Fund for Support of Astronomers in Eastern Europe, 1992 - 1993

Member of SOROS Evaluation Team (Astronomy), 1993 - 1994

Secretary, ESO Central & Eastern Europe Programme, 1993 - 1996

Coordinator, ESO SL-9/Jupiter Programme, 1993 - 1995

President, IAU Commission 6, 1994 - 2000

Coordinator of European Comet Hale-Bopp Team from 1996

Vice-President, IAU Commission 38, 1997 - 2000

---

Member of Academia Europaea, European Astronomical Society (EAS) American Astronomical Society (AAS), European Association for the Promotion of Science and Technology (Euroscience), Spaceguard Foundation

Honorary President, European Association for Astronomy Education (EAAE)

Member of the Board, Tycho Brahe Planetarium, Copenhagen

---

Honorary Citizen of the Republic of Georgia (October 1997)

Present main research field: minor bodies in the solar system

Several hundred professional papers and popular articles in various journals

Three popular and educational books about astronomy

Numerous scientific and popular discourses in the above mentioned languages

Many radio and TV appearances in different countries

---

1972 Rosenkjaer Prize for popularization, Danish Broadcasting Corporation

Discoverer of four comets: 1974, 1975 (one of the brightest in this century), 1978, 1988

Discoverer of minor planets of which about 20 have been named until now. Of these, some have "Georgian" names: Kharadze, Kazbegi, Mtskheta, Gudiachvili, Tamriko, Nuki, Irakli

---

Minor planets, discovered and given names by R. West

Status: April 1997

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2052 | Tamriko | West, R. M. | 1976 10 24 |
| 2 | 2053 | Nuki | West, R. M. | 1976 10 24 |
| 3 | 2115 | Irakli | West, R. M. | 1976 10 24 |
| 4 | 2116 | Mtskheta | West, R. M. | 1976 10 24 |
| 5 | 2117 | Danmark | West, R. M. | 1978 01 09 |
| 6 | 2145 | Blaauw | West, R. M. | 1976 10 24 |
| 7 | 2146 | Stentor | West, R. M. | 1976 10 24 |
| 8 | 2147 | Kharadze | West, R. M. | 1976 10 25 |
| 9 | 2148 | Epeios | West, R. M. | 1976 10 24 |
| 10 | 2187 | La Silla | West, R. M. | 1976 10 24 |
| 11 | 2526 | Alisary | West, R. M. | 1979 05 19 |
| 12 | 2595 | Gudiachvili | West, R. M. | 1979 05 19 |
| 13 | 2596 | Vainu Bappu | West, R. M. | 1979 05 19 |
| 14 | 2935 | Naerum | West, R. M. | 1976 10 24 |
| 15 | 3004 | Knud | West, R. M. | 1976 02 27 |
| 16 | 3477 | Kazbegi | West, R. M. | 1979 05 19 |
| 17 | 3871 | Reiz | West, R. M. | 1982 02 18 |
| 18 | 3933 | Portugal | West, R. M. | 1986 03 12 |
| 19 | 5270 | [No name yet] | West, R. M. | 1979 05 19 |
| 20 | 5890 | Carlsberg | West, R. M. | 1979 05 19 |
| 21 | 6362 | [No name yet] | West, R. M. | 1979 05 19 |

X..

მაშ, ვუსურვებთ ჩვენს თამრიკოსა და რიჩარდს ხანგრძლივ სიცოცხლეს, და წარმატებებს თავიანთ პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მრავალჟამიერ!..

კარლო ინასარიძე
ქ. მიუნხენი, 1997 წლის 8 დეკემბერი

---

"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა". "მესამე დასი", 1893 წელი

---

## ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

## "ნოიე ციურხერ ცაიტუნგი" სვანეთის შესახებ

შვეიცარიის დიდმა გაზეთმა "ნოიე ციურხერ ცაიტუნგმა" (4.10.1997 წ.), სამ გვერდზე, გამოაქვეყნა დასურათებული ვრცელი სტატია ჩვენი სვანეთის შესახებ, რომელშიც აღწერილია სვანეთის დღევანდელი მდგომარეობა. ცერება ობრეხტი, აღწერს რა მის მოგზაურობას ავტომობილით სოფელ უშგულამდე, - ამბობს: "47 კილომეტრის გავლისათვის, ქვიან გზაზე და მდინარე ენგურის ხეობაში, დაგვჭირდა ჩვენ ორი საათი...სოფელი უშგული გავს აულებელ ციხესიმაგრეს მისი ოცი კოშკით...უშგული, რომელიც ზღვის დონიდან 2 200-სი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, არის ევროპის ყველაზე უფრო მაღლა მდებარე სოფელი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში დასახლებულია".

ზეინაბმა და როელამ, დებმა, წაგვიყვანეს მათ მოხუც ბიძა - ერასტისთან, რომელმაც მიგვიღო სით მოჩუქურთმებულ ვერანდაზე. ერასტია პირწავარდნილი კომუნისტი, რომელიც მის პარტიის წევრობის წიგნაკს, როგორც ხატს, ინახავს და ამბობს, რომ დღევანდელ ახალგაზრდებს მუშაობა არ სურთ. წინათ იყო ხულ სხვა კოლმეურნეობებსა და ფაბრიკებში. მაგრამ შემდეგ მოვიდენ გორბაჩოვი და შევარდნაძე და ყველაფერი გაფუჭდა. საქართველოს დამოუკიდებლობა მას ფეხებზე ჰკიდია, რადგან, თქვა მან, წინათ ელექტროენერგია უფასო იყო და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მშვიდობა და თანხმობა არსებობდაო."

"სინამდვილეში ამ სოფლის სამასი მცხოვრები პრაქტიკულად ცხოვრობენ ფულის გარეშე. ხელფასს არავინ არ ღებულობს, და პენსია თვიურად უდრის სულ რვა ლარს; ამდენი ღირს ორი კილო სულგუნი."

"ყოფილ მონასტერიდან - და მარია - , რომელიც მაღლობზეა, მოჩანს უშგულის ოცი კოშკი, რომელთაგან თითოეული ეკუთვნის ერთ ოჯახს. ორი სართული საწყობის ფუნქციას ასრულებს, სადაცაა ალკოჰოლი, ყველი და შებურული ხორცი; ზოგჯერ იყო აგრეთვე ბანდიტების თუ სისხლის ამღებთა დასამალი ადგილი. მესამე სართულზე თავმოყრილია ნანადირევი ჯიხვების რქები, როგორც ღმერთის შემოწირულება, და მეოთხე სართულზეა კედელში სამიშნე, მტრების მოსაგერიებლად."

"ნ.ც.ც.", 4.10.1997 წ.

## წმინდა მარტინის საღამო

წმინდა მარტინის საღამოს აღნიშნავენ გერმანიაში, ავსტრიაში თუ ჰოლანდიაში როგორც ყველა გაჭირვეული ადამიანის მწყალობლის დღეს. ყოველი წლის 11 ნოემბრის წინადამეს, სანთლებითა და ლამპებით ხელში, განსაკუთრებით ბავშვები პატივს სცემენ წმინდა მარტინს, რომელიც დღევანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე იყო რომაელი ჯარისკაცი და მისი მოსასხამი, პალტო გახია შუაზე და ნახევარი აჩუქა ერთ გაღიელ მათხოვარს. სიზმარში მას გამოეცხადა იესო ქრისტე, შეაქო მისი კეთილშობილი მოქცევისათვის. მარტინი მოინათლა, დაანება თავი ოფიცრობას, და შემდეგ გახდა ტურის ეპისკოპოსი 371 წელს. ამის შემდეგად, 397 წლის 8 ნოემბერს გარდაცვლილი წმინდა მარტინი გახდა ყველა ღატაკის მფარველი. წმინდა მარტინის საგალობლით იწყებოდა ექვს-კვირიანი მარხვა, რომლის დროს წმინდა მარტინის თეთრი ცხენი ზამთრის დაწყების სიმბოლოთ იქცა. საერთოდ ყოველი პატარა ეკლესია -"კაპელა" - აღნიშნავს წმინდა მარტინის დღეს ყოველწლიურად, რადგან ლათინურად "კაპა" მოსასხამს, პალტოს ნიშნავს, რომლისაგან წარმოიშვა პატარა ეკლესის სახელწოდება "კაპელა".

ზც-11.11.1997 წ.

## ესენგე და რუსეთი

გერმანიის დიდი გაზეთი "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი", ესება რა ესენგეს - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას -, სხვათა შორის, წერს:

"ეხენგე, ადრე თუ გვიან, დასამარებულ იქნება..!თვით უფროსი ძმა'- რუსეთი თვითონ უწოდებს მის და-ძმებს ეგოისტებს...რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს - ევგენი პრიმაკოვს - უსაყვედურებენ, რომ მას უფრო აინტერესებს ბაღდადი, თეირანი, პარიზი და ბონი, ვიდრე ტაშკენტი, ბაქო, თბილისი და კიევი." "მეტად მწვავედ უარყვეს ეხენგეს სახელმწიფოებმა მოსკოვის წინადადება შექმნილ იქნას კონფლიქტების მოსაგვარებელი კომიტეტი იმ დროს, როცა რუსეთის არმია უკვე იმყოფება საქართველოში და იგი უშუღეგოთ იბრძვის იმისთვის, რომ რუსები გაიყვანოს აფხაზეთიდან, აზერბაიჯანისმეთაური,გაიდარ ალიევი - უპირატესობას ანიჭებს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ან გაერთიანებულის ერების სამშვიდობო მისიას, ვიდრე რუსეთის სამშვიდობო ძალებს. ანალოგიურად ფიქრობენ მრავალი პრეზიდენტები· მაგალითად, აზერბაიჯანი, საქართველო და თურქმენეთი კმაყოფილებით უყურებენ ამერიკის დაინტერესებას ამ მხარის მდგომარეობით. ყაზახეთის პრეზიდენტი - ნურსულთან ნაზარბაიევი - , აქამდე საიმედო მოკავშირე მოსკოვისა, უკვე ემხრობა უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას... დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პატარა სახელმწიფოები, რომლებსაც ნავთობი და გაზი გააჩნიათ ან მათი ტრანსპორტის გზაზეა, დასავლეთის ყურადღების ცენტრშია და ყურს უგდებენ თუ როდის მოხდება მათი ამერიკის ინტერესების სფეროდ აღიარება. მაგრამ არც ისე პატარა უკრაინის მაგალითი ნათელს ხდის, რომ ადვილი არ იქნებაეხგზა მოსკოვზე გვერდის ავლით."

ზც-3.11.1997 წ.

"სუპერმარკეტი" თბილისში

1997 წლის მაისის დასაწყისში თბილისში გაიხსნა სუპერმარკეტი, რომლის მესაკუთრეა 'ქართველი მწარმოებლების კავშირი'. ამ ორგანიზაციას განზრახული აქვს კიდევ 24 სუპერმარკეტის გახსნა წლისბოლომდე, რომლებშიც საქონელი უფრო იაფი იქნება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ც.ფ.-7.9.1997 წ.

თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობა

საქართველოსა და თურქეთს სურთ ითანამშრომლონ ენერგიის პროდუქციის სფეროში. მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოსა და თურქეთს შორის, რომლის თანახმად თურქმენეთის ბუნებრივი გაზით ელექტრო ენერგია გამომუშავებულ იქნება თბილისის ელსადგურში თურქეთისათვის.

ც.ფ.-7.9.1997 წ.

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება

რუსეთის პრეზიდენტმა - ბორის ელცინმა - მოუწოდა რუსეთის პარლამენტსდუმას რატიფიკაცია მოუხდინოს რუსეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც დადებულ იქნა 1994 წელს. საქართველოს პარლამენტმა ამ ხელშეკრულებას რატიფიკაცია მოუხდინა 1996 წელს. რუსეთის დუმაში კი ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგია რუსეთის კომპარტია, სანამ აფხაზეთის კონფლიქტი არ იქნება მოგვარებული.

ც.ფ.-7.9.1997 წ.

საქართველო მოითხოვს გემებს...

საქართველო მოითხოვს ყოფილი საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტიდან 20-25 გემს, რომლებიც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ფოთის ნავსადგურიდან გაიყვანა რუსეთმა. უკრაინა მხარს უჭერს საქართველოს კანონიერ მოთხოვნას, მაგრამ რუსეთი სასტიკი წინააღმდეგია საქართველოს მოთხოვნისა.

ც.ფ.-7.9.1997 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კლინტონ-შევარდნაძის შეხვედრა

აგვისტოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა - ვაშინგტონში მიიღო საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ორივე პრეზიდენტი შეთანხმდენ გააძლიერონ თანამშრომლობა აშშ-ზსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში. კლინტონმა დადებითად შეაფასა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი და ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესება. შევარდნაძემ კი ხაზგასმით აღნიშნა ამერიკის ჰუმანიტარული დახმარება საქართველოსადმი, რამაც ხელი შეუწყო დემოკრატიზაციის პროცეს საქართველოში.

ც.ფ.-7.9.1997 წ.

## ქრონიკული ავადმყოფები თბილისში

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, თბილისში, ყოველ 100 ოჯახზე მოდის 74 ქრონიკულად დაავადებული ადამიანი. ძედათა ნახევარზე მეტს არ შეუძლია ფინანსიურად ექიმთან მისვლა და მკურნალობა.

ც.ფ.-7.9.1997 წ.

## ქუთაის - ნიუპორტის პარტნერობა

ქუთაისისა და ნიუპორტის(დიდი ბრიტანეთი) პარტნიორ-ქალაქების სფეროში, ორივე ქალაქის უნივერსიტეტები ითანამშრომლებენ სხვადასხვა სფეროში, რომელშიც ჩაებმებიან სხვა უნივერსიტეტებიც, მაგალითად, იენას(გერმანია), სანკ-პეტერსბურგის(რუსეთი), მონრეალის(კანადა) და ლუნდის უნივერსიტეტი შვეციიდან.

ც.ფ.-7.9.1997 წ.

## ბაქოს ნავთობი და საქართველო

გერმანიის დიდი ჟურნალი "შპიგელ" აქვეყნებს ვრცელ სტატიას ნავთობის შესახებ კავკასიაში, და, სხვათა შორის, წერს:
"ნავთობის ციებცხელება კასპიის ზღვასთან: საქართველო და აზერბაიჯანი იმედოვნებენ ნავთობის დოლარი გამდიდრებას. ამ ახალმა სიმდიდრემ უნდა გამოიწვიოს აგრეთვე თავდაცვა ძლიერ მეზობელ რუსეთისაგან. მაგრამ რუსეთსაც სურს თვითონაც მიიგოს ფული."

"უცხოელი საქმოსნები იჭრებიან უსირცხვილოდ რუსეთისათვის სასიცოცხლო რეგიონში."

დასავლეთის სპეციალისტებს ბაქოს ნავთობის ტრანსპორტის ყველაზე უფრო მოკლე და საიმედო გზათ მიაჩნიათ ბაქო-სუფსას ნავთობ-სადენი მილების გაყვანა.

"დერ შპიგელ",41-1997,გვ.184

## ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ნავთობი და ვაშინგტონი

"ირანი არის არა პარტნიორი, არამედ კონკურენტი ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისა, როცა საქმე ეხება ნავთობისა და გაზის ექსპორტს"; ამიტომ მოელის ვაშინგტონი, რომ ამ სახელმწიფოებმა თავი უნდა აარიდონ ირანთან თანამშრომლობა. რას ნიშნავს ეს? - ეს ნიშნავს იმას, რომ ნავთობისა და გაზის სატრანზიტო გზამ გვერდი უნდა აუაროს ირანსა და რუსეთს და გაყვანილ იქნას "ევრაზიის სატრანსპორტო კორიდორით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ" აზერბაიჯანსა და საქართველოზე გავლით. მაგრამ ცენტრალური აზიის სახელმწიფოები ირანში ხედავენ, პირველ ყოვლისა, არა მტერს, არამედ ტრანსპორტის უფრო იაფ ალტერნატივას. აი, ეს არის პრობლემა.

ბც-24.11.1997 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქურთები და თურქები

"ომი ქურთების წინააღმდეგ ხელს უშლის ნავთობის ვაჭრობას", "თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობა უკვე უარყოფითად არ უყურებენ პე-კა-კას, ქურთების პარტიას, არამედ ცდილობს იაზროვნოს გეოპოლიტიკურად", - ასეთი სათაურითა და ქვესათაურით აქვეყნებს სტატიას გერმანიის დიდი გაზეთი "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი"(28.11.1997 წ.), და განაგრძობს:

"მოულოდნელად თურქეთის არმიის წარმომადგენლებმა ორი დუჟინი ჟურნალისტი წაიყვანეს ქურთთა რაიონებში და განუცხადეს: არმიამ უკვე დაამარცხა ქურთების მუშათა პარტია და ახლა თურქეთის მთავრობა იწყებს ქურთისტანის დანგრეული სოფლებისა და ქალაქების აშენებას, რაც გახდება მშვიდობიანობის გარანტია ქურთისტანშიო. მოულოდნელად თურქეთი ლაპარაკობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ე.ი.ქურთისტანში დემოკრატიის, ქურთების ვინაობის, ქურთული ენის აღდგენაზე, რადიო და ტელევიზიის ქურთულენოვან გადაცემებზე და ქურუთლი ენის დაშვებაზე; და, წარმოიდგინეთ, მოლაპარაკებებზეც კი ქურთული პარტიების ხელმძღვანელებსა და თურქეთის მთავრობის წარმომადგენლებს შორის.

გაზეთი კითხულობს: რამ გამოიწვია თურქეთის მთავრობის აზრის ამგვარი შეცვლა? - და იქვე იძლევა პასუხს:

-პირველი: თურქეთის გენერალური შტაბი დარწმუნდა, რომ მას ომის მოგება ქურთების წინააღმდეგ არ შეუძლია; ეს ომი თურქეთს დღემდე დაუჯდა 140 მილიონი გერმანული მარკა; ამასგარდა, 70 000-სი ნახევრად სამხედრო სოფლების დამცველები ჯდება ყოველთვიურად 22 მილიონი მარკა.

- მეორე: თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელები ეჭვის თვალით უყურებენ ქურთების მდგომარეობასჩრდილოეთ ერაყში, რომელსაც შეიძლება მოყვენს ქურთების ავტონომია ერაყში, რაც საშიშროებას წარმოადგენს თურქეთისათვის,რომ ანალოგიური მსვლელობა არ მიიღოს თურქეთში ქურთების ხელმძღვანელობის პოლიტიკამ.

- მესამე:ნავთობისა და გაზის უზარმაზარი საბადოები ცენტრალურ აზიასა და აზერბაიჯანში დიდი შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს თურქეთისათვის თუ მისი ტრანსპორტირება მოხდება თურქეთზე გავლით. ამისათვის კი საჭიროა სტაბილური მდგომარეობის შექმნა ხწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, რომლის ტერიტორიაზე უნდა იქნას გაყვანილი ნავთობისა და გაზის მილები ხმელთაშუა ზღვამდე. ამიტომ დადგა საკითხი: კასპიის ზღვის ნათვობი ან ომის ქურთების წინააღმდეგ. ორივე ერთდროულად - შეუძლებელია.

ზც-28.11.1997 წ. ვოლფგანგ კოიდლი

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი,მჭრელი,მებრძოლი". ნოე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

## პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

## საქართველოს ეროვნული საბჭოს 80 წლისთავი

I.

საქართველოს ეროვნული ყრილობა და მისგან არჩეული ეროვნული საბჭო - 26 მაისის - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა სუვერენობის მშობელია, რომელსაც 1997 წელს შეუსრულდა 80 წელი დაარსებიდან.

II.

საქართველოს ეროვნული საბჭო წარმოიშვა, შეიქმნა 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციისა და იმავე წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ. 1917 წლის 19 ნოემბერს, როგორც ცნობილია, მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც 22 ნოემბერს აირჩია ეროვნული საბჭო. საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 88 წევრი:- საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიიდან 51-ი დელეგატი; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან - 11-ი კაცი; საქართველოს ეროვნულდემოკრატიული პარტიიდან - 10-ი დელეგატი; რადიკალ-დემოკრატებმა ეროვნულ საბჭოში წარგზავნეს 1-ი კაცი; უპარტიოებმა - 2-ი კაცი და ე.წ-დ "ოლიონისტების პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ეროვნულ საბჭოში წარგზავნა 4-ი კაცი. საქართველოს ეროვნული საბჭო შევსებულ იქნა აგრეთვე საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით. საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ კი არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია.

III.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის უმაღლესი წერტილია 1918 წლის 26 მაისი, როცა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ, ქართველი ერის სახელით, თბილისში, მთავრობის სასახლეში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა; და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით საქართველოს სახელმწიფო ისევ-გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ე.ი. მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიგებში ჩადგა, როგორც "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა". ამ დიდი ისტორიული აქტით, ეროვნულმა საბჭომ, მისმა თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ დიდი პოლიტიკური წინდახედულება გამოიჩინეს,როცა ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა მჭიდრო დაუკავშირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენას და საქართველოს იმდროინდელი შინაგანი ძალების ისეთ გაწონასწორებას, რომ - საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებით - საქართველოში, ქართველმა ერმა თავიდან აიცილა სამოქალაქო ომი და მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენის გზას დაადგა.

IV.

საქართველოს დემოკრატიული პარტიების ამგვარი პოლიტიკური ხაზის განსახიერება მოგვევლინა თვით "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში", რომელიც,საქართველოს ყველა დემოკრატიული პარტიისა და დაჯგუფების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით და საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენლების თანხმობით, გამოაცხადა ეროვ-

ნული საბჭოს თავჯდომარემ ნოე ჟორდანიამ - 1918 წლის 26 მაისს. ეროვნული საბჭოს შესახებ"საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში," სხვათა შორის, ვკითხულობთ:

V.

"მრავალი საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო." "ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წელს, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2)დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის".

VI.

მე-7-ე მუხლში კი,ეროვნული საბჭოს შესახებ ნათქვამია:

"დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".

ამგვარად დამოუკიდებელი საქართველოს დროებითი მთავრობა, საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, პასუხისმგებელი იყო ეროვნული საბჭოს წინაშე.

VII.

და ეროვნული საბჭოს მოქმედება რომ ქართველი ხალხის ღილი უმრავლესობის ნება-სურვილს ეყრდნობოდა, ეს დაადასტურა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებმა, რომლის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესავალში ვკითხულობთ:

"საქართველოს დამფუძნებელი კრება, - არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, - ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აცხადებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის... აქტს".

VIII.

აი, ის დიდი და მაგალითის მომცემი დამსახურება საქართველოს ეროვნული საბჭოსა, რომელმაც შეგვიქმნა, ისევ-აღვიდგინა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, და საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ისევ გამოვიდა საერთაშორისო არენაზე. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა - ჯერ - 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა დე ფაქტო და დე იურე, ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად, მაგრამ შემდეგ, ლენინის მთავრობამ დაარღვია საბჭოთა რუსეთ- საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულება და იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო. მაგრამ,საბჭოთა რუსეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის ძალადობის აქტით, საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპობილ იქნა ფაქტიურად,

ხოლო იურიდიულად საქართველო განაგრძობდა არსებობას, და ტერიტო-რიულად მაშინ გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული, როცა მოიხსნება ეს ბატონობის აქტი.

IX.

და ამისათვის იბრძოდა საქართველო, ქართველი ხალ-ხი, თვით საქართველოს ეროვნული მთავრობა, საქართველოს დამფუძნებე-ლი კრების გადაწყვეტილებით და დავალებით, დამოუკიდებელი საქართვე-ლოს დაპყრობის დღიდან, ე.ი. 1921 წლის 17 მარტიდან, როცა საქართვე-ლოს მთავრობამ დატოვა საქართველოს ტერიტორია, —უცხოეთიდან იბრძოდა 26 მაისის დიდი იდეის ისევ-განხორციელებისათვის, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენისათვის. და ეროვნული საბჭო ისევ გახდა ქართული პოლიტიკური ძალების შემაერთებელი ორგანი, როცა ამისი შე-საფერი საერთაშორისო პირობები შეიქმნა, და დამოუკიდებელი საქართვე-ლოს მთავრობამ, ნოე ჟორდანიას თავჯდომარეობით, საფრანგეთის ლე-ვილიში,—„ძმობა, ერთობა, თავისუფლების" მხოლოთ ცენტრში, – გა-დაწყვიტა საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის განახლება, რომ ერი მარტო ემიგრაციის ყველა მიმართულების პარტიის, დაჯგუფების თუ ცალ-კეულ პირებს შეექმნათ ერთიანი ფრონტი 26 მაისის იდეის ისევ-გან-ხორციელებისათვის.

X.

დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობისა და საქართველოს ეროვნული მთავრობის პარიზში დაბინავების შემდეგაც, წარმოებდა მოლაპარაკებები საქართველოს პოლიტიკურ პარტიებსა და დაჯგუფებებს შორის საერთო ეროვნული პოლიტიკური ცენტრის შექმნის შესახებ.

1922 წლის მარტში, მაგალითად, პარიზში, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარის – კარლო ჩხეიძის – თავჯდომარეობით, შეხვდა გაერთიანებული კონფერენცია, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო სამმა პოლი-ტიკურმა პარტიამ: სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, დემოკრატიულმა პარ-ტიამ და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ.

საერთო ფრონტი არსებობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, სანამ საფრანგეთის ოკუპაცია მოხდებოდა. ქართული ეროვნული ფრონტის მოქმედე-ბა შეწყდა მხოლოდ ოკუპაციის დროს, ე.ი. როცა საფრანგეთის დაიპყრო ჰიტლერის ჯარებმა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, საქართველოს ეროვნულმა მთავ-რობამ, სათანადო დეკლარაციით, მიმართა პოლიტიკურ პარტიებს და დაჯგუ-ფებებს წარმომადგენლებს ერთიანი პოლიტიკური ფრონტის აღდგენის მიზნით. ამ საქმეს თავჯდომარეობდა პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი. ეროვნული ფრონ-ტის შექმნისა და მთავრობასთან თანამშრომლობის აქტიური მონაწილეები იყვ-ნენ დავით სხირტლაძე, ივ.ზურაბიშვილი—და—გიორგი გვაზავა ერო.დემ.პარტი-იდან, სოსო მდივანი, სოციალისტ-ფედერალისტი, საქართველოს ელჩი თურქეთში; და ილია ნუცუბიძე სოციალისტ-რევოლუციონერი.

ეროვნული საბჭოს პირველი კრება ჩატარდა 1951 წლის 20-21 ოქტომბერს, პარიზში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალდემოკრატიულმა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიებმა, "თეთრი გიორგ-ის" ორგანიზაციამ და სხვა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა.

ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა ჩატარდა 1952 წლის 4 ოქტომბერს, რომელიც სამი დღე გაგრძელდა. ქართული ეროვნული საბჭოს მესამე ყრილობა კი ჩატარდა 1954 წლის გაზაფხულზე, ჟენევაში.

XI.

განსაკუთრებული მნიშვნელობის გახლდა ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ჩატარდა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში 1952 წელს და რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, "თეთრი გიორგის", ახალი თაობის დემოკრატიული გაერთიანების და სხვა პოლიტიკური დაჯგუფების დელეგატებმა. საქართველოს მთავრობის დავალებით კი, საქართველოს ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა - ევგენი გეგეჭკორმა. ეროვნული საბჭოს გახსნას პირადად მიესალმა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანია, რომელმაც თავის მოკლე მისასალმებელ სიტყვაში, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ "ცოტა ილაპარაკეთ და მეტი გააკეთეთ", რის შემდეგ მან წარმატება უსურვა ეროვნული საბჭოს ყრილობას და, დამსწრეთა ტაშის გრიალში, დატოვა სხდომათა დარბაზი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა გაგრძელდა სულ სამი დღე, რომელსაც ესწრებოდა ცხრა დაპყრობილი ერის წარმომადგენლები. ეროვნული საბჭოს ყრილობამ აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი ცხრა კაცის შემადგენლობით.

XII.

ეროვნული საბჭოს ყრილობის მიერ არჩეულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გაიჩაღა მუშაობა როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროში. საშინაო სფეროში ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ცდილობდა ყველა პოლიტიკური პარტიისა და დაჯგუფების, ყველა პირის ერთიან ეროვნულ ფრონტში გაერთიანებას. საგარეო სფეროში კი ცდილობდა ამიერკავკასიის, მთელი კავკასიის და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში მოქცეული ყველა დაჩაგრული ერისა და ეროვნების საერთო ფრონტში გაერთიანებას თვით რუსი ერის დემოკრატიული ძალების ჩათვლით. და ამ მეტად რთული ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი ითამაშეს საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებული შტატების ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტთან, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრმა - ნოე ცინცაძემ, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა - ნიკო ურუშაძემ, ახალი თაობის დემოკრატიული გაერთიანების თავმჯდომარემ გიორგი წერეთელმა, და სხვებმა, რასაც მოჰყვა შეთანხმება - ერთი მხრივ - საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ერების წარმომადგენლებსა და - მეორე მხრივ - ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტს შორის, რის შედეგად დაჩაგრული ერების წარმომადგენლები და ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლები გახდნენ თანასწორუფლებიანი პარტნიორები, რასაც მოჰყვა რადიო "განთავისუფლების"

ჩამოყალიბება 1952 წლის ბოლოს. 1953 წლის 17 აპრილს კი მუშაობა დაიწყო რადიო "განთავისუფლების" ქართულმა რედაქციამ და ამით ეთერში გაისმა თავისუფალი ქართული სიტყვა.

XIII.

აქ ერთი ეპიზოდი, რომელიც ნათელჰყოფს თუ როგორი პრინციპულობით და ეროვნული შეგნებით წარმოებდა მოლაპარაკებები ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტისა და ეროვნული საბჭოსა და ამით დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს შორის: ქართული ეროვნული დელეგაციის წევრმა, დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, რადიო "განთავისუფლების" დამაარსებელმა და მთავარმა რედაქტორმა - რაჟდენ (მიშა) არსენიძემ, - როცა ზოგიერთებმა "თანასწორუფლებიანობის" და "პარტნიორობის" პრინციპის მიჩქმალვას შეეცადნენ, - საჯაროდ განაცხადა, რომ ის მეორე მსოფლიო ომის დროს ძროხებს წყემსავდა, რათა თავი არიდებინა ფაშიზმთან რაიმე კავშირის დამყარების შესაძლებლობისგანაც კი, და ახლა - თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში - თუ ვინმე შეეცდება ორ პარტნიორს - ამერიკულ კომიტეტსა და დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს - შორის "თანასწორუფლებიანობის" პრინციპის შებღალვა-მიჩქმალვას, ის ისევ მზადაა ახლა პოლიტიკურ კურსს ისევ ძროხების წყემსვა ამჯობინოს.

XIV.

და, მართლაც, საბოლოოდ მიღებულ იქნა თანასწორუფლებიანობისა და პარტნიორობის პრინციპი, ამერიკულ კომიტეტსა და დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს შორის, რომლის საყრდენი გახდა ე.წ.-ლი "პარიზის ბლოკი", რომელშიც გაერთიანებული იყვნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მთიელების, უკრაინის, ბელორუსიის, "იდელ-ურალის", კაზაკების თუ თურქესტანელების დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები; და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "პარიზის ბლოკის" უცვლელი თავჯდომარე გახდა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი - ნოე ცინცაძე, რომელმაც, საერთოდ, დიდი როლი ითამაშა ამერიკულ კომიტეტისა და დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს შორის პოლიტიკური მოლაპარაკებების დროს, რასაც მოყვა არა მარტო რადიო "განთავისუფლების" დაარსება, არამედ, მას ნევით, დაჩაგრულ ხალხთა საერთო ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნაც.

XV.

საბჭოთა კავშირის დაჩაგრული ერების წარმომადგენლებისა და ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტს შორის თანამშრომლობის განვითარება-გაძლიერებას დასაბამი მისცა ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის - დინ აჩესონის, თუ გნებავთ, "მიმართვამ ქართველი ხალხისადმი", რომელიც მან წარმოსთქვა რადიო "ამერიკის ხმის" ქართული რედაქციის გახსნაზე, 1951 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 33-ე წლისთავზე, და რომელშიც, სხვათა შორის, ითქვა:

"ბევრი მსმენია თქვენი თვალწარმტაცი ქვეყნის, მისი ბუმბერაზი მთე-ბისა და ბარაქიანი მიწის, შთამბეჭდავი ისტორიული ძეგლების, ქართვე-ლი ერის შესანიშნავი ხასიათისა და ურყევი სულისკვეთების შესახებ. არც თუ ბევრ ამერიკელს ხვდა წილად ბედნიერება სწვეოდა საქართველოს, თუმცა თქვენი ქვეყანა კარგადაა ცნობილი ჩვენში. საქართველოს სახელი უნებლიეთ მოგვაგონებს არგონავტებს, რომლებიც ოქროს საწმისის საძებნე-ლად გაემგზავრნენ კოლხეთს, აგრეთვე პრომეთეს, რომელმაც ცეცხლი მისცა კაცობრიობას, რათა ადამიანი ყოფილიყო თავისუფალი. მსოფლიოს კარგად ახსოვს, თუ რამდენი ბრძოლა გადაგხდათ თქვენ, ქართველებს თავისუფლე-ბის პრინციპების დასაცავად. და რამდენი სიმამაცით იცავდით თქვენი ბრწყინვალე საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თქვენს უძველეს კულტურასა და რელიგიას. ხშირად ყოფილხართ თქვენ დაპყრობილი, თუმცა არასოდეს მომხდარა თქვენი დამონება. საუკუნეების მანძილზე, თქვენ შესძელით საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და არასოდეს შენელე-ბულა თქვენში სურვილი - დაგეცვათ საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებები. ჩვენ, ამერიკელები, აღფრთოვანებული ვართ თქვენი ურყევი სულისკვეთებით. ჩვენი სახელმწიფო დაარსდა თვითეული პიროვნების თავისუფლებისა და თა-ნასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე; ჩვენი შვილები შეეწირენ და დღესაც იბრძვიან ამ პრინციპების დასაცავად."

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა - დინ აჩესონმა - განაგრძო:

"ამერიკელი ხალხისა და მისი მთავრობის საბოლოო მიზანია მშვიდობის დამყარება მთელს მსოფლიოში, როცა აღარ იქნებიან ძლიერნი და სუსტნი, ბატონები და ყმები, როცა თვითეული ადამიანი შესძლებს იცხოვროს და იშრო-მოს თავისუფლებისა და ბედნიერების პირობებში ყოველგვარი სიდუხჭირისა და შიშის გარეშე, და როცა ყველასათვის იქნება გარანტირებული რელი-გიის თავისუფლება. ასეთია მომავლის ჩვენეული ჭვრეტა, და ჩვენ მოგი-წოდებთ თქვენ გაიზიაროთ იგი ჩვენთან ერთად. ამერიკელი ხალხის სახე-ლით, გულითადად მოგესალმებით თქვენ, ქართველებს."

აი, ამონაწერები ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მი-ნისტრის - დინ აჩესონის - სიტყვიდან, რომლითაც მან მიმართა ქართველ ხალხს, 1951 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვე-რენობის აღდგენის 33-ე წლისთავზე და რომელიც ქართველ ერს ეც-ნობა რადიო "ამერიკის ხმით".

XVI.

და ამჟამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა, 1776 წლის 4 ივლისს, უცხო კოლონიური ბატონობის აღკვეთის შედეგად, - "თვითეული პიროვნების თავისუფლებისა და თანასწორუფლებე-ბიობის პრინციპის საფუძველზე", თუ საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევო-ლუციის მონაპოვარი -"ძმობა, ერთობა, თავისუფლება", "მესამე დასმა", 1893 წელს, გააპოხიერა ეროვნულადაც, როცა მის სამოქმედო პროგრამად გაიხადა -"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვ-რებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა", რასაც 1918 წლის 26 მაისს შეესხა ხორცი, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა - ქართველი ერის დიდი, დიდი უმრავ-

ლეხიშის ნებასურვილის შესაბამისად, ქართველი ერისა, რომლის დემოკრატიული პარტიები და პოლიტიკური დაჯგუფებები ხშირად საქართველოს ეროვნულ საბჭოში გაერთიანდა და ერთიანი ძალღონით პოზიცია-ოპოზიციის დემოკრატიულ ფერხულში ჩაებენ.

XVII.

და, ასეთი დიდი წარსული გააჩნია საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომლის პირველი, მეორე ყრილობა პარიზში,ხოლო მესამე - ლევილში ჩატარდა. და 1986 წლის 27 აპრილს - ჩატარდა რა საქართველოს ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობა , პარიზში,-საყოველთაოდ აღიარა, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები, დაჯგუფებები თუ ცალკეული პირები ვდგევართ "26 მაისის" პოზიციაზე, და ეროვნული საბჭოს კარები ღიაა ყოველი დემოკრატიული პარტიისა, დაჯგუფებისა თუ პირებისათვის, რომლებსაც სურთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის საქმეში.

XVIII.

და როცა 1991 წლის 27 დეკემბერს საბჭოთა კავშირად წოდებული რუსეთის იმპერია შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად დაინგრა, ხოლო საქართველომ, ჯერ კიდევ მანამდე - 1991 წლის 9 აპრილს,საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა აღადგინა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის თანახმად, - საქართველო ისევ გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რითაც საქართველოს, მთელი ქართველი ხალხის ოცნება ხინამდვილედ იქცა.

XIX.

მართალია, დიდმპყრობელ-შოვინისტები ისევ ცდილობენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის შებღალვას ჩვენს აფხაზეთსა და ზემო ქართლში; მაგრამ ქართველი ხალხი მტკიცეთ იდგა და დღესაც მტკიცეთ დგას 26 მაისის დიადი იდეების დაცვა-განმტკიცების საქმეში, თუმცა ჩვენ, ამჯერად, ვერ გამოვიჩინეთ ისეთი წინდახედულობა, რომლის სანიმუშო მაგალითი მოგვცა 1918 წლის 26 მაისის "ოქროს თაობამ", ეროვნულმა საბჭომ და მისმა ხელმძღვანელობამ საერთოდ.

XX.

და,აღდგენილ იქნა რა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1991 წლის 9 აპრილს 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად, - ქართულმა ეროვნულმა საბჭომ უცხოეთში და მისმა ხელმძღვანელობამ შეისწავლა შექმნილი მდგომარეობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარემ და საქართველოს პარლამენტის წევრმა ბატონ პროფესორ გურამ მუჩაიძემ, რომელმაც შემოიტანა წინადადება: ქართულმა ეროვნულმა საბჭომ განაგრძოს მოღვაწეობა და თავისი ოფიციალური ორგანოს "მებრძოლი საქართველოს" გამოშვება, და შესაბამისი შესწორება შეიტანოს ქართული ეროვნული საბჭოს წესდებაში; ეს წინადადება მიღებულ იქნა.

XX1

და, 1995 წლის 28-29 აგვისტოს, ლევილის ქართული მამულის შატოს მთავარ დარბაზში შედგა ქართული ეროვნული საბჭოს გაფართოებული თავყრილობა, რომელსაც დაესწრო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარე ბატონი პროფესორი გურამ მუჩაიძე. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ქართული ეროვნული საბჭოს წესდების 22-რე მუხლი ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგნაირად:

"ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს დაშლილად გამოაცხადებს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს."

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXII.

დ) აღენიშნავთ რა საქართველოს ეროვნული საბჭოს 80 წლისთავს, რომელიც არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ 1917 წლის 22 ნოემბერს, - გვჯერა, ჩვენ შევძლებთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დემოკრატიული ტრადიციების საქართველოს მეორე რესპუბლიკის ცხოვრებაში ჩანერგვას, რაც გახდება იმის საფუძველი, რომ საქართველო ისევ გახდეს ხანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფო, როგორიც იყო 1918-1921 წლებში, რამაც განცვიფრებაში მოიყვანა იმდროინდელი დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნები.

კარლო ინასარიძე
ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარე
უცხოეთში
პარიზი-ლევილი, 1997 წლის 22 ნოემბერი

---

ალია — 1997 წელი — 6 იანვარი

„ჩვენ კარგად ვიცით რა მდგომარეობაა საქართველოში. გული შეგვტკივა მეც და ჩემს მრევლსაც. ბევრი არაფერი შეგვიძლია, მაგრამ ვლოცულობთ საქართველოსთვის. ალბათ, ყველაფერი გამოსწორდება" — ეს სიტყვები პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარს, მამა არჩილს (არჩილ დავრიშაშვილს) ეკუთვნის.

## რატომღაც ემიგრანტობას საფრანგეთში ქართული ეკლესიის არის



— საფრანგეთში დავიბადე და ამ პატარა ეკლესიაში გავიზარდე. ახლა მისი მოძღვარი ვარ. ჩემი მშობლები 1922 წელს ჩამოვიდნენ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ისინი რიგითი ემიგრანტები იყვნენ. მამა — დავით დავრიშაშვილი უკვე ცხრა წელია რაც გარდაიცვალა. დედაჩემი თამარ ვაჩნაძე ცოცხალია.

— თქვენი მშობლები პოლიტიკური მოტივით არ წამოსულან?

— პირდაპირი მნიშვნელობით — არა. უბრალოდ, გარემოების მიხედვით მოხდა, საქართველოს გასაბჭოების გამო.

ბავშვობიდან დავდიოდი ეკლესიაში. ჩვენს მოძღვართან, მამა ილიასთან ბევრს ვსაუბრობდი. შემდეგ, ცოტა ხანს, თბილისშიც ვცხოვრობდით და იქაც მქონდა ურთიერთობა.

— რომელ წლებში ცხოვრობდით თბილისში?

— 1975-დან 1979 წლამდე. მამაჩემი უკან დაბრუნებას ნატრობდა. აისრულა ოცნება. ცოტა ხანი ვიყავით, მეტი ვერ გაძლო. ისე არ ყოფილა, თურმე, როგორც ეგონა და ვერ შეეგუა, გაუჭირდა. იმ პერიოდში დავუახლოვდი ქართულ ეკლესიას. მახსოვს უწმინდესის აღსაყდრება. ამ ამბავს მცხეთაში მეც ვესწრებოდი.

— როგორ ეკურთხეთ?

— პარიზში დაბრუნების შემდეგ მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების წმინდა სერგის ინსტიტუტში ვსწავლობდი. შემდეგ, მამა ილია რომ გარდაიცვალა, ქართველებს მოძღვარი დასჭირდათ და მე მთხოვეს. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელმა, აქაურმა მიტროპოლიტმა იერემიამ მაკურთხა მღვდლად. ჩვენი ეკლესია დაარსებიდან, ანუ 1929 წლიდან კონსტანტინოპოლის ეკლესიას ეკუთვნის. დამაარსებლებმა გადაწყვიტეს ასე.

— ვინ დააარსა ეკლესია?

— როგორც ვიცი, ეს იყო სამი პიროვნება: ილამაზ დადეშქელიანი, ლევან ზურაბიშვილი, იოსებ კემულარია.

— ისინიც სასულიერო პირები იყვნენ?

— არა. ერისკაცები იყვნენ, მორწმუნე ხალხი, პატრიოტები და ამიტომ გადაწყვიტეს ქართული ეკლესიის გახსნა. ქართველები აქ 1922 წელს ჩამოვიდნენ და შვიდი წელი მაინც დასჭირდათ, რომ ქართული ეკლესია დაეარსებინათ.

პირველი მოძღვარი — მამა გრიგოლ ფერაძე 1931 წელს ეკურთხა ბერძნულ ეკლესიაში. 1942 წელს, გერმანელთა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა და მარშან საქართველოში წმინდანად შერაცხეს. ამის მერე 7 წელი მოძღვარი მამა ნიკოლოზ ზაბახიძე იყო. იმ დროს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქართველ ემიგრანტთა ერთი ნაწილი არგენტინაში გადასახლდა და ისიც იმათ გაჰყვა. მას შემდეგ... რუსულ ეკლესიაში მსახურობდა ერთი ახალგაზრდა მოძღვარი — მამა ილია მელია. ქართული სათვისტომოს მოთხოვნით, ისიც ჩვენთან გადმოვიდა და 40 წლის განმავლობაში ჩვენი მოძღვარი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ მოძღვარი მე ვარ.

— თუ ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკუთვნის, რატომ ჰქვია ქართული?

— ქართველებისთვისაა და წირვა-ლოცვაც ქართულად სრულდება.

— ამის გამო კონსტანტინეპოლიდან არა გაქვთ რაიმე წინააღმდეგობა?

— არა, რა თქმა უნდა. არავითარი, ჯერჯერობით, ამ მხრივ, არ ყოფილა შევიწროება. ეს მართლმადიდებლურ კანონმდებლობასაც ეთანხმება. ეკლესია ეროვნებათა მიხედვით არ იყოფა. დღეს საფრანგეთში სხვადასხვა მართლმადიდებლები გაერთიანებას ცდილობენ. ჩვენ 1929 წლიდან გვქონდა ეს მიზანი.

— საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

— ახლა... ფაქტობრივად, საქართველოსთან არავითარი კავშირი არა გვაქვს. არც ასე შეიძლება. ძალიან გვინდა დავუახლოვდეთ და რაღაც ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდეს.

— საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან კავშირის დამყარების მცდელობა არ ყოფილა?

— პირდაპირი არა.

— არაპირდაპირი?

— შარშან პარიზში ქუთაისის მიტროპოლიტი ჩამოვიდა. ოლონდ ისე, რომ ჩვენ ბოლო წუთს გავიგეთ. როგორც [illegible] მაგრამ ცოტა ხნით [illegible], რომ სათანადოდ ვერ გამოვეკიდეთ. ამის შემდეგ ჩვენი ეკლესიის საბჭომ შეკრება და გადაწყვიტეთ, საპატრიარქოსთვის მიგვეწერა, რომ ჩვენ შორის უფრო ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს...

— ჯერჯერობით, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. მაგრამ მანამდე გვინდა ჩვენს მიტროპოლიტს ამის შესახებ მოვახსენოთ. ის უფრო გვასწავლის რეალური ურთიერთობის განხორციელების გზებს. რა თქმა უნდა, ამ საქმეში პოლიტიკური საკითხებიც გამოერია.

— რას გულისხმობთ?

— 4 წლის წინ საქართველოში მომხდარმა მოვლენებმა ემიგრაციაშიც გამოიწვია განხეთქილება. მე რომ ზვიად გამსახურდიას პანაშვიდი გადავიხადე, ეს პოლიტიკურ ქცევად მიიღეს, ამიტომაც უფრო ცივად არიან განწყობილნი.

— საეკლესიო საბჭო ახსენეთ. რას წარმოადგენს ეს საეკლესიო საბჭო?

— წესით, მთელი მრევლი ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება და საბჭოს წევრებს ირჩევს, რომელიც ეკლესიის მატერიალურ მხარეს მართავს. ახლა საბჭოს მდივანი მიხეილ გოგიტიძეა, მოლარე — ტარიელ ზურაბიშვილი, წევრები: ირინე ბაგრატიონი, ნიკოლოზ ზურაბიშვილი, ელენე მდივანი და ოთარ ამილახვარი.

— მრევლი თუ გყავთ?

— წესით, რახან ეს ერთადერთი ქართული ეკლესიაა, ყველა აქაური ქართველი მისი მრევლია, მაგრამ 30-40 კაცი თუ დადის ყოველ კვირას რეგულარულად. ისე, სიებში, სადღაც, 400-მდე მისამართი გვაქვს, მაგრამ... ზოგი ჯვრის დასაწერად მოდის, ზოგიც — მოსანათლად...

ნინოობას რომ ვმართავთ, ასე, 100-150 კაცი იკრიბება ხოლმე. წირვა-ლოცვა ყოველ კვირა დღეს ტარდება. შაბათ საღამოს, როცა ვახერხებთ, მწუხრის ლოცვას ვატარებთ, ხშირად, მარტო (იცინის), ჩემ შვილებთან ერთად...

— თქვენ ბრძანეთ, საეკლესიო საბჭომ საქართველოს საპატრიარქოსთან დაკავშირება გადაწყვიტაო. წინასწარ ხომ არ გაქვთ განსაზღვრული, როგორი სახის იქნება ეს კავშირები?

— ბერძნებიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკუთვნიან, მაგრამ კავშირი ელადის ეკლესიასთან აქვთ, ბავშვებს იქ აგზავნიან სასწავლებლად, წიგნებს ღებულობენ... რუსების ერთი ნაწილიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკუთვნის, მაგრამ მაინც რუსეთში დადიან, აქვთ კავშირები... ასეთი დამოკიდებულება არავის უშლის ხელს. ჩვენც იგივე გვინდა გავაკეთოთ. არადა, ცნობებს საქართველოს ეკლესიის შესახებ რუსებისგან ვიღებ. მამა გრიგოლ ფერაძის წმინდანად გამოცხადება კი გაზეთებიდან გავიგე...

რამაზ ბეგლარიშვილი
„ალიასთვის" პარიზიდან

---

ბალანსი

გახავალი: ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" 1998 წლის 1 იანვრის დაბეჭდვა, ახლების გადაღება, ფოსტით დაგზავნა..........4135,- ფრანკი.

შემოსავალი: კარლო ინასარიძემ შემოწირა..........4135,- ფრანკი.

-.-.-.-.-.-.-.-


საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში
პირობითი აღნიშვნები
შავი ზღვა
ტფილისი

# Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

### ამონაწერი

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან (პარიზი, 1896 წელი, 27 აპრილი. პირველი შესწორება: ლევილი. 1995 წელი, 17 აგვისტო):

„მუხლი მესამე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით..."

„მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს".

„პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება,
არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო"

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

**„LA GEORGIE COMBATTANTE"**

1 იანვარი - 1998 - 22(40) - 1er JANVIER

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" — ილია

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მოქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე

დაარსდა იანვარი 1952, პარიზი — Fondation: Janvier 1952 , Paris
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბატონ მამია ბერიშვილი

CHATEAU DE LEUVILLE
91310 — Leuville sur Orge
FRANCE
tel:(331) — 6054 — 6157

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ-765